# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
18 მარტი **პარასკევი** 2011
№063 (13360) ფასი 60 თეთრი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

დღეს შვეიცარიაში ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის მეოთხედფინალების წილისყრა გაიმართება

UEFA EUROPA LEAGUE

# დიდი მატჩების მოლოდინი

## ასეც შეიძლება მოხდეს: ბარსელონა-რეალი მანჩესტერი- ჩელსი რაული VS რეალი, მოურინიო VS ინტერი...




# ფაჩულიას ორი რეკორდი და ორმაგი დუბლი

12

# ქართველ მორაგბეებს რუსებთან მატჩის წინ გზა დაულოცეს

13



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა (მარჯვნივ) ქართველ მორაგბეებს გზა დაულოცა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

www.msy.gov.ge



8

# ყენიას პროფესორი დაუნიშნეს

## გადაწყდა: შალკეს რალფ რანგნიკი გაწვრთნის

## ქართული ფეხბურთი

არბიტრაჟი: სიახლე საქმეში



# აუღებელი ციხე, ანუ აუღებელი ხელფასები

## მადლობა ქალბატონ კესოს: ქართულ საფეხბურთო დავებში 21-ე საუკუნე დადგა

ფეხბურთის ფედერაციის შარშანდელ აღმასკომზე, მისი წევრებისა და კლუბების ხელშეწყობით, საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული არბიტრაჟი დაფუძნდა, 22 დეკემბერს რეგისტრაციაში გატარდა, დამფუძნებელი კი ფეხბურთის ფედერაციაა.

საფეხბურთო არბიტრაჟის აუცილებლობა დრომ მოიტანა. ზოგჯერ ფეხბურთელები და მწვრთნელები, ზოგჯერ (უფრო ხშირადაც) კლუბები საკონტრაქტო ვალდებულებებს არღვევენ და ჩამოყალიბებულია მოსაზრება, რომ კონტრაქტი საქართველოში რაღაცას კი ნიშნავს, მაგრამ კანონის ძალა არ აქვს და ამის გამო ხშირად ფარატინა ქაღალდს ემსგავსებოდა.

საფეხბურთო არბიტრაჟი პირველი საქმეების განხილვასაც შეუდგა. პირველ დავას ("გია ჭანტურია-"ზესტაფონი") მსვლელობა მიეცა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება გადაიდო. თუ რატომ, ამის თაობაზე ჯერ გია ჭანტურიას დავეკითხეთ, რომელიც 2009 წლიდან მოყოლებული, "ზესტაფონს" კონტრაქტის შეწყვეტისა და 29 ათასი ლარის გამო ედავება:

- სხდომა სამშაბათს დანიშნეს, მაგრამ შაბათისთვის გადადეს. არ ვიცი, რა აბრკოლებს არბიტრაჟის მუშაობას, მაგრამ თუ საკითხები დროულად არ განიხილეს, არა მგონია, მას შემდგომში ვინმემ მიმართოს. საქმე ისაა, რომ სარჩელის შეტანა ფასიანია. მაგალითად, ჩემი საკითხის განსახილველად 700 ლარი შევიტანე და თუ საკითხი არ განიხილეს, თანხის შეტანას რა აზრი ექნება? თუმცა, იმედია, არბიტრაჟი მალე შეიკრიბება და ფეხბურთელებიც დავრწმუნდებით, რომ ეს ქმედითუნარიანი ორგანოა.

საფეხბურთო არბიტრაჟის დირექტორი **ჯიმშერ ტყებუჩავა** ამბობს, რომ სარჩელის განხილვას პროცედურული ნორმების დაცვა სჭირდება. მას სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც ველაპარაკეთ, რადგან საფეხბურთო არბიტრაჟის დაფუძნებამ ქართულ ფეხბურთში კანონიერების და სამართლიანობის დამყარებას ხელი უნდა შეუწყოს.

**- არბიტრაჟის დამფუძნებელ ფეხბურთის ფედერაციასთან რა ურთიერთობა გაქვთ?**

- ფედერაცია დამფუძნებელი კი არის, მაგრამ არბიტრაჟი გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებს და ფედერაცია ჩვენს საქმიანობაში ვერ ჩაერევა. არბიტრაჟში სარჩელის შემოტანა შეუძლია ფედერაციის ყველა იმ სუბიექტს, რომელსაც სხვა სუბიექტის მიმართ ქონებრივი პრეტენზია გააჩნია. სხვათა შორის, გადავამოწმეთ და დავაზუსტეთ, რომ საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნებში პირველია, რომელმაც საფეხბურთო არბიტრაჟი დააფუძნა. ეს კი ფედერაციის იურისტის, კესო ჩხიკვაძის დამსახურებაა. ის დროულად მიხვდა, რომ 21-ე საუკუნეში ასეთი ორგანო აუცილებელია.

**- არბიტრაჟში რამდენი წევრია?**

- ექვსი და ყველა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის ლიცენზირებული ადვოკატია.

**- თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ საფეხბურთო სამყარო სპეციფიკური სფეროა, სამოქალაქო სამართლისგან საკმაოდ განსხვავდება, სპეციფიკის მცოდნენი კი თითქმის არ მოიძებნებიან.**

- რა თქმა უნდა, არბიტრაჟი საქართველოს იურიდიული სივრციდან გამოსულია და ფიფასა და უეფას კანონმდებლობას ემორჩილება. ჩვენში კი ამ სფეროს სპეციალისტები თითქმის არ არიან. ამდენად, ფაქტობრივად, საქმეს ნულიდან ვიწყებთ, მაგრამ ადრე თუ გვიან ასეც უნდა მომხდარიყო.

**- ვიცით, რომ ამჟამად "გია ჭანტურია-"ზესტაფონის" დავას განიხილავთ. კიდევ რა საქმეებზე მუშაობთ?**

- თითქმის ანალოგიური დავა აქვს "სამტრედიასთან" მის ყოფილ ფეხბურთელ ვალტერ გუჩუას. თავიდან სარჩელის შემოტანას ფოთის "კოლხეთის" ფეხბურთელებიც აპირებდნენ, მათაც ანალოგიური პრობლემა აწუხებდათ, მაგრამ შემდეგ თავი შეიკავეს.

**- ყველა ერთი და იმავე პრობლემის გამო ჩივის?**

- როგორც ვატყობ, ჩვენი ფეხბურთის მარადიული პრობლემა ფეხბურთელების აუღებელი ხელფასებია. ფედერაციას აქამდე არანაირი ბერკეტი არ გააჩნდა, აღმასკომის თუ სატრანსფერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები რომ აღესრულებინა. თუ საკონტრაქტო პირობებს არ ასრულებს, ევროპაში ასეთ ურჩ კლუბებს ლიცენზიას უჩერებენ, ჩვენთან კი თანხის ამოღების მექანიზმი არ არსებობდა. არბიტრაჟი სწორედ ამ ვაკუუმის შევსებას შეეცდება და ქმედითუნარიანი ორგანო გახდება. განხილვები დაწყებულია და მალე საქმეებს აქტიური მსვლელობა მიეცემა.

**- გია ჭანტურია ამბობს, რომ დავის განხილვა გაიწელა.**

- კი არ გაიწელა, კანონს აქვს თავისი ვადები და პროცედურები. ჭანტურია წლებია დავობს და გვესმის, რომ მის მოთმინებასაც საზღვარი აქვს, მაგრამ პროცედურულ ნორმებს ვერ დავარღვევთ. სარჩელის მიღების შემდეგ კი, თუ ერთ-ერთი მხარე არ თანამშრომლობს, პროცედურების ჩასატარებლად 30 დღე მაინც გვჭირდება.

**- "ზესტაფონი" არბიტრაჟთან არ თანამშრომლობს?**

- სამწუხაროდ, ჯერ ასეა. ფიფასა და უეფას წესებით, ფედერაციის სუბიექტები მის გადაწყვეტილებებს უნდა დაემორჩილონ, საფეხბურთო არბიტრაჟი კი ფედერაციის აღმასკომის წევრთა და კლუბების თანხმობით შეიქმნა. მაგრამ იმედია, ვითარება შეიცვლება.

**- შემოსული დავების განხილვა როდის დაიწყება?**

- 19 მარტს მოსამზადებელი სხდომა გაიმართება და შემდეგ "ზესტაფონმა" უნდა დაადასტუროს, რომ დავის განხილვის შესახებ უწყება მიიღო. განხილვა ამის შემდეგ დაიწყება.

**მერაბ მამულაშვილი**

U 21

მეტოქე

# მომავალი ვარსკვლავებით საფრანგეთში

ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრები, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს მეტოქეა, 24 მარტს რეიმსში საფრანგეთის ნაკრებს ამხანაგურად ეთამაშება.

ესპანელთა 45 წლის თავკაცმა **ლუის მილამ** ამ შეხვედრისთვის გამოძახებული ფეხბურთელები დაასახელა. ჩამოთვლილ ესპანელ ახალგაზრდათაგან რამდენიმეს ვინაობა ქართველი მკითხველისთვისაც ნაცნობი უნდა იყოს.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე ნაკრების შემადგენლობა კლუბების მიხედვითაა წარმოდგენილი.

ატლეტიკო: **ხოელ რობლეს ბლასკესი, ფრან მერიდა;**

ბარსელონა: **მარტ ბარტრა არეგალი, კარლეს პლანას ანტოლინესი;**

დერბი ქაუნთი: **დანიელ სანჩეს აიალა;**

ესპანიოლი: **ალვარო ვასკეს გარსია;**

ერკულესი: **ფრანსისკო ფამენია კიკო;**

ლივერპული: **დანიელ პაჩეკო ლობატო;**

მალაგა: **იგნასიო კამაჩო ბარნოლა, ხოსე ლუის გარსია დელ პოცო;**

რეალი: **სერხიო კანალესი, ნაჩო ფერნანდეს იგლესიასი, ხუან კარლოს პერეს ლოპესი;**

რეალ სოსიედადი: **ასიერ ანდონეგი;**

სევილია: **როდრიგო რიოს ლოსანო;**

ვილიარეალი: **მარიო გასპარ პერეს მარტინესი, იაგო ფალკე სილვა, დიეგო მარინიო ვილიარი.**

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები საკვალიფიკაციო ციკლში 3 ივნისს ჩაებმება და ამ დღეს სტუმრად ხორვატიას დაუპირისპირდება, ხოლო მეორე მატჩი ოთარ გაბელიას გუნდს სწორედ ესპანეთთან ელის – შინ, 1 სექტემბერს.

შეგახსენებთ, ჩვენი 21-წლამდელები 23 მარტიდან ავსტრიის ოთხთა საერთაშორისო ტურნირში ითამაშებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U 17

მეტოქე

# ფრანგული თვრამეტეულიც ცნობილია და მეორე ფინალისტიც

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების საელიტრაუნდო სამზადისის შესახებ ჩვენი მკითხველი დეტალურადაა ინფორმირებული და პერიოდულად **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდის მეტოქეთა შესახებაც გაწვდით ცნობებს. ჟორჟიკაშვილის შემდეგ, 18-კაციანი შემადგენლობა დაასახელა საქართველოს ნაკრების უმთავრესი მეტოქისა და ჯგუფის მასპინძლის, საფრანგეთის 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა **პატრიკ გონფალონმა**.

საინტერესოა, რომ ნაკრებში წარგზავნილები საკმაოდ ბევრ კლუბს ჰყავს. ყველაზე მეტი, ოთხი ფეხბურთელი პსჟ-დანაა, სულ კი გონფალონის განკარგულებაში ათი ფრანგული და ერთი ესპანური კლუბის წევრები არიან.

მეკარეები: **კვენტინ ბონარდიუ** (ლე მანი), **ლიონელ მპასი ნზო** (პსჟ);

მცველები: **ანტუან კონტე, ჟორდან იკოკო** (ორივე – პსჟ), **რაფაელ სალვე** (ოსერი), **ბენჟამინ მენდი** (ლე ავრი), **კურტ ზუმა** (სენტ ეტიენი), **ემერიკ ლაპორტი** (ატლეტიკი ბილბაო);

ნახევარმცველები: **ვესლი ჟობელო** (მარსელი), **კარლ მადიანგა** (ლე მანი), **საჰილო მეიტე** (ოსერი), **ადამ ნკისუ** (ლე ავრი), **ადრიენ ტამეზე აუსტა** (ნანსი), **აბდულაიე ტურე** (ნანტი), **აბდალა იასიენი** (პსჟ);

თავდამსხმელები: **სებასტიენ ჰალერი** (ოსერი), **გაეტან ლაბორი** (ბორდო), **ლენი ნანგი** (კაენი).

შეგახსენებთ, ჩვენი გუნდი ელიტრაუნდის სასტარტო მატჩს სწორედ ფრანგების წინააღმდეგ ჩაატარებს და წარმატების შემთხვევაში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის რეალური შანსი გაუჩნდება. შეხვედრა 25 მარტს ნანტის "ლა ბოჟუარზე" გაიმართება.

პირველ შესარჩევ ეტაპზე საფრანგეთმა სლოვენიას 1:0 სძლია, კვიპროსთან 1:1 ითამაშა, იტალიასთან 1:2 დამარცხდა და ელიტრაუნდში გაჭირვებით გავიდა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ცნობილი გახდა კონტინენტის პირველობის ფინალური ეტაპის მეორე მონაწილე. მასპინძელ სერბეთს ჩეხეთი შეუერთდა, რომელმაც ელიტრაუნდი დამაჯერებლად მოიგო. ჩეხებმა სლოვაკებსა და იტალიელებს, შესაბამისად, 1:0 და 2:1 სძლიეს, ბოლო ტურში კი შოტლანდიას 1:1-ზე დაუზავდნენ. ჩეხეთის 17-წლამდელთა ნაკრები შარშანდელ ელიტრაუნდში **გიორგი დევდარიანის** გუნდის მეტოქე იყო და იმის მიუხედავად, რომ პირველ ტურში საქართველოს ნაკრებთან 0:1 დამარცხდა, მაინც შეძლო ჯგუფში გამარჯვება და ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

უცხოურ პრესაში

# მურთაზ შელია: მანჩესტერს ორი ღმერთი ჰყავდა: კანტონა და ქინქლაძე

**უკრაინული "სპორტ-ექსპრესი" გაესაუბრა საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ მცველ მურთაზ შელიას, რომელმაც "მანჩესტერ სიტიში" გატარებული პერიოდი გაიხსენა და სხვა საინტერესო თემებსაც შეეხო. უკრაინელ ჟურნალისტებს 41 წლის შელია იმიტომ გაახსენდათ, რომ წუხელ კიევის "დინამო" ევროპის ლიგის მერვედფინალში მის ყოფილ კლუბს გადაეყარა. ინტერვიუს მცირე შემოკლებით გთავაზობთ.**

**- თუ არ ვცდებით, დიდ ბრიტანეთში პირდაპირ ვლადიკავკაზიდან გაემგზავრეთ.**

- დიახ. თუმცა "მანჩესტერ სიტის" სკაუტებმა "უემბლიზე" გამართულ ინგლის-საქართველოს მატჩისას შემამჩნიეს. ის თამაში 0:2 წავაგეთ, მაგრამ ურიგოდ არ გამოვიყურებოდით, მეორე გოლი შეხვედრის მიწურულს გავუშვით. მალე "სიტისთან" კონტრაქტი გავაფორმე, მოგვიანებით კი კახა ცხადაძე შემომიერთდა – ჩემი მეწყვილე საქართველოს ნაკრების დაცვის ცენტრში.

**- "ქალაქელების" შემადგენლობაში გატარებული სამი სეზონის განმავლობაში მხოლოდ 15 მატჩი ჩაატარეთ.**

- პირველ შეხვედრებში შეუცვლელად ვთამაშობდი, მაგრამ მერე, სამწუხაროდ, მძიმედ დავშავდი – ჯვარედინი მყესები გამიწყდა. ამით ჩემი ინგლისური კარიერა დასრულდა და ველარც სხვაგან შევძელი ძველებურ დონეზე თამაში (2000-01 წლებში მურთაზმა თბილისის "ლოკომოტივისა" და "დინამოს" შემადგენლობაში ოთხიოდე მატჩი ჩაატარა). ყველა უსიამოვნების მიუხედავად, მანჩესტერთან მაინც კარგი მოგონებები მაკავშირებს.

**- გულისხმობთ იქ გატანილ ორ გოლს?**

- ესეც და სხვაც. გოლი ხომ "მანჩესტერ სიტის" შემადგენლობაში ჩატარებულ პირველივე მატჩში გავიტანე. ბირმინგემში ვთამაშობდით, შეტევაში ჩავერთე და ჩვეული თავურით გავიტანე. ეს 89-ე წუთზე მოხდა. და იცით, რა მოხდა ამის შემდეგ? ორი ბურთი მივიღეთ და დავმარცხდით. სწორედ მაშინ მივხვდი, რა არის ინგლისური ფეხბურთი.

**- "მანჩესტერ სიტიში" პოსტსაბჭოეთის მხოლოდ ოთხ წარმომადგენელს უთამაშია და ოთხივე ქართველია – თქვენ, ცხადაძე, ქინქლაძე და ყაველაშვილი. რით ახსნიდით კლუბის ხელმძღვანელთა ასეთ დაინტერესებას თქვენი თანამემამულეებით?**



მურთაზ შელია (მარჯვნივ) ინგლისის ნაკრებთან მატჩისას

>> მე-3 გვერდზე

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქომაგო

# თეთრად, მრავლად, ომახიანად!

## თბილისი + რეგიონები: ესეც მე-12 მოთამაშე

საქართველო-ხორვატიის ეროვნული ნაკრებების 26 მარტის მატჩმა ქართველ გულშემატკივრებში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ემზადებიან „ქართული სპორტის ქომაგებიც". მათ გუშინ "ვარდების მოედანზე" პრესკონფერენცია გამართეს, რომლის შემდეგაც 2 ჯგუფად (დასავლეთის და აღმოსავლეთის) გაიყვნენ და კომპანია „ნატახტარის" მხარდაჭერით რეგიონებში გაემგზავრნენ.

**დასავლეთის მარშრუტი:** 17 მარტი, ხუთშაბათი: **თბილისი-გორი-ბათუმი;** 18 მარტი, პარასკევი: **ბათუმი-ლანჩხუთი-ფოთი-ზუგდიდი;** 19 მარტი, შაბათი: **ზუგდიდი-სენაკი-სამტრედია;** 20 მარტი, კვირა: **ქუთაისი-ზესტაფონი.**

**ალმოსავლეთის მარშრუტი:** 17 მარტი, ხუთშაბათი: **თბილისი-ბოლნისი-მარნეული;** 18 მარტი, პარასკევი: **ახმეტა-ყვარელი-თელავი.**

მიზანი რაიონებში გულშემატკივართა აქტიურ ჯგუფებთან შეხვედრა, გაერთიანების გეგმების გაცნობა და 26 მარტს 26-ე სექტორიდან ეროვნული ნაკრების ორგანიზებული გულშემატკივრობაა. მატჩზე დასწრება ბევრ ადამიანს სურს, მათ შორის რეგიონებში მაცხოვრებლებსაც, „ქართული სპორტის ქომაგები" კი მათ ორგანიზებულ თანადგომას აპირებენ.

რატომ მაინცდამაინც ეროვნული სტადიონის 26-ე სექტორი? დაარსების დღიდან, „ქართული სპორტის ქომაგები" სწორედ იქ იკრიბებიან. რეგიონებიდან ჩამოსულ გულშემატკივრებს კი ამ სექტორის 10-ლარიანი ბილეთების დაჯავშნით დაეხმარებიან, საჩუქრად გადასცემენ „ქომაგის" თეთრ მაისურებს, რომელთა დამზადებაშიც ისევ კომპანია „ნატახტარი" ეხმარებათ. ასე თბილისელი და რაიონებიდან ჩამოსული გულშემატკივრები სოლიდურ ძალად გაერთიანდებიან და ნაკრებსაც ომახიანად უქომაგებენ – ძალა ხომ ერთობაშია.

ამას გარდა, „ქართული სპორტის ქომაგები" ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან შეხვედრასაც აპირებენ, რათა თამაშის დღეს ქომაგებს გამოუყონ უფასო ავტობუსები და მატჩზე დასწრების მსურველებს თბილისში და უკან ტრანსპორტირებაში დაეხმარებიან.

"მატჩამდე რეგიონებიდან ჩამოსული ავტობუსები და ავტომანქანები მცხეთაში მოგროვდება, საიდანაც თბილისისკენ ტრადიციულ მსვლელობას მოვაწყობთ. საღამოს, მატჩის დაწყებამდე დაახლოებით 3 საათით ადრე კი 26-ე სექტორში შევიკრიბებით. ჩვენი მიზანი 26 მარტს ჩვენს სექტორში მრავალრიცხოვანი ჯგუფის შეკრებაა, რომელიც ტრიბუნას "ქომაგების" თეთრი მაისურებით გადაათეთრებს და შექმნის ისეთ ატმოსფეროს, რომელსაც მთელი სტადიონი აყვება." – გვითხრა „ქართული სპორტის ქომაგთა" ერთ-ერთმა ლიდერმა **ამირან ურუშაძემ.**

**მერაბ მამულაშვილი**



● სადაურსა სად...

# ირაკლი კვეკვესკირი: სალაპარაკო ენა შეიძლება არ იცოდე, მაგრამ გულის ენა უნდა იცოდე

**ოთარ გაბელიამ ავსტრიაში გასამგზავრებელ ფეხბურთელთა შორის ორი კვეკვესკირი მიიწვია: თბილისის დინამოელ ნიკა კვეკვესკირს ჩვენი გულშემატკივარი მეტ-ნაკლებად იცნობს, უნგრეთის პირველი ლიგის ლიდერ "პეჩის" 21 წლის წევრის ირაკლი კვეკვესკირის შესახებ კი ბევრი არაფერია ცნობილი.**

**ირაკლის უნგრეთში დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით, თუმცა რუსულად ვისაუბრეთ, რადგან ქართული კარგად არც იცის.**

**- ჯერ შენი თავი გავაცნოთ გულშემატკივრებს. სად გაიზარდე, სად ვარჯიშობდი და თამაშობდი.**

- 12 მარტს 21 წლის გავხდი. დავიბადე აფხაზეთში, გალელი ვარ, ომის შემდეგ ჩემი ოჯახი მოსკოვში დასახლდა და 11 წლიდან მოსკოვის "დინამოს" სკოლაში ვვარჯიშობდი. რაც შეეხება ჩემს კარიერას, მოსკოვის "დინამოს" დუბლშემადგენლობაში ვთამაშობდი, 2009 წლიდან ერთი სეზონი კრასნოდარის "ყუბანში" გავატარე, უნგრეთში კი 2010 წელს გადმოვედი და დღემდე აქ ვთამაშობ.

**- უნგრეთში როგორ აღმოჩნდი?**

- არ ვიცი რატომ, მაგრამ მენეჯერმა წამიყვანა.

**- წასვლა არ გსურდა?**

- არ მინდოდა, მაგრამ იყო მიზეზები, რასაც ანგარიში გავუწიე, მაგრამ ახლა ერთი სული მაქვს, უნგრეთს როდის დავტოვებ.

**- "პეჩთან" კონტრაქტი მალე გიმთავრდება?**

- სეზონის დასრულების შემდეგ თავისუფალი ვიქნები.

**- რუსეთში რატომ არ დარჩი, პრობლემები გქონდა?**

- პრობლემა ის იყო, რომ ყელში ამომივიდა უსამართლობა, რომელთან ბრძოლას აზრი არ აქვს.

**- ასეთ რა უსამართლობას წააწყდი?**

- ყველაფერს წყვეტს ფული, მენეჯერის ინტერესი და არა ის, როგორ თამაშობ. მაგრამ ეს არა მხოლოდ რუსული, ალბათ, ყველა ქვეყნის ფეხბურთის პრობლემაა. ბევრი ვერაფერი ფეხბურთელია, მაგრამ გავლენიანი მენეჯერები ჰყავთ და ათამაშებენ, უფრო ძლიერების ნაწილი კი იჩაგრება, რადგან მენეჯერებთან ურთიერთობა არ სურთ. სამწუხაროდ, ფეხბურთში აგენტების გავლენა უაზრობამდეც მიდის. ყველაფერს კარგად ვხედავდი და ვგრძნობდი, რომ შეგუება არ შემეძლო. მაგრამ არაფერია, ღმერთი ყველაფერს ხედავს.

**- როგორც ვხვდები, ლაპარაკი უნდა იყოს კრასნოდარის „ყუბანზე" - ხელი შეგიშალეს?**

- მთავარ გუნდში ვვარჯიშობდი და ძირითადში დამკვიდრების იმედი მქონდა. მაგრამ, როდესაც თავის გამოჩენის შანსზე მიდგებოდა საქმე, სულ მესმოდა, "ხვალ, ხვალ, ხვალ", არადა, დრო გადიოდა, ეს "ხვალ" არ დგებოდა და როდემდე მეთმინა? დუბლებში სეზონი თითქმის სრულად და შეუცვლელად ჩავატარე, მხოლოდ ოთხი შეხვედრა გამოვტოვე ყვითელი ბარათების გამო. შესაძლოა, სიფიცხე და მოედანზე საკმაო სიხისტე ხელს მიშლიდა.

**- ხისტი მოთამაშე ხარ?**

- შეიძლება ითქვას, საკმაოდ ხისტიც.

**- სისხლი მაინც თავისას შვრება?**

- ასეა, ჩემთვის სხვანაირად წარმოუდგენელია.

**- მაგრამ არ იცი ქართული.**

- როგორ არ ვიცი, უბრალოდ, ცუდად ვლაპარაკობ, მეგრულიც მესმის. უნდა გამიგოთ, მოსკოვში, რუსების გარემოში გავიზარდე, ქართველებთან ხშირი ურთიერთობა არ მქონდა, ენას კი სხვაგვარად ვერ აითვისებ. თუმცა მთავარია, რომ გული მაქვს ქართული. ნაკრებში ჩამოსვლით და ბიჭებთან ურთიერთობით ეს პრობლემა მოგვარდება.

**- სანაკრებო სიაში შენი გვარი ნახევარმცველებშია. ზუსტად რომელ პოზიციაზე თამაშობ?**

- უფრო მარცხენა მცველად მათამაშებენ, თუმცა "პეჩში" საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზეც ხშირად მაყენებენ. ასე იყო რუსეთშიც. საერთოდ, სადაც მწვრთნელი დამაყენებს, მეც იქ ვითამაშებ, რადგან მიყვარს თამაში და არა ფეხბურთის სათადარიგოთა სკამიდან ყურება.

**– ალბათ, რუსეთის შემდეგ, უნგრეთის პირველ ლიგაში თამაში არც ისე სასიამოვნოა.**

- რა თქმა უნდა, ასეა. მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება, დღეს ზევით ხარ, ხვალ დაეშვები. საჭიროა ბევრი ივარჯიშო და მოითმინო, სხვაგვარად ვერაფერს მიაღწევ.

**- ორიოდე წლის წინ თბილისში რომ გნახე, საკმაოდ ტანდაბალი იყავი, ახლა კი მონაცემებში 179 სანტიმეტრი გიწერია.**

- ბოლო წელიწად-ნახევარში ტანი საკმაოდ ავიყარე.

**- ოთარ გაბელიამ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მიგიწვია. ალბათ, ჩამოხვალ.**

- აუცილებლად, საქართველოს ნაკრებში თამაში ჩემი ნატვრა იყო.

**- თუ არ მეშლება, რუსეთის ერთ-ერთ ასაკობრივ ნაკრებშიც გიწვევდნენ.**

- სურდათ, რომ რუსეთის 17-წლამდელთა ნაკრებში მეთამაშა, მაგრამ უარი ვუთხარი.

**- ბოლო დროს სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებში ბევრ ქართველს უთამაშია და მათთვის ეს პრობლემა არ გამხდარა.**

- ქართველი ვარ და მიმაჩნია, რომ უნდა ვითამაშო არა დიდი ქვეყნის ნაკრებში, სადაც ეს უფრო სარფიანია, არამედ ჩემი ქვეყნის ღირსების დასაცავად. ცხადია, კლუბი სხვა საქმეა, 21-ე საუკუნეში ეს მოსულა.

საქართველოს ნაკრებში გამოძახება ჩემთვის ბევრს ნიშნავს. მინდა, საქართველომ მსოფლიოს ფეხბურთში დაიბრუნოს თავისი ადგილი, აღორძინდეს და პატივს გვცემდნენ.

**- როგორც მახსოვს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელობა შენით ადრეც დაინტერესდა.**

- დიახ, პეტარ შეგრტმა და ზაურ სვანაძემ სამი წლის წინაც მიმიწვიეს. ახლა ჯანმრთელად ვარ და შეკრებაზე აუცილებლად გამოვცხადდები. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატთა სიაში რომ ვიყავი, ეს ჯერ კიდევ ერთი თვის წინ მითხრეს, მაგრამ კლუბში ოფიციალურ მიწვევას ველოდი. დიდი მადლობა მოწვევისთვის, შევეცდები, გაბელიას იმედი გავუმართლო და დავუმტკიცო, რომ ტყუილად არ მენდო, რომ ვიმსახურებ არა მხოლოდ ახალგაზრდულ, არამედ ეროვნულ ნაკრებში თამაშსაც.

**- ამბიციური სურვილები გქონია.**

- აბა, უნგრეთის პირველ ლიგაში თამაშზე ხომ არ ვიოცნებებ? რაიმეს რომ მიაღწიო, ამბიციური მიზნებიც უნდა დაისახო.

**– უნგრულ კლუბში ჯერ მხოლოდ შვიდი შეხვედრა ჩაატარე. ძირითადში იშვიათად გათამაშებენ?**

- მწვრთნელი კი მენდობა, მაგრამ ბოლო დროს უიღბლობა დამჩემდა. რამდენჯერმე დავშავდი და დრო გამიცდა, ცხადია, ტრავმირებული ვერ ვითამაშებდი. საბედნიეროდ, ახლა ჯანმრთელად ვარ. ტრავმებს ხელი რომ არ შეეშალა, ახლა ბევრად სოლიდურ კლუბში ვითამაშებდი. მაგრამ არაფერია, ყველაფერი წინ მაქვს.

**- ტრავმა კი მოირჩინე, მაგრამ "ტატაბანიასთან" წითელი ბარათით სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია დაგიმსახურებია. ისევ სისხლმა გიყივლა?**

- ფიცხი კი ვარ, მაგრამ "ტატაბანიასთან" საგანგაშო ისეთი არაფერი მომხდარა, ჯარიმასაც არ ვიმსახურებდი, მაგრამ უნგრეთში ისეთი სიმულანტები არიან, კატასტროფაა. პატარაზე შეეხები და უცებ ტირიან. ორი მატჩი უკვე გამოვტოვე, მესამეზე კი დიდად არც ვდარდობ, რადგან მატჩი იმ დროს არის, როდესაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე ვიქნები.

**- უცნაურია, "პეჩი" პირველ ადგილზეა, მაგრამ გუნდის მთავარი მწვრთნელი ლასლო კისი მოხსნეს.**

- ასეთი პრეზიდენტი გვყავს, არ ვიცით, რა უნდა. თუმცა, დარწმუნებული ვარ, გუნდი ჩემპიონატს მაინც პირველ ადგილზე დაასრულებს და უნგრეთის უმაღლეს ლიგაში გადავა.

**- რომელიმე ქართველ ფეხბურთელს თუ იცნობ?**

- კი, რა თქმა უნდა. "დიორის" ქართველებთან ვახლობლობ. მათ გარდა, კარგად ვიცნობ კაკუბავას, ბუალავას, მაკარიძეს, გვაზავას. ბევრ სხვასაც ვიცნობ, მაგრამ ასე ახლო ურთიერთობა არ მაქვს.

**მერაბ მამულაშვილი**

BG Bet Guru
http://bet.goli.ge
სრულიად უფასოდ !!!
ხარ აზარტული და გიყვარს ფეხბურთი ?
გამოიცანი თამაშების შედეგები და მოიგე !
- თითოეულ ჩემპიონატზე თვეში 100 ლარი
- Top 5 - ყოველკვირეული გათამაშება - საპრიზო ფონდი 250 ლარი!
- სეზონის ბოლოს 3000 ლარი, ან 'ელ კლასიკოზე' დასასწრები 2 ბილეთი!

# მანჩესტერს ორი ღმერთი ჰყავდა: კანტონა და ქინქლაძე

« მე-2 გვერდიდან

- ეს უდავოდ გიორგი ქინქლაძის დამსახურებაა. იგი "სიტიში" 1995 წელს მივიდა და უმოკლეს დროში ამ კლუბის გულშემატკივარი ჭკუიდან შეშალა. როცა მანჩესტერში პირველად ჩავედი, მაშინვე მივხვდი, რომ ქალაქს ორი ღმერთი ჰყავდა – კანტონა და ქინქლაძე, "იუნაიტედისა" და "სიტის" გამორჩეული ვარსკვლავები.

**- ინგლისში გიორგის "ქინქი" შეარქვეს, რაც ინგლისურად "შეშლილს" ნიშნავს. რას ეძახდნენ მანჩესტერში შელიას?**

- უბრალოდ, მურთაზს. იქ ხომ იმდენი არ მითამაშია, რომ ჩემთვის მეტსახელის მოფიქრება მოესწროთ.

**- თქვენი ყოფილი კლუბის ასპარეზობას თუ ადევნებთ თვალს?**

- რა თქმა უნდა. ვქომაგობ "ალანიასა" და "მანჩესტერ სიტის". ვლადიკავკაზური გუნდი ბოლო წლებში ველარ მახარებს, "სიტი" კი პრემიერლიგის ერთ-ერთ ფავორიტად იქცა.

**- ევროპის ლიგაზე კი ამას ვერ ვიტყვით. "სიტი" კიევის "დინამოსთან" დამარცხდა.**

- სამწუხაროდ, ეს მატჩი ქართულ არხებს არ უჩვენებიათ, მაგრამ თამაშის მიმოხილვა ვნახე. "დინამოს" გამარჯვება ძალიან გამიხარდა და მას დიდ წარმატებებს ვუსურვებ. განმეორებით მატჩში კიეველებს ძალიან გაუჭირდებათ, მაგრამ მეოთხედფინალში გასვლის შანსი ნამდვილად აქვთ.

**- ანდრეი შევჩენკოს მაღალ დონეზე თამაში არ გაოცებთ?**

- მისით აღფრთოვანებული ვარ. უკვე 34 წლისაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უმაღლეს დონეზე თამაშს კიდევ რამდენიმე წელიწადი შეძლებს. მარადონა 37 წლამდეც კარგად დარბოდა, მაგრამ ისიც და შევჩენკოც გამონაკლისები არიან. ვფიქრობ, შევჩენკოს ბომბარდირული მონაგარი კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, თავის დროზე შეცდომა რომ არ დაეშვა და "ჩელსიში" არ გადასულიყო. "მილანში" რომ დარჩენილიყო, ანდრეი ამ კლუბის დიდ ფეხბურთელთა შორის კიდევ უფრო გამორჩეულ ადგილს დაიკავებდა. სერია A-ში იგი ბრწყინვალე იყო, პრემიერლიგაში კი საკუთარი შესაძლებლობები ვერ წარმოაჩინა. ინგლისში სულ სხვა ფეხბურთს თამაშობენ...

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

დინამოელებო – გაერთიანდით!
დინამოს გვერდით ყოფნა უკვე საამაყოა!
აქ 90 წუთი თავდადებაა!
გაწევრიანება – უფასოა
გულშემატკივრობა – სავალდებულო!
ჩვენ ვართ დინამო!
ჩვენ ვართ გლადიატორები!
დინამოს ფან-კლუბში გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, ვისაც უყვარს ჩვენი გუნდი და შეუძლია 90 წუთის განმავლობაში დინამოს მე-12 ფეხბურთელად იქცეს. ფან-კლუბის წევრები უზრუნველყოფილნი იქნებიან მატჩზე დასასწრები ბილეთებით და ტრანსპორტირებით გასვლით მატჩებზე. გამორჩეულ ფანებს გადაეცემათ კლუბის მაისურები და სხვა ატრიბუტიკა.
დაგვიკავშირდით: 893 35-80-14 874 77-77-84

# როცა მარტი უცნაურია...

...დაიწყო მარტი და საქართველოს ჩემპიონატში... მოულოდნელმა შედეგებმაც მოიმატა! ოღონდ, ისიც ვთქვათ, რომ ყველაფრის მარტის ჭირვეულობაზე „გადაბრალებაც" არასწორი იქნებოდა; ამ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, გადამწყვეტი ფაქტორი ხომ სატურნირო მდგომარეობას უნდა მივანიჭოთ და მოდი, იმაზეც შევთანხმდეთ, რომ სულ მცირე აპრილის შუა რიცხვებამდე მეტ-ნაკლებად მოულოდნელი შედეგით დამთავრებულ მატჩებსა თუ ბევრად უფრო ხმაურიან სენსაციებს კიდევ უნდა ველოდოთ. აი, ერთი თვის მერე კი, დიდი ალბათობით, ლოგიკამ და კანონზომიერებამ უნდა „იზეიმოს"; ოღონდ, იმ დროისათვის ამა თუ იმ გუნდის სათამაშო კლასსა თუ სიძლიერეს კი არ ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ კონკრეტულ მომენტში რომელ გუნდს უფრო დასჭირდება ქულები. რა თქმა უნდა, „ხელალებით" არაფერს ვამტკიცებთ, გინდა თუ არა, სეზონის ბოლოსკენ „უცნაური" მატჩები მოგვიმრავლდებაო, უბრალოდ, ნამდვილად არ გვინდა მოვლენები ასეთი „სცენარით" რომ განვითარდეს. არადა, ბოლო წლების სტატისტიკა საპირისპიროს „ამტკიცებს" და საქართველოს ჩემპიონატი ამ მხრივ „განსაკუთრებულად გამორჩეული" (ანუ, ერთადერთი) სულაც არ არის...

ახლა კი გასული ტურის გამორჩეული ფაქტები თუ მოვლენები გავიხსენოთ და უპირველესად ის ვთქვათ, რომ სეზონის ბოლომდე საქართველოს ჩემპიონატს ინტრიგა გარანტირებული აქვს! თანაც, ეს ინტრიგა თუ დაძაბულობა საჩემპიონო რბოლაშიც იგრძნობა და ცხრილის ქვედა ნაწილშიც...




## შეხვედრა წარსულთან

ზედიზედ მეორე ტურია ფოთის „კოლხეთი" განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია: უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის მებრძოლმა გუნდმა ჯერ „ზესტაფონთან" მატჩში შეძლო სენსაციის მოხდენა და ერთპიროვნულ ლიდერთან სტუმრად ჩატარებულ შეხვედრაში ქულა მოიპოვა; ამჯერად კი ჩემპიონობის მეორე კანდიდატს, რუსთავის „ოლიმპს" დაუხვდა მედგრად და ამ შემთხვევაშიც ქულა მოიპოვა. ისე, მართლაც უცნაურია, მაგრამ ფაქტია: ამ სეზონში „კოლხეთს" მოქმედ ჩემპიონთან... დადებითი ბალანსი აქვს! ეგ კი არა, პირველ წრეში ფოთელთა სარეკორდო გამარჯვება (5:1) დღემდე რჩება XXII ჩემპიონატის ერთ-ერთ ყველაზე ხმაურიან სენსაციად...


ლაშა ძაგანია მამუკა ქანთარიას ფოტო

ზედიზედ მეორე ტურია ჩინებულად ასპარეზობს „კოლხეთის" მეკარე **ლაშა ძაგანია** - 23 წლის ფეხბურთელმა პირველ ეტაპზეც რამდენიმე შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა (ოღონდ, იმ პერიოდში „სამტრედიაში" გამოდიოდა) და აი, ახალ გუნდშიც აგრძელებს საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცებას. გასაგებია, რომ მხოლოდ მეკარის დამაჯერებელი თამაშით სასურველი შედეგის მიღწევა რთულია, მაგრამ დამსახურებაც არავის უნდა დავუკარგოთ და ძაგანიაც (სრულიად დამსახურებულად) ზედიზედ მეორედ ტურის სიმბოლურ ნაკრებში შევიყვანეთ. ასევე ზედიზედ მეორედ „ტურის მწვრთნელად" ფოთის „კოლხეთის" თავკაცი მივიჩნიეთ: წინა ტურში ეს პატივი **დავით მახარაძეს** ერგო, ამჯერად კი მის უფროს კოლეგას — **სოსო ფილიას.** ისე, მცირე განმარტებაც გვინდა გავაკეთოთ: დავით მახარაძის ხელმძღვანელობით „კოლხეთმა" ზესტაფონიდან ქულა რომ წამოიღო, ამ სპეციალისტს, რატომღაც უმაღლესი ლიგის დებიუტანტი-მწვრთნელი უწოდეს. არადა, მახარაძე ჯერ კიდევ 8 წლის წინათ (!) ხელმძღვანელობდა „კოლხეთს"; იმაზე ხომ საერთოდ, ზედმეტია ლაპარაკი, რომ უმაღლეს ლიგაში ფოთელთა გუნდის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი სწორედ დავით მახარაძე გახლავთ...

...ტურის წინათქმაში ვრცლად ვისაუბრეთ „კოლხეთის" ახალ მთავარ მწვრთნელზე; და აი, უმაღლეს ლიგაში დღესდღეობით ყველაზე გამოცდილ სპეციალისტს სოსო ფილიას მართლაც ჩინებული დაბრუნება გამოუვიდა: ჩემპიონატის ერთ-ერთ რეალურ ფავორიტთან მატჩში „კოლხეთმა" უმნიშვნელოვანესი ქულა აიღო!

... 2006 წლის 9 მაისს, XVII ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში სოსო ფილიას ხელმძღვანელობით მოასპარეზე „კოლხეთმა" საკუთარ მოედანზე „ცხინვალს" დიდი ანგარიშით (3:0) მოუგო; იმ დროს ვერავინ იფიქრებდა, „კოლხეთს" სულ მალე რა უსიამოვნებაც ელოდა: ფინანსური პრობლემების გამო მომავალ სეზონში გუნდს უმაღლეს ლიგაში ასპარეზობაზე უარი ეთქვა; შემდეგ უფრო უარესი მოხდა — „კოლხეთი" რეგიონალურ ლიგამდე დაქვეითდა და ადგილობრივი ბიზნესმენის, **თემურ ბარქაიასა** და ამ გუნდის ყოფილი ფეხბურთელისა და მწვრთნელების - **ზაზა ინიაშვილისა** და **ბესიკ შეროზიას** დიდი ძალისხმევით 2010 წლის ზაფხულიდან ფოთელთა საყვარელი გუნდი კვლავაც დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას.

... ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ „კოლხეთის" სატურნირო მდგომარეობას კრიტიკულს და სავალალოს ვუწოდებდით, — ის კი არა, ლამის იყო გუნდს ... პირველი ლიგის საგზურიც წინასწარ „გამოვუწერეთ". მაგრამ ჩემპიონატის ორ გამორჩეულ გუნდთან (გნებავთ, ფავორიტებთან) მოპოვებულმა ორმა ქულამ „კოლხეთის" არა მხოლოდ სატურნირო მდგომარეობა გააუმჯობესა, არამედ იმის იმედიც გაუჩინა ფოთელებს, რომ მათ საყვარელ გუნდს მომავალ სეზონშიც უმაღლეს ლიგაში იხილავენ. ამის წინაპირობას სხვა დამაიმედებელ ფინანსურ გარანტიებთან ერთად მწვრთნელების ფაქტორიც იძლევა: დავით მახარაძესთან ერთად სამწვრთნელო შტაბში აგრეთვე იმუშავებენ ამ ქალაქისა და გუნდისთვის კარგად ნაცნობი სახეები **ნუგზარ მიქაბერიძე** და **მამუკა მიქავა.**

## სტაბილურობა და ფუფუნება

ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო „დინამომ" და ლიდერ „ზესტაფონთან" რვაქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად, კლუბში ჩემპიონობის თემა კვლავაც აქტუალურია. ანდა, რატომ არ უნდა იყოს? იმის გარდა, რომ სეზონის ბოლომდე გუნდს ქულების აქეთ-იქით „დარიგების" უფლება ალარ აქვს, ხომ შეიძლება კონკურენტებმაც, ამ და წინა ტურის მსგავსად, გზადაგზა სადმე წაიფორხილონ? ისე, „დინამოზე" და ამ გუნდის ახალწვეულებზე მეორე ეტაპის დაწყებიდან უკვე არაერთხელ ვისაუბრეთ და აი, მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამაც**, ეტყობა, საბოლოოდ მიაგნო კიდეც მეტ-ნაკლებად ოპტიმალურ შემადგენლობას; ყოველ შემთხვევაში, ზამთრის პაუზის მერე პირველად მოხდა, როცა ზედიზედ ორი მატჩი „დინამომ" ერთი და იგივე შემადგენლობით იასპარეზა, - სტაბილურობის შედეგი კი სატურნირო ცხრილსაც „დაეტყო", მით უფრო, როცა გუნდს კონკურენტებთან შედარებით ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. კაჭარავას პირველ ეტაპზეც და წინა სეზონშიც მუდამ ჰქონდა გრძელი სათადარიგოთა სკამის პრობლემა; ახლა კი, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და პირველად ბოლო წლების განმავლობაში, „დინამოში" მართლაც არნახული კონკურენციაა. თავად განსაჯეთ: ზედიზედ ორი ტურია, 18-კაციან განაცხადში ვერ ვხედავთ **გია კვარაცხელიასა** და **ედნილსონს**, ტრავმების გამო გუნდს ვერ ეხმარებიან **შოთა კაშია** და **გულვერდ თომაშვილი**, თადარიგში ყოფნა უწევს ზოგიერთ ახალწვეულსაც (**ნიკა კვეკვესკირი, მარკო მაროვიჩი, დიმიტრი ტატანაშვილი, დავით ციმაკურიძე**), ჰოდა, ყოველივე ამას, ალბათ, ფუფუნებაც უნდა ეწოდოს...

გასულ ტურში „დინამოს" იოლი მატჩი ნამდვილად არ ჰქონია: ტაიმების ბოლოს თითო-თითო გატანილი გოლით, „სიონის" წინააღმდეგობა დაძლია. აღსანიშნავია, რომ ზედიზედ მეორე შეხვედრაში გამოიჩინეს თავი **ლევან ხმალაძემ** და **დონალდ ჯუისმა.** სხვათა შორის, ხმალაძეს ამ სეზონში უკვე 7 გოლი დაუგროვდა და დღესდღეობით „დინამოს" საუკეთესო ბომბარდირია; აი, ჯუისმა კი, ისე როგორც წინა ტურში „სამტრედიასთან" შეხვედრაში, ამჯერადაც შეცვლაზე შემოსულმა შეძლო გოლის გატანა.

## ახალი ვეტერინარები

პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ „ვიტ ჯორჯია" ერთი შეხედვით კომფორტულ პოზიციაზე (V ადგილზე) კი იმყოფებოდა, მაგრამ გუნდის სატურნირო მდგომარეობას დამაიმედებელი ნამდვილად არ ეთქმოდა — „ვეტერინარებს" გასავარდნ ზონასთან მხოლოდ და მხოლოდ 3 ქულა აშორებდა და აი, მეორე ეტაპის დაწყებიდან 7 ტური გავიდა და „ვიტ ჯორჯია" სახიფათო და, რაც მთავარია, თავისთვის შეუფერებელ გასავარდნ ზონას უკვე 15 ქულით დაშორდა! ჰო, ეს უკვე მართლაც სასიამოვნო მოულოდნელობაა — **მერაბ კოჭლაშვილის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა ზედიზედ ხუთი მატჩი მოიგო და აქვე ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ამ სეზონში მსგავსი მიღწევა მხოლოდ „ზესტაფონს" ჰქონდა. არადა, ბევრი ფიქრობდა, რომ მეორე ეტაპზე, კერძოდ, ჩემპიონატის მატჩებში „ვეტერინარები" თავს დიდად არ შეიწუხებდნენ და ძირითად აქცენტს თასის გათამაშებაზე აილებდნენ („ვიტ ჯორჯია" თასის ნახევარფინალშია გასული). ამას გარდა, არც ის იყო უმნიშვნელო ფაქტორი, როცა ზამთრის პაუზის დროს გუნდი ერთდროულად სამმა წამყვანმა ფეხბურთელმა (**ჯაბა ლიპარტია, ირაკლი კლიმიაშვილი, დავით ლომაია**) დატოვა, თუმცა სანაცვლოდ ძირითადი შემადგენლობისკენ გზა ბევრ ახალგაზრდა „ვეტერინარებს" გაეხსნა. ის კი არა, ტური არ გავა, „ვიტ ჯორჯიას" რომელიმე ახალგაზრდა ფეხბურთელმა თავი არ გამოიჩინოს: ორი ტურის წინ ბოლნისში უმაღლეს ლიგაში სადებიუტო გოლი **გურამ გურეშიძემ** გაიტანა, ახლა კი იგივე მიღწევა **გიორგი კორიფაძემ** გაიმეორა. რაც მთავარია, „ვიტ ჯორჯია" არ ღალატობს სამართლიანი თამაშის პრინციპებს — მეორე ეტაპზე ისეთი მეტოქეები დაამარცხა, რომელთა უმრავლესობასაც ქულები მეტად და მეტად სჭირდებოდა. საერთოდ კი, რახან ლაპარაკი მეტოქეებზე ჩამოვარდა, ისიც ვთქვათ, რომ „ტორპედოსთვის" ამ სეზონში ყველაზე უხერხული მოწინააღმდეგე სწორედ „ვიტ ჯორჯიაა": სამივე შეხვედრა „ვეტერინართა" გამარჯვებით დამთავრდა! ქუთათურებს ერთადერთ „ნუგეშად", ალბათ, მათი ძველ-ახალი ბომბარდირისა და საერთოდაც, მთავარი იმედის, **გიორგი მეგრელაძის** მორიგი გოლი იყო...


გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

## ქება ქობალიას

ტური არ გავა, ზუგდიდის „ბაიას" ჭაბუკ ფორვარდზე, **ირაკლი ქობალიაზე** ქების სიტყვები არ ვთქვათ; ამ ატლეტურ თავდამსხმელს ასაკთან შეუფერებელი (19 წელი ახლახან შეუსრულდა) „ცივსისხლიანობის" გარდა ბევრი ის თვისებაც გააჩნია, მაღალი კლასის თავდამსხმელად ჩამოყალიბებას რომ სჭირდება. ქობალიას სისწრაფეც არ დაენუნება, პოზიციასაც კარგად ირჩევს, ორთაბრძოლებშიც უშიშრად შედის და, რაც მთავარია, სათამაშო ეპიზოდებში სწრაფ და სწორ გადაწყვეტილებებს იღებს. სხვათა შორის, მეორე ეტაპის დაწყებამდე „ბაიას" მთავარმა მწვრთნელმა **ელგუჯა ქომეთიანმა** „ლელოსთან" ინტერვიუში ახალწვეულებზე საუბრისას ამ ბიჭის სახელი და გვარი ახსენა და ხაზგასმით აღნიშნა კიდეც: ირაკლი ქობალია ამ სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენა უნდა გახდესო. ჯერჯერობით ყველაფერი მართლაც აქეთკენ მიდის და დებიუტანტი ფორვარდის ანგარიშზე უკვე 4 გოლია; რაც მთავარია, „ბაია" კვლავაც წარმატებით აგრძელებს საკუთარ მოედანზე თამაშს (მეორე ეტაპზე ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს) და, ალბათ, სასწაული უნდა მოხდეს, ზუგდიდურ გუნდს უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხე რომ დაემუქროს. არადა, „ბაიას" დალხენილ-უზრუნველყოფილი ფინანსური პირობები აქვსო, ამას მართლაც ვერავინ იტყვის, მაგრამ, ამის მიუხედავად, ზუგდიდური გუნდი ღირსეულად ასპარეზობს. რაც, სამწუხაროდ „სამტრედიაზე" არ ითქმის — ყველასგან მიტოვებული ეს დიდი ტრადიციის მქონე გუნდი ზედიზედ მეხუთე მარცხით, ფაქტობრივად, პირველ ლიგაში გავარდნის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად უნდა განვიხილოთ. ახალგაზრდა მწვრთნელის, **ლევან ანჯაფარიძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „სამტრედიამ" წინა ტურისგან განსხვავებით ამჯერად მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატს, მაგრამ „ზესტაფონი" ზედიზედ მეორედ რომ არ დაკარგავდა ქულებს, ამაში, ალბათ, ყველა დარწმუნებული იყო. ასეც მოხდა: ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის, **ნიკოლოზ გელაშვილის** ერთადერთი გოლით **გია გეგუჩაძის** გუნდმა მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა და უახლოეს მდევარს „ოლიმპს" ახლა უკვე სამი ქულით უსწრებს...


ს.კ. სპარტაკის პრესსამსახურის ფოტო
ირაკლი ქობალია

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დისკვალიფიკაცია



ფერგიმ თხარა, თხარაო...

# ალექს ფერგიუსონს ხუთიანი

**ალექს ფერგიუსონი** ყველაფრით გამორჩეული კაცია: ის გახდა ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში პირველი მწვრთნელი, ვისაც ფეხბურთის ასოციაციის თასის „უემბლის ეტაპზე“ აუკრძალეს გუნდთან ერთად ყოფნა და „მანჩესტერ სიტისთან“ ნახევარფინალურ შეხვედრას ტრიბუნიდან ადევნებს თვალს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, „იუნაიტედის“ თავკაცს ხუთთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს და ამ ხუთი თამაშიდან ოთხი პრემიერლიგის ტურს ემთხვევა, ერთი კი ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალს. „უემბლიც“ ამიტომ ვახსენეთ. მოგეხსენებათ, ფეხბურთის ასოციაციის თასს ტრადიცია აქვს ასეთი — ნახევარფინალები და ფინალი ლონდონის ლეგენდარულ სტადიონზე იმართება.

სერ ალექსის დასჯის მიზეზს „ლელოს“ მკითხველისთვის შეხსენება არ სჭირდება: „ჩელსისთან“ თამაშის შემდეგ მან მსაჯი **მარტინ ატკინსონი** საჯაროდ გააკრიტიკა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას მისი კრიტიკული კომენტარიდან ყველაზე მეტად ყურში სიტყვა „უსამართლობა“ მოხვდა. ვინ იცის, ფერგის ამ სიტყვის ნაცვლად სხვა რომ ეხმარა, სასჯელი ასეთი მკაცრი არც ყოფილიყო. ეთქვა, მაგალითად რომ ატკინსონი შეცდა ან რამე ასეთი, მაგრამ სამართლიანობის ეჭვქვეშ დაყენება? ეს მეტისმეტი აღმოჩნდა და ასოციაციის გარდა, საფეხბურთო საზოგადოების დიდი ნაწილიც ალაშფოთა.

სხვათა შორის, „იუნაიტედის“ თავკაცი 30 ათასი ფუნტითაც დააჯარიმეს, თუმცა ეს თანხა ფერგიუსონისთვის დაუძლეველი არ არის. ის თავად დასჯის ფაქტს გაუბრაზებია. სერ ალექსს მიაჩნია, რომ იგი სიმართლისთვის და ენობრივი უზუსტობის გამო დასაჯეს. „იუნაიტედის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა ტაბლოიდებს უამბო:

*„ფერგიუსონი დარწმუნებულია, რომ მსაჯის იმდღევანდელი მოქმედება სწორად შეაფასა, თუმცა სიტყვა „უსამართლობაში“ განზრახ მიდგომა არ უგულისხმია. მას მერე, რაც თავისი პოზიცია განმარტა და სადისციპლინო კომისიას ზუსტად აუხსნა რა და რატომ თქვა, ის დარწმუნებული იყო, რომ აღარ დასჯიდნენ და ამიტომაც გამოვიდა წონასწორობიდან როდესაც ხუთთამაშიანი დისკვალიფიკაციის ამბავი გაიგო“.*

ფეხბურთის ასოციაციას სერ ალექს ფერგიუსონის საქმისთვის ცალკე განხილვა ჰქონდა დანიშნული.

აღსანიშნავია, რომ იმავე დღეს კოლეგას მხარი თვით „ჩელსის“ მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ** დაუჭირა. იტალიელმა განაცხადა:

*„მე ვუსმინე ფერგიუსონს და ვიცი რაც თქვა მატჩის შემდეგ. რასაკვირველია, ეს კარგი ნათქვამი არ იყო, მაგრამ ამისთვის ხუთი თამაშით არ უნდა დაესაჯათ“.*

ფერგიუსონმა ატკინსონი ძირითადად **დავიდ ლუიზთან** დაკავშირებული ორი გადაწყვეტილების გამო გააკრიტიკა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელს მიაჩნია, რომ „ჩელსის“ მცველი **ხავიერ ერნანდესისა** და **უეინ რუნის** წინააღმდეგ უხეშობისათვის მსაჯს მოედნიდან უნდა გაეძევებინა, ხოლო მან ბრაზილიელს ყვითელი ბარათი აკმარა. მოედანზე დატოვებული ლუიზი კი, ამ ორ ეპიზოდს თუ არ ჩავთვლით, შესანიშნავად თამაშობდა და გოლიც კი გაიტანა.

და მაინც, ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტის რეაქცია ლუიზის გაგდება-დატოვებით არ იყო განპირობებული. ასოციაციამ მიიჩნია, რომ ფერგიუსონმა მსაჯის პატიოსნებაში შეიტანა ეჭვი. შეგახსენებთ, სერ ალექსის მატჩის შემდგომი ინტერვიუს ერთ მონაკვეთს:

*„ბოლოს და ბოლოს, რა გვინდა ჩვენ, პატიოსანი თუ მკაცრი მსაჯი? თამაშის წინ, როდესაც გავიგე, ვინ დანიშნეს ჩვენი შეხვედრის არბიტრად, ეჭვი გამიჩნდა, რომ ასეთი რამ მოხდებოდა“.*

„მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცს ხუთთამაშიანი დისკვალიფიკაცია იმიტომ მიუსაჯეს, რომ მარტინ ატკინსონის კრიტიკისთვის სამი თამაში ეკუთვნოდა და კიდევ „ორთამაშიანი“ ვალი ჰქონდა — წინა სეზონში **ალან უაილის** „მინასთან გასწორების“ გამო „პირობითი დისკვალიფიკაცია“ ჰქონდა გალმოყოლილი.

დისკვალიფიკაცია 22 მარტიდან შევა ძალაში. ფერგი გამოტოვებს (უფრო სწორად ტრიბუნიდან ნახავს) შემდეგ თამაშებს: 2 აპრილს სტუმრად „ვესტ ჰემთან“, 9 აპრილს შინ „ფულჰემთან“, 16 ან 17 აპრილს თასის ნახევარფინალს „მანჩესტერ სიტისთან“, 23 აპრილს შინ „ევერტონთან“ და 1-ელ მაისს სტუმრად „არსენალთან“.

დავაზუსტოთ: „მანჩესტერ იუნაიტედს“ შეუძლია ითხოვოს და ფერგიუსონის დისკვალიფიკაცია 19 მარტიდან ანუ „ბოლტონთან“ თამაშიდან შეაყვანინოს ძალაში, რის შედეგადაც ფერგი 1-ელ მაისს, „არსენალთან“ თამაშში, მოედნის კიდესთან ყოფნას შეძლებს.

● მანჩესტერი

## რუნი დარჩება

მიუხედავად იმისა, რომ შემოდგომაზე **უეინ რუნიმ** „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, წამითაც არ დამცხრალა ჭორები, რომ მას გუნდიდან წასვლა უნდა. ჭორებზე ფეხბურთელის პასუხი ასეთი იყო — ის შესანიშნავად ათამაშდა.

შეგახსენებთ, რომ რუნისა და იუნაიტედის კრიზისი ოქტომბერში დაიწყო. მაშინ ყველაფერი იმას მიუთითებდა, რომ თავდამსხმელი სადაც იყო დატოვებდა სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდს. ფორვარდი ამბობდა, რომ „იუნაიტედი“ მის ამბიციებს ვეღარ აკმაყოფილებდა. ლაპარაკობდნენ „რეალზე“ და ასე განსაჯეთ „მანჩესტერ სიტიზეც“ კი. თუმცა ამის შემდეგ ვარსკვლავმა და კლუბის ხელმძღვანელებმა საერთო ენა გამონახეს — რუნის ხელფასი კვირაში 250 ათას ფუნტამდე გაეზარდა და ხუთწლიანი კონტრაქტიც გაფორმდა. და მაინც, ამის მიუხედავად, არ ცხრებოდა ხმები, რომ ფორვარდი ზაფხულში „ოლდ ტრეფორდს“ დატოვებდა. ამბობდნენ, რომ ხსენებული ხუთწლიანი კონტრაქტი იმიტომ გაფორმდა, რომ „იუნაიტედმა“ უფრო სარფიანად ივაჭროს.

*„ასეთი სისულელე ცხოვრებაში არ მსმენია, - თქვა „მარსელთან“ თამაშის შემდეგ რუნიმ, - სერ ალექსთან საუცხოო ურთიერთობა მაქვს და „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშიც დიდ*



უეინ რუნი

*სიამოვნებას მანიჭებს. ზაფხულში წასვლას რომ ვაპირებდე, ახალ კონტრაქტს არ გავაფორმებდი. მინდა ახალ ხელშეკრულებაში აღნიშნული ხუთი წელიწადი „ოლდ ტრეფორდზე“ გავატარო. „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ მხოლოდ იმ შემთხვევაში წავალ, თუ მოვბეზრდებით და გამაგდებენ. ყოველ შემთხვევაში, ოცდაათ წელს ამ გუნდის შემადგენლობაში რომ გადავცდები, ფაქტია“.* შეგახსენებთ, რომ რუნი 25 წლისაა.

● მწვრთნელი

## ადამსი და სიგიჟე

„არსენალის“ ყოფილი მცველი **ტონი ადამსი** ამბობს, რომ ინგლისელი მწვრთნელისთვის სიგიჟე აზერბაიჯანში წასვლა კი არა, პრემიერლიგაში მუშაობაა. ადამსი არ ნანობს სამშობლოდან ძალიან შორს, კავკასიის ერთ-ერთ ქვეყანაში რომ წავიდა. 44 წლის სპეციალისტმა ინტერვიუში განაცხადა:

*„რომ გაიგეს აზერბაიჯანში მივდივარ, ინგლისში ბევრმა გიჟად ჩამთვალა, მაგრამ მე თუ მკითხავთ ნამდვილი სიგიჟე სწორედ პრემიერლიგაში დარჩენაა, სადაც ყოველ ორ წუთში ერთ მწვრთნელს ხსნიან“.*

შეგახსენებთ, რომ „უაიკომბისა“ და „პორტსმუთის“ ყოფილი თავკაცი დღეს „გაბალას“ წვრთნის.

*„ეს სწორედ ისეთი სამუშაოა, როგორზეც მე ვოცნებობდი — განაგრძობს ადამსი — აქ მარტო მწვრთნელი კი არ ვარ, სპორტული და ტექნიკური დირექტორიც გახლავართ“.*

მაგრამ 2013 წელს ტონი ადამსს „გაბალასთან“ კონტრაქტის ვადა გასდის და ის ინგლისში აპირებს დაბრუნებას.

● ამბები

## ფულჰემი და მაიკლ ჯექსონი

3 აპრილს „ფულჰემის“ სტადიონ „კრეივენ კოტეჯზე“ **მაიკლ ჯექსონის** ნატურალური ზომის, ფერად ქანდაკებას გახსნიან. ეს ინიციატივა ლონდონური კლუბის მეპატრონეს **მოჰამედ ალ ფაედს** ეკუთვნის. ალ ფაედი 2009 წელს გარდაცვლილ პოპ-ვარსკვლავთან მეგობრობდა.

ქანდაკება მდინარე ტემზას გადაჰყურებს. ის სანაპიროსა და სტადიონის ჰემერსმიტის ტრიბუნის შორის თითის წვერებზე დგას — ფულჰემში ამას ჯექსონის ლეგენდარული პოზა უწოდეს. ქანდაკებას შავი ტყავის შარვალი და ბრწყინვალე ქურთუკი ეცმება.

თავიდან ალ ფაედს ჯექსონის ძეგლის დადგმა „ჰეროდსის“ წინ უნდოდა — „ჰეროდსი“ დიდი სავაჭრო ცენტრია ლონდონში — მაგრამ მას მერე, რაც ის გაყიდა, საუკეთესო ადგილად „კრეივენ კოტეჯი“ მიიჩნია. „ფულჰემის“ მეპატრონემ თქვა:

*„დღეს სიტყვა ლეგენდას ძალიან ხშირად იყენებენ. ცდილობენ ამ სიტყვით ესა თუ ის ვარსკვლავი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადონ. აი, მაიკლ ჯექსონი კი ნამდვილი ლეგენდაა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. გარდა ამისა ის ჩემი მეგობარი იყო. მასთან ბევრი კარგი მოგონება მაკავშირებს და გული მწყდება, რომ ასე უდროოდ გარდაიცვალა“.*

საინტერესოა, რომ პრეზიდენტის აზრი „ფულჰემის“ ერთ-ერთი გამორჩეული ფანის, გულშემატკივართა ვებ-გვერდის ავტორ **დევიდ ლოიდის** აზრს არ ემთხვევა. ლოიდი წერს:

*„ჩემთვის რომ ეკითხათ, მინდა თუ არა „კრეივენ კოტეჯზე“ მაიკლ ჯექსონის ძეგლი რომ იდგეს, არას ვუპასუხებდი. სხვა საქმეა, რომ ჩვენ, „ფულჰემის“ ფანები პრეზიდენტს ძალიან დიდ პატივს ვცემთ და თუ მას ამ ძეგლის დადგმა ძალიან სურს, დაე იყოს ასე“.*

## კარაგერი უხეში ფეხბურთელია

„ენფილდ როუდზე“ ლივერპულელი **ჯეიმი კარაგერი** მანჩესტერელ **ნანის** რომ ეუხეშა, ყველას გეხსომებათ. მას მერე დრო გავიდა და ნანიც უკვე დაუბრუნდა მოედანს, მაგრამ პორტუგალიელი კარაგერის პატიებას არ აპირებს. შეგახსენებთ, რომ ნანიმ უშუალოდ თამაშის შემდეგაც არ მიაქცია მოსაბოდიშებლად მისულ კარაგერს ყურადღება — ყავარჯენზე დაყრდნობილი ავტობუსში ავიდა.

*„მე არ ვიცი, რა ჩანაფიქრი ჰქონდა კარაგერს, მაგრამ ის, რაც მან გააკეთა, ფეხბურთთან არანაირ კავშირში არ იყო. თამაშის შემდეგ ბოდიშის მოსახდელად მოვიდა, მაგრამ ამის გუნებაზე არ ვიყავი. ამ მოთამაშეს უკვე მეორედ გამოვყავარ წყობიდან. ის ყოველთვის უხეშობს. წინაზე მის გამო ორი თვით მკურნალობა მომიხდა.*

*ბოლოს და ბოლოს დროა, მსაჯებმა სამართლიანად შეაფასონ ესა თუ ის ეპიზოდი. როდესაც უხეშ ფეხბურთელს წითელი ბარათი ეკუთვნის, არ უნდა დაინდონ. მისცემენ დისკვალიფიკაციას, გამოტოვებს თამაშს და შემდეგზე უფრო ფრთხილად მოიქცევა“.*

თუ კარაგერისა და ნანის 6 მარტის ეპიზოდი გახსოვთ, ისიც გეხსომებათ, რომ პორტუგალიელი საკმაოდ თეატრალურად მოიქცა, რამაც მაყურებლის ერთ ნაწილს ეჭვი გაუჩინა, რომ სინამდვილეში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მაგრამ მანჩესტერელი ამბობს, რომ როდესაც ფეხს დახედა, გულს შემოეყარა. ეგონა, რომ მისთვის სეზონი დასრულდა.

*„ფეხს პირველად რომ დავხედე, ვიფიქრე ჩემთვის სეზონი დამთავრდა-მეთქი და ამიტომ ვტიროდი. შემდეგ ექიმმა დამხედა და დამამშვიდა, იღბლიანი კაცი ყოფილხარ, რამდენიმე ნაკერს დაგადებს და ორ-სამ კვირაში ისევ მოედანზე იქნებიო. სინამდვილეში კი, როგორც ნახეთ, კიდევ უფრო მალე გამოვჯანმრთელდი და ამან თვით ექიმიც კი გააკვირვა“.*

## შირერი გაბრაზდა



მოგეხსენებათ, ბოლო დღეებში ინგლისის ნაკრების კაპიტნობის გამო დიდი ამბავი ატყდა. **ფაბიო კაპელომ** გამოაცხადა, რომ სამკლავურის **რიო ფერდინანდისთვის** ჩამორთმევა და **ჯონ ტერისთვის** დაბრუნება უნდა. ამან ფერდინანდი გაანაწყენა. შეშფოთებულმა მწვრთნელის მარჯვენა ხელს **ფრანკო ბალდინის** დაურეკა, რომელმაც მოატყუა, ტერის სამკლავურს მხოლოდ ერთი თამაშით ვუბრუნებთო. ეს რომ ტყუილი იყო, მეორე დღესვე გაირკვა, როდესაც კაპელომ თავისი პირით თქვა, ტერი გუნდის ნამდვილი ლიდერია და დროებით კი არა, მუდმივად მჭირდებაო. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ფერდინანდმა სამკლავურის ჩამორთმევის ამბავი გაზეთებიდან შეიტყო. კაპელო და ბალდინი მანჩესტერშიც იყვნენ ჩასულები, მაგრამ ვეტერანს არ შეხვედრიან.

ამ ისტორიამ ინგლისის ნაკრების ვეტერანი ფორვარდი **ალან შირერი** გააბრაზა. მან თქვა:

*„მწვრთნელის ასეთი საქციელი რიოზე ძალიან იმოქმედებს. მას ეს დამოკიდებულება არ მოეწონება, შეურაცხყოფილი დარჩება. გასაგებია, რომ ის დაშავებულია და გუნდს ჯერჯერობით მაინც ვერ გაუძღვებოდა, მაგრამ კაცს ასე არ უნდა მოექცე.*

*დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფრის მიუხედავად ფერდინანდი მწვრთნელის გადაწყვეტილებას პატივს სცემს, ოღონდ ეს ცალკე თემაა. ფაქტია, რომ კაპელოს საქმე ასე არ უნდა მიჰყავდეს. თუ კაპიტნის შეცვლა უნდოდა, მას უპირველეს ყოვლისა ამის შესახებ რიოსთან უნდა ელაპარაკა“.*

ეს ინტერვიუ შირერმა ტელეკომპანია „ალ ჯაზირას“ მისცა, სადაც ისიც კი თქვა, რომ ტერისთვის კაპიტნობა საერთოდ არ უნდა ჩამოერთმიათ:

*„ვფიქრობ, პირველი შეცდომა ტერისთვის სამკლავურის ჩამორთმევა იყო. მესმის, რომ ჯობს ინგლისის ნაკრების კაპიტანი მოედანზე და მის გარეთაც სამაგალითო პიროვნება იყოს, მაგრამ სკანდალს, რომლის გამოც ტერი დასაჯეს, მისი თამაშის ხარისხზე არ უმოქმედია“.*

გვერდი მოამზადა
ილია **ბაბუნაშვილმა**

პალერმო

# 50 მილიონი პასტორეს სანაცვლოდ

ბოლო პერიოდში, „პალერმოს" საქმეები სულ უკან და უკან მიდის, რამაც კლუბის პრეზიდენტს გვარიანი თავსატეხი გაუჩინა. **მაურიციო ძამპარინის** დიდი იმედი ჰქონდა, რომ სიცილიელები ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებდნენ და გამომდინარე აქედან, წამყვანი ფეხბურთელების შენარჩუნება არ გაუჭირდებოდა. ერთი ხანობა, ახლოსაც იყო „პალერმო" ოთხეულთან, მაგრამ შემდეგ დათმო პოზიციები და ევროპის ლიგის საგზურიც კი სათუო გაიხადა. „უდინეზესთან" საშინაო განადგურების შემდეგ, მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **დელიო როსი** გაათავისუფლეს, რომელსაც გულშემატკივრები დიდ ნდობას უცხადებდნენ. გახსოვთ ალბათ, წერილიც კი გაუგზავნეს ძამპარინის, დელიოს მუშაობით კმაყოფილები ვართ და კარგი იქნება თუ ხელშეკრულებას გაუხანგრძლივებთო. საკუთარ მოედანზე შვიდი ბურთის სხვაობით დამარცხების შემდეგ, ალბათ ტიფოზებმაც შეიცვალეს პოზიცია და საბოლოოდ, როსი **სერსე კოსმიმ** ჩაანაცვლა. კოსმი კი ის მწვრთნელია, რომლის კვალიფიკაციაშიც ძალიან ბევრს ეპარება ეჭვი - ერთი კარგი შემოძახება კი ეხერხება, მაგრამ რამდენად განსწავლულია ტაქტიკურ ნიუანსებში, რთული სათქმელია. ცალკე სალაპარაკო თემაა მისი ექსტრავაგანტური ხასიათი, რაშიც შეიძლება პრეზიდენტს, ძამპარინისაც კი აჯობოს. მოკლედ, მხოლოდ ღმერთმა იცის, რა ბედი ელის მომავალში „პალერმოს". ერთი კი ცხადია, კლუბის მესვეურებს წამყვანი ფეხბურთელების შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებათ. პირველ რიგში, ეს **ხავიერ პასტორეზე** ითქმის, რომლის მიმართაც ევროპული ფეხბურთის არაერთი გრანდი იჩენს ინტერესს. არის საუბრები „ბარსელონას", „რეალის", „ჩელსის", „მანჩესტერ სიტის" და კიდევ რამდენიმე გუნდის შესახებ და როგორც ჩანს, ამ ზაფხულს ძამპარინის მოსაწყენად არ ეცლება. „პალერმოს" პრეზიდენტის თქმით, პასტორესთან დაკავშირებით უკვე მიიღო შეთავაზება:

*„რამდენიმე დღის წინ, დამიკავშირდნენ და ხავიერის სანაცვლოდ 50 მილიონი ევრო შემომთავაზეს. ეს არც მიკვირს, რადგან არგენტინელი უკვე ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია მსოფლიო მასშტაბით და დარწმუნებული ვარ, კიდევ უკეთ ათამაშდება. თუ რომელი კლუბიდან იყო შემოთავაზება, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით, რადგან რეალურად ჯერ მოლაპარაკებებიც არ არის დაწყებული. რა ვუპასუხე? - არც არაფერი, რადგან პასტორეს გასხვისება არ მსურს. საუკეთესო დროება წინ აქვს და დარწმუნებული ვარ, მასში კიდევ უფრო მეტს შემომთავაზებენ. მთავარია, რომ თავად ფეხბურთელს არ აუცრუვდეს გული „პალერმოზე" და კარიერის სხვა გუნდში გაგრძელება არ მოისურვოს. ჩემპიონთა ლიგის საგზური რომ მოგვეპოვებინა, ამაზე არ ვინერვიულებდი, მაგრამ ფაქტია, რომ ოთხეულში ველარ შევაბიჯებთ. ამიტომ, ხავიერთან და სხვა ფეხბურთელებთანაც სერიოზული დალაპარაკება მომიწევს. იმედი მაქვს, გაქცევაზე არ უჭირავთ თვალი".*

**ლაშა ნიკლაური**




ინტერვიუ. ხავიერ პასტორე

# არ მინდა სკამზე ჯდომა

**„პალერმოს" არგენტინელი ნახევარმცველი ხავიერ პასტორე თანამედროვე ფეხბურთში ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელად მიიჩნევა. მასთან ინტერვიუ ესპანურმა გამოცემა „დონ ბალონმა" რამდენიმე დღის წინ აილო. სამხრეთამერიკელმა საინტერესოდ ილაპარაკა თავის გეგმებზე, ეროვნულ გუნდზე, კლუბზე. მან გვერდი ვერ აუარა ლიონელ მესისა და კრიშტიანო რონალდოს შედარებას. მკითხველს ამ ინტერვიუს მცირედი შემოკლებით ვთავაზობთ.**

**- მზად ხართ თუ არა ტოპკლუბში გადასასვლელად?**

- ვის არ უნდა ტოპკლუბში თამაში? თუმცა ამ ეტაპზე თავს „პალერმოშიც" კომფორტულად ვგრძნობ. მიყვარს აქაურობა, იმიტომ, რომ ჩემი გუნდი ლამაზ ფეხბურთს თამაშობს.

**- „პალერმოში" ჯერჯერობით თქვენთვის ყველაფერი იდეალურად ვითარდება.**

- დღეს და ხვალ ნამდვილად არ მომინდება აქედან წასვლა. დავთანხმდები მხოლოდ მაშინ, თუკი კლუბს ისეთ წინადადებას შესთავაზებენ, რომელზე უარის თქმაც ძნელი იქნება. ყველაფერს თავის დრო აქვს. ჯერ ამაზე ფიქრი ნაადრევია.

**- „ბარსელონაში" თქვენი შესაძლო გადასვლა ხშირად ხდება განსჯის საგანი.**

- „ბარსაში" ჩემპიონები თამაშობენ და შემიძლია იქ ერთ-ერთი მათგანი გავხდე. ჩემს ასაკში უმთავრესი სათამაშო პრაქტიკაა. დარწმუნებული ვარ, ასეთი დონის კლუბში მუდმივად თამაში არარეალურია. „ბარსელონასა" და „რეალში" ვარსკვლავებიც კი სკამზე ხვდებიან ხოლმე. ეს კი ნამდვილად არ არის ის, რაც მე მინდა.

**- რას ფიქრობთ ესპანეთის ჩემპიონატზე?**

- „ბლაუგრანას" დიდი უპირატესობა აქვს. მისი ფეხბურთელები ერთმანეთს ჯერ კიდევ საფეხბურთო სკოლიდან იცნობენ. მათში ურთიერთგაგება ავტომატიზმამდეა აყვანილი. „რეალს" გაუჭირდება ჩამორჩენის აღმოფხვრა.

**- მესისა და რონალდოს მუდმივად ადარებენ ერთმანეთს. არგენტინელი ხართ და შეფასებაში ალბათ თქვენც სუბიექტური იქნებით.**

- ისინი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები არიან, თუმცა ერთმანეთისგან განსხვავდებიან. კრიშტიანო ფიზიკურად ბევრად ძლიერია, მესი - უფრო ტექნიკური. ლეოს მოკლე პასები ეხერხება, კრიშტიანოს პირიქით, გრძელი გადაცემები გამოსდის.

**- არის თუ არა პასტორე მესის იდეალური პარტნიორი ნაკრებში?**

- ამისთვის მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ. როცა ეროვნულ გუნდში სათანადო გამოცდილებას მივიღებ, მერე ვნახოთ. ჯერ იმითიც კმაყოფილი ვარ, რომ სერხიო ბატისტა ყურადღებას მაქცევს.

**- როგორია მესის გვერდით თამაში?**

- არც მთლად ისეა საქმე, რომ ლეოს დახმარება არ სჭირდებოდეს, თუმცა მასთან ერთად თამაში ძალზე მარტივია. ის წარმოუდგენლად მოკრძალებული პიროვნებაა. როგორც ფეხბურთელზე კი ახალი რა უნდა ვთქვა?

**- მოდი, კალჩოზე ვილაპარაკოთ...**

- სერია A წინა წლებთან შედარებით საინტერესოდ მიმდინარეობს. შეუძლებელია წინასწარ იმის გამოცნობა, თუ ვინ მოიგებს მას. არის „მილანი", ვინც დროდადრო ბრწყინვალე შემტევ ფეხბურთს გვიჩვენებს და არის „ინტერი", ვინც ნელ-ნელა ემსგავსება საკუთარ თავს. ასევე „ნაპოლი", ედინსონ კავანითა და ესეკილ ლავეცით.

**- ფავორიტად ვის მიიჩნევთ?**

- მე უფრო „ნაპოლის" ვგულშემატკივრობ, რადგან იქ ჩემი მეგობარი არგენტინელები თამაშობენ, თუმცა მგონია, რომ ყველაზე ძლიერი „ინტერია".

**- „პალერმოს" კონკრეტული მიზნები თუ აქვს?**

- ჩვენი მიზანი ოთხეულში მოხვედრაა. ვნახოთ, მოვახერხებთ თუ არა ამას. სამწუხაროდ, ხშირად გვღალატობს სტაბილურობა.

**- ბევრს ეჭვი ეპარებოდა, რომ იტალიაში თამაშს ალღოს აუღებდით. თქვენი სტილი შედარებით ნელ სათამაშო ტემპს უფრო შეეფერება.**

- საბედნიეროდ ადაპტაცია მალე გავიარე. მივხვდი, როგორ უნდა მეთამაშა. თანაგუნდელებს ჩემი თავიდანვე სჯეროდათ, რამაც დამატებითი ენერგია მომცა. თუმცა დიდ ძალისხმევად დამიჯდა, რომ იტალიურ სქემებში ჩემი ადგილი მომენახა.

**- რომელ პოზიციაზე გირჩევნიათ ასპარეზობა?**

- მეორე თავდამსხმელად, ფაბრიციო მიკოლის ოდნავ უკან.

**- არგენტინის ნაკრებში?**

- პირველ რიგში იმას აღვნიშნავ, რაც ნაკრებში მახარებს: დაბალ ბურთებზე ვთამაშობთ. ბრაზილიასთან შეხვედრაში, მაგალითად, თავდამსხმელების უკან ვითამაშე. კოპა ამერიკისთვის მოსამზადებელი პერიოდი ძალზე ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. ბატისტას დრო მხოლოდ მაშინ თუ ექნება გუნდთან ნორმალურად სამუშაოდ.

**- რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა მარადონამ მსოფლიოს ჩემპიონატზე წაგიყვანათ?**

- ყველაფერი მშვენიერი იყო. დიდი პატივია, როცა მარადონა ეროვნულ გუნდში ასეთ ახალგაზრდულ ასაკში მიგიწვევს. ეს ოცნების ასრულებას ჰგავდა. იქ მიღებული გამოცდილება ყოველთვის გამომადგება.

**- ივლისში არგენტინაში ჩასატარებელი კოპა ამერიკის მოსაგებად უნდა იბრძოლოთ.**

- უკვე 18 წელია სერიოზული ტიტული არ მოგვიგია. ამის დრო ალბათ უკვე დადგა. ერთი მხრივ, ეს ფანებისგან ზეწოლას აძლიერებს, მეორე მხრივ - დიდი მოტივაციაა. ხავიერ ძანეტისთან ამ თემაზე ხშირად მილაპარაკია. ჩვენთვის ეს კარგი შანსი იქნება.

**- ბავშვობაში ვისი თამაშის ყურება გიყვარდათ ყველაზე მეტად?**

- მიყვარდა ტიერი ანრის სტილი და შესაბამისად, „არსენალს" ვგულშემატკივრობდი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს სათამაშო სტილს ენცო ფრანჩესკოლისას ადარებენ ხოლმე, ჩემთვის კერპი მაინც კაკა იყო.

**- ორიოდე სიტყვით მოგვიყევით, როგორ ცხოვრობთ პალერმოში?**

- მე მონდელოში ვცხოვრობ (პალერმოს გარეუბანი. რედ). იქ ცხოვრება ძალზე მშვიდია. მყავს იტალიელი მეგობარი გოგონა კიარა. ჩვენ იტალიური კინოს დიდი ტრფიალნი ვართ. ჩემთან ერთად ცხოვრობს ჩემი ძმა, გვერდითა სახლში კი - და, თავის მეგობარ ბიჭთან ერთად და ორი ბიძაშვილი. სულ ეს არის.

**ლევან ბიბილაშვილი**

სატრანსფერო ამბები

# მილანი მაქსველით დაინტერესდა

## პირლოს აკვილანის შემცვლელად?

მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე, „მილანის" რამდენიმე ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტის ვადა ეწურება, გახანგრძლივების პერსპექტივა კი ჯერჯერობით ბუნდოვანია. განსაკუთრებულად აქტუალური **ანდრეა პირლოს** საკითხია, რომელიც გუნდის ლიდერად ითვლება და ბუნებრივია, რომ მისი ხელშეკრულების ამბავი გულშემატკივრებს ძალიან აღელვებთ. „გაძეტა დელო სპორტში" გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კლუბს და ფეხბურთელს შორის მიმდინარე მოლაპარაკებები ჩიხშია შესული და გამოსავალიც არ ჩანს. საქმე ის არის, რომ **ადრიანო გალიანი** პირლოს კიდევ ორწლიან კონტრაქტს სთავაზობს, რომლის ფარგლებშიც ფეხბურთელი წლიურად 3.5 მილიონ ევროს მიიღებს. ამბობენ, რომ შეთავაზებული პირობები ანდრეასთვის მიუღებელია, რადგან მოქმედი ხელშეკრულების თანახმად, სეზონში 5 მილიონ ევროს იღებს, ანუ მილიონ-ნახევრით მეტს. „მილანის" მესვეურები ყველანაირად ცდილობენ, რომ სახელფასო ფონდი შეამცირონ და გასულ ზაფხულს დიდწილად სწორედ ამიტომ შეელივნენ **კახა კალაძეს**. ამას წინათ, გალიანიმ **კაკას** შესაძლო დაბრუნებაზე გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ მზად არიან ფეხბურთელში 30 მილიონი ევრო გადაიხადონ, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 3.5 მილიონ ევროს დათანხმდება ყოველწლიურად. აქვე ვთქვათ, რომ ბრაზილიელი შემტევი მადრიდის „რეალისგან" 6 მილიონს იღებს სეზონურად.

დავუბრუნდეთ პირლოს, რომელიც ჯერჯერობით არ ახანგრძლივებს ხელშეკრულებას. პრესაში კი უკვე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ანდრეას გადაბირებით „იუვენტუსია" დაინტერესებული. ტურინული გრანდის მესვეურები მზად არიან იმდენი გადაუხადონ ფეხბურთელს, რამდენსაც დღეს იღებს „მილანში", ანუ 5 მილიონი ევრო. ეს საკითხი კი იმად დადგა დღის წესრიგში, რომ ბოლო ინფორმაციით, „ლივერპული" **ალბერტო აკვილანის** დაბრუნებას აპირებს. ანუ, „იუვეს" საყრდენის პოზიციაზე საკადრო დეფიციტი შეექმნება და ბუნებრივია, რომ ვაკუუმს შევსება დასჭირდება. აკვილანის რომ ინგლისში მოუწევს დაბრუნება, ამაზე ტურინული გრანდის სპორტული დირექტორის, **ჯუზეპე მაროტას** სიტყვები მეტყველებს:

*„დიდი სურვილი გვაქვს, რომ აკვილანისთან ხანგრძლივვადიანი ხელშეკრულება გავაფორმოთ, მაგრამ მეეჭვება, რომ ეს ასე მოხდეს. ალბერტოს სანაცვლოდ ინგლისელები არარეალურად დიდ თანხას ითხოვენ, რაც იმის მაუწყებელია, რომ მისი დაბრუნება სურთ. მოლაპარაკებები აუცილებლად გაგრძელდება, მაგრამ არ მინდა გულშემატკივრებს უსაფუძვლო იმედი მივცე, პირადად მე საკმაოდ სკეპტიკურად ვარ განწყობილი. თავად ფეხბურთელი არაა წინააღმდეგი, რომ ჩვენთან დარჩეს, მაგრამ ვერც იმას დავიჩემებ, რომ „იუვეს" გარდა არაფრის გაგონება არ სურს".*

მაროტამ პირლოს შესახებ კომენტარის გაკეთება არ ისურვა და გაიკვირვა კიდეც, ამის შესახებ არაფერი მსმენიაო - თუმცა, „გაძეტა დელო სპორტი' თავისას ანზავება: პირლო „ბიანკონერის" ინტერესის" სფეროშია. ამასობაში, „მილანიც" იწყებს საზაფხულო ტრანსფერებისთვის მზადებას და პირველმა გვარმაც გაიჟღერა, რომელსაც „როსონერიში" გადაბარგებას უწინასწარმეტყველებენ. საუბარია „ბარსელონას" ბრაზილიელ მცველ **მაქსველზე**, რომელიც ბოლო დროს ველარ ხვდება კატალონიური გრანდის ძირითად შემადგენლობაში. **პეპ გვარდიოლა ადრიანოზე** აკეთებს აქცენტს, ექსინტერისტა კი ოფსაიდშია. გამომდინარე აქედან, დიდია შანსი, მაქსველი „როსონერიში" გადაბარგებით დაინტერესდეს და მოლაპარაკების დაწყებაზე თანხმობა განაცხადოს. ბრაზილიელს დაცვის ორივე ფლანგზე შეუძლია თამაში და თუ საჭირო გახდა, ცენტრშიც დადგება - ასე რომ, მის მიმართ მილანელთა ინტერესი სრულიად ბუნებრივია.

**ლაშა ნიკლაური**

მოსაზრება

# მორატიმ ეტოო იბრას ამჯობინა



მასიმო მორატი და სამუელ ეტოო

„ინტერის" პრეზიდენტის თქმით, **ზლატან იბრაჰიმოვიჩის სამუელ ეტოოზე** გაცვლით მისი გუნდი გაცილებით უფრო ძლიერი გახდა და ამაში თამაშიდან თამაშამდე რწმუნდება. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის განმეორებით პაექრობაში, „ნერაძურიმ" გასვლაზე დაამარცხა „ბაიერნი" (3:2) და ამაში კამერუნელმა უდიდესი წვლილი შეიტანა - ემოციების ქვეშ მყოფმა **მასიმო მორატიმ** კი იტალიელ ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა:

*„როდესაც ზლატან იბრაჰიმოვიჩი სამუელ ეტოოში გავცვალეთ, გულშემატკივართა ნაწილი ძალიან უკმაყოფილო დარჩა. დარწმუნებული ვარ, დღეს თითოეული მათგანი ღმერთს მადლობას სწირავს, რომ კამერუნელი „ინტერში" ირიცხება. იბრას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ფაქტია, რომ სამუელი უფრო სწრაფია, ტექნიკური და მობილური. ჩემი აზრით, „ინტერი" ეტოოსთან ერთად უფრო ძლიერია, ვიდრე მის გარეშე იყო. ამასთან, ბრწყინვალე ადამიანია და წინა პლანზე ყოველთვის გუნდურ ინტერესებს აყენებს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეტოოს გადმობირება ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ტრანსფერი იყო ჩემი „ინტერში" მოღვაწეობის პერიოდში".*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

## მიუნხენში ერთმანეთს დააყარეს, ბეკენბაუერს ვან გაალი შემოელანძღა

# რობენი წასვლაზე ფიქრობს

**არც ჩემპიონობა, არც თასი და „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგიდანაც გავარდა. არცაა გასაკვირი, რეკორდმაისტერში ყველანი გაბრაზებულები და უკმაყოფილოები რომ არიან. საინტერესო კი ისაა, რომ „ინტერთან“ წაგების (2:3) შემდეგ, ბავარიელებმა ერთმანეთს დააყარეს...**

საფინალო სასტვენის შემდეგ, იმ დროს, როცა „ბაიერნის“ ყველა ფეხბურთელი უკვე გასახდელში იყო, **არიენ რობენი** ტელეკამერების წინ მცველებს მაგრად აკრიტიკებდა: *„დაუშვებელია ის, რომ საკუთარ მოედანზე სამ გოლს ვუშვებთ. ჩვენი დაცვის ხაზი დღესდღეობით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მცველები ძალიან მარტივ ინდივიდუალურ შეცდომებს უშვებენ“* - თითქმის ყვიროდა ჰოლანდიელი და ცხადია, რომ პირველ რიგში ბრაზილიელ მცველ **ბრენოს** გულისხმობდა, რადგან სწორედ ამ უკანასკნელის შეცდომას მოჰყვა გორან პანდევის გოლი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „ინტერი“ გაიყვანა, „ბაიერნი“ კი ევროპის საფეხბურთო ელიტის მიღმა დატოვა.

გუნდის კაპიტანმა **ფილიპ ლამმა**, რომელიც მცველია, უკანახაზელები დაიცვა და სამაგიეროდ, შემტევებს შეუტია: *„როცა რობენი მცველების სისუსტეზე ლაპარაკობს, არც თავდამსხმელების უნიათობა უნდა დაავიწყდეს. მცველების ინდივიდუალური შეცდომების გამო ჩვენს კართან მხოლოდ ორი მომენტი შეიქმნა და მილანელებმა ორივე გამოიყენეს. წინახაზელებმა კი, „ინტერის“ კართან შვიდი მომენტი შექმნეს და რამდენი გამოიყენეს? მხოლოდ ორი! იმ ორიდანაც, ერთი გოლი „ინტერის“ მეკარის შეცდომის გამო გავიდა.“*

გუშინდელ ვარჯიშზე, კაპიტანი ლამი ცალკე ელაპარაკებოდა რობენს, მაგრამ აქვს კი ფილიპის სიტყვებს წონა ჰოლანდიელი სუპერვარსკვლავისთვის? ვიცე-კაპიტანმა **ბასტიან შვაინშტაიგერმა** ხომ თქვა, მე და ფილიპი ბევრ რამეს ვამბობთ, მაგრამ ყველაფერი არ კეთდება და არ გვესმის, ასე რატომ ხდებაო.

**მარიო გომესმა** ნახევარდაცვის ცენტრისთვის ისეთი ფეხბურთელი მოითხოვა, რომელიც შვაინშტაიგერს იდეალურ მეწყვილეობას გაუწევს – თავდამსხმელის აზრით, **მარკ ვან ბომელის** წასვლის შემდეგ, „ბაიერნის“. ნახევარდაცვაში დიდი ხვრელი გაჩნდა, რომელსაც ვერც **ლუის გუსტავო** ავსებს და ვერც **ტონი კროოსი**. მეკარე **თომას კრაფტი** კი გაბრაზებული ამბობდა, პირველი ტაიმი 5:1 უნდა მოგვეგოო.

შეიცვლება თუ არა რამე რეკორდმაისტერში? ფაქტობრივად არაფერი! გადაწყვეტილია, რომ ვან გაალი მიუნხენურ გრანდს სეზონის ბოლომდე მაინც უხელმძღვანელებს, ტრანსფერები კი, ხომ იცით, ჯერ აკრძალულია. პრინციპში, ზაფხულამდე ცვლილებებს აზრიც არ აქვს – „ბაიერნის“ ერთადერთი მიზანი ახლა ხომ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა. მაგრამ თუ ერთმანეთის კრიტიკას არ მოეშვებიან და საქმეს არ მიხედავენ, შესაძლოა, მეორე და მესამე ადგილზე გასვლაც გაუჭირდეთ.

*„ზაფხულამდე არაფერი შეიცვლება, რაც იმას ნიშნავს, რომ სეზონი არსებული ძალებითა და მდგომარეობით უნდა გადავარჩინოთ. გული ძალიან მტკივა...“* - ეს ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** სიტყვებია. შაბათს „ბაიერნი“ ფრაიბურგში ჩადის და რეკორდმაისტერს რვა მატჩი დარჩა იმისათვის, რომ პროგრამა მინიმუმი მაინც შეასრულოს და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვოს. ლამი ამბობს, არც ამ მიზნის მიღწევა იქნება ადვილიო.

რობენი კი აცხადებს, თუ „ბაიერნი“ „იმდენს მოახერხებს“, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურის გარეშე დარჩება, მიუნხენიდან წასვლაზე ვიფიქრებო. *„ევროპის ლიგაზე თამაშს სჯობია, ამ ტურნირზე საერთოდ არ ითამაშო. ევროპის ლიგის მოგებაც კი აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს. აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, მაგრამ ევროპის ლიგაზე თამაში არ მინდა. თუმცა მჯერა, რომ ჩემპიონთა ლიგის მიღმა არ დავრჩებით“* - აცხადებს 27 წლის რობენი.



თუ „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს, არიენ რობენი მიუნხენიდან გაიქცევა

### ბეკენბაუერი: აფსუს, ლუსიო, დემიკელისი და ვან ბომელი

„ბაიერნის“ დაცვის ხაზი და ზოგადად ვან გაალის საკადრო პოლიტიკა რეკორდმაისტერის საპატიო პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმაც** გააკრიტიკა.

*„დღეს „ბაიერნს“ არ ჰყავს ისეთი დაცვა, როგორიც ჩემპიონთა ლიგაში წარმატების მიღწევის მსურველ გუნდს უნდა ჰყავდეს. ახლა უკვე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ სატრანსფერო პოლიტიკაში ძალიან ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული. ახლა იმდენი ვაჟკაცობა უნდა გვეყოს, რომ ეს ვაღიაროთ. გარდა ამისა, თომას კრაფტის საწინააღმდეგოც არაფერი მაქვს, ის მართლაც ნიჭიერი მეკარეა, მაგრამ ვან გაალმა აბსოლუტურად უსარგებლო ცვლილება გააკეთა, როცა ბუტი სკამზე დასვა. მეკარის შეცვლაც საერთოდ არ იყო საჭირო. როცა მეკარის წინ არასტაბილური მცველები თამაშობენ და თვითონ კიპერიც ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელია, ასეთ შემთხვევაში წარუმატებლობისთვის უბრალოდ განწირული ხარ“* - აცხადებს კაიზერ-ფრანცი „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ბეკენბაუერი განსაკუთრებით იმის გამო გაბრაზებული, რომ მიუნხენურმა კლუბმა ვან გაალის მოთხოვნით, ზაფხულში **ლუსიო** გაყიდა. კაიზერი: *„ეს უდიდესი შეცდომა იყო. ლუსიოს გაყიდვის შემდეგ კი, ვან გაალი მარტინ დემიკელისსაც შეელია. არგენტინელი მაინც უნდა შეენარჩუნებინა. ესეც არ იკმარა და იანვარში მარკ ვან ბომელიც გაუშვა – ესეც რომ მახსენდება, თმა ყალყზე მიდგება. არ მესმის, რატომ მოიქცა ასე და რატომ დათანხმდნენ მას ჰიონესი და რუმენიგე. შუა სეზონში გუნდიდან უშვებ კაპიტანს და ლიდერს – ეს ნორმალურია?“*

**გოტფრიდ ლენცი**

დაპირისპირება

## მატერაცის პასუხი შვაინშტაიგერს

სამშაბათს, „ბაიერნისა“ და „ინტერის“ დაპირისპირების (2:3) დამთავრების შემდეგ, მიუნხენური კლუბის ნახევარმცველი **ბასტიან შვაინშტაიგერი** „ნერაძურის“ მცველ **მარკო მატერაცისკენ** იწევდა – ადგილი ჰქონდა მცირე შეხლა-შემოხლას, რის შემდეგაც შვაინშტაიგერმა ჟურნალისტებს უთხრა, **ზინედინ ზიდანის** ახლა უკვე ძალიან კარგად მესმის, მატერაცი პროვოკატორია და ჯერ თამაშის წინ, მერე კი საფინალო სასტვენის შემდეგაც ცუდი რაღაცები მომაძახაო. იტალიელმა მცველმა გერმანელ ფეხბურთელს პასუხი საკუთარი ვებ-გვერდის მეშვეობით გასცა. აი, რას წერს მატერაცი:

*„შვაინშტაიგერი ძალიან ბევრს ლაპარაკობს, გრძელი ენა ჰქონია. მე კი მის შესახებ მხოლოდ ამას ვიტყვი: როგორც ჩანს, რაღაც ორიგინალურის გაკეთება უნდოდა, როცა პროვოკატორი მიწოდა. ორი კვირაა, შვაინშტაიგერი მილანის „ინტერზე“ ლაპარაკობს და თანაც, ძალიან ცუდად. მან თქვა, რომ სამშაბათს დიდი რევანში შედგებოდა, რომ „ბაიერნი“ აუცილებლად შურს იძიებდა მადრიდული ფინალის წაგებისთვის. მან ისიც თქვა, „ინტერი“ ალბათ ისე ითამაშებს, როგორც ზოგადად იტალიელები თამაშობენ ხოლმეო და ერთ-ერთ ინტერვიუში იტალიური ფეხბურთი შეურაცხყო. ესეც არ იკმარა და თქვა, იტალიური კლუბებიდან, მარტო „მილანის“ ფეხბურთელებს ვცნობ სახეზეო. იმედია, „ინტერის“ ფეხბურთელებს სახეზე სამშაბათის მერე მაინც ცნობს. მე მისთვის ცუდი არაფერი მითქვამს და ალბათ ნერვები იმიტომ მოეშალა, რომ სახის გამომეტყველება მქონდა ძალიან მკაცრი. პროვოკატორს ალბათ იმიტომ მიწოდებს, რომ თამაშის წინ და თამაშის მერეც შევახსენე, რომ უმჯობესია, მოგებული თამაშის მერე ილაყბოს ხოლმე...“*



**გოტფრიდ ლენცი**

ამბები



### ხუან ფორლინმა ოპერაცია გაიკეთა და სეზონი დაასრულა

„ესპანიოლის“ მცველმა **ხუან ფორლინმა** სან კარლოს დე მურსიას ჰოსპიტალში წარმატებით გაიკეთა ოპერაცია მარჯვენა ფეხზე. ფეხბურთელი 24 საათის განმავლობაში კლინიკაში დარჩება, შემდეგ კი ბარსელონაში დაბრუნდება. არგენტინელმა მცველმა მურსია სპეციალურად შეარჩია, რადგან იქ მუშაობს ექიმი **რიპოლ დე პრადო**, რომელსაც ფორლინი ენდობა. თუ გახსოვთ, სულ რაღაც 3 კვირის წინ, ფორლინი საოპერაციო მაგიდაზე იწვა, მაშინ მას მარცხენა ხელზე გაუკეთეს ოპერაცია. მოკლედ, ეს თვე სამხრეთამერიკელისთვის უიღბლოდ წარიმართა. ბარსელონაში ფორლინი სარეაბილიტაციო პერიოდს დაიწყებს, რომელიც დე პრადოს მტკიცებით, სამ თვეს გასტანს - ანუ „ესპანიოლის“ მცველისთვის სეზონი დასრულებულია.

### აბიდალს ფონტასი შეცვლის

ცხოვრება ასეთია, ჯერ კიდევ გუშინწინ „ბარსელონას“ ფრანგი მცველი **ერიკ აბიდალი** ჯან-ღონით აღსავსე გვეგონა ჯერ კიდევ გუშინ, მან ბარსელონას კლინიკაში ღვიძლის სიმსივნის ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ კატალონიურ კლუბში უკვე გამოძებნეს მისი შემცვლელი - „ბარსას“ სარეზერვო გუნდის მცველი **ანდრეუ ფონტასი**.

**ხოსეპ გვარდიოლამ** უკვე შეიტანა ერთი ცვლილება, რომელიც „ბარსას“ ვიცე-პრეზიდენტმა **ხოსეპ მარია ბარტომეუმ** ოფიციალურად დაადასტურა - ფონტასი გადაყვანილია პირველ გუნდში: *„სანამ ერიკ აბიდალი გუნდს დაუბრუნდება ფონტასი გვარდიოლას განკარგულებაში იქნება. ის სეზონის ბოლომდე მხოლოდ პირველ გუნდში ივარჯიშებს, თუმცა, შესაძლოა, სათამაშო პრაქტიკის მისაღებად „ბარსელონა B“-ში ითამაშოს ხოლმე“.*

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არაა, რაც გვარდიოლამ 22 წლის მცველი დააწინაურა: ამ სეზონში ფონტასმა უკვე აისრულა ოცნება, ითამაშა ლა ლიგაშიც, თასზეც და ჩემპიონთა ლიგაშიც. ფონტასი ამ სამ თამაშში ბრწყინვალედ წარმოჩნდა, „სეუტასთან“ თასზე საიმედოდ გაისარჯა, „ალმერიასთან“ ჩემპიონატში საგოლე პასის ავტორი გახდა, ხოლო „რუბინის“ კარში ლიგაზე, სულაც გოლი შეაგდო.

უკვე გუშინ დილით ფონტასი პირველ გუნდში ვარჯიშობდა და დიდი შანსია, „ხეტაფესთან“ მატჩში მარცხენა ცენტრალურ მცველად მოუწიოს თამაშმა.

### ფორლანი ჭორებზე, ატლეტიკოზე და დერბიზე

„ატლეტიკოს“ ურუგვაელი ფორვარდი **დიეგო ფორლანი** მიიჩნევს, რომ პირდაპირობის გამო, მას ხშირად აკრიტიკებენ. მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელი ირწმუნება, რომ ერთხელაც არ წამოსცდენია „ატლეტიკოდან“ შესაძლო წასვლის შესახებ.



„მარკასთან“ ინტერვიუში დიეგომ განაცხადა: *„ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი კონტრაქტით და მინდა, ის ბოლომდე გავასრულო. კიდევ ორი წელი „ატლეტიკოს“ ვეკუთვნიდა და ბედნიერი ვარ. რაც აქ ვარ, ჩემ შესახებ უამრავი ჭორი გამიგია, რა საოცარი ვერსია აღარ მსმენია - არადა, თავადაც ნახავთ, შემდეგ სეზონშიც „ატლეტიკოში“ ვიქნები. ერთხელაც არ დამცდენია ფრაზა გუნდიდან შესაძლო წასვლის შესახებ. უბრალოდ, პირდაპირი კაცი ვარ და ყოველთვის იმას ვლაპარაკობ, რასაც ვფიქრობ, ეს კი ისევ ბუმერანგივით მიბრუნდება“.*

შემდეგი მატჩი „ატლეტიკოს“ ძალზე პრინციპული აქვს, მადრიდული დერბი „სამეფო კლუბის“ წინააღმდეგ: *„მიყვარს ეს დერბი - ყველა მობილიზებულია, ფეხბურთელები, გულშემატკივრები. „რეალთან“ ყოველთვის მაღალი დონის მატჩი გამოდის. მოურინიო მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია, ის ამას ესპანეთშიც ამტკიცებს. მეტოქე დიდებული კლუბია, მათ ჰყავთ კრიშტიანო რონალდო და ბრწყინვალე მეკარე კასილიასის სახით. ჩვენ მათ ვაფასებთ, მაგრამ არ გვეშინია“.*

ფორლანი ყველაზე მეტად გაალიზიანა ესპანურ პრესაში დაწერილმა - თითქოს, „ატლეტიკოში“ ისეთი ცუდი სიტუაციაა ფეხბურთელებს შორის, რომ ისინი ერთმანეთს პასებსაც კი არ აწვდიან: *„ამ ისტორიამ ყველაზე მეტად გაგვალიზიანა გუნდში; საიდან მოიტანეს? „ატლეტიკოში“ ნორმალური სიტუაციაა, ფეხბურთელები ერთმანეთს კარგად ვუგებთ“.*

### აგუერო რეალთან მარადონას გენებს დაიხმარს

„ატლეტიკოს“ არგენტინელმა ფორვარდმა **სერხიო აგუერომ** ზედ მადრიდული დერბის წინ თავისი ახალი ბუცების პრეზენტაცია მოაწყო - გუშინ „სერო დელ ესპინოს“ ბაზაზე მან უკვე იმ ახალი ბუცებით ითამაშა, რომელთაც პირველად „რეალის“ წინააღმდეგ „დააჭაშნიკებს“. ბუცები მჭახე ფერებშია „გადაწყვეტილი“ და მას „ბენხამინ - 10“ აწერია. ბენხამინი მისი ვაჟის (**დიეგო მარადონას** შვილიშვილის) სახელია. რატომ ათიანი? ალბათ საკითხავიც არაა. აგუერომ „ტვიტერზე“ დაწერა, რომ იმედოვნებს - ბუცები „ატლეტიკოს“ ფანებს მოეწონებათ, ხოლო „ვისენტე კალდერონზე“ ისინი პატრონს წარმატებას მოუტანენ.

### სპორტინგმა მეკარე დაკარგა

ხიხონის „სპორტინგმა“ სამი კვირით დაკარგა მეკარე **ივან კუელიარი**. კვირას, მან ტრავმა „ვილიარეალთან“ მატჩში მიიღო, ოთხშაბათს კი ასტურიული კლუბის ექიმებმა დიაგნოზი დასვეს. **მანოლო პრესიადოს** თავსატეხს თავდამსხმელ **დავიდ ბარალის** ტრავმაც გაუჩენს, რომელმაც მუხლი იმავე „ვილიარეალთან“ თამაშში დაიზიანა, თუმცა ექიმები ბარალის შემთხვევაში გაცილებით ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, ფორვარდმა შეიძლება ითამაშოს კიდეც „ალმერიასთან“ დაპირისპირებაში. „სპორტინგს“ დისკვალიფიკაციის გამო ანდალუსიელებთან არ ეყოლება **ხოსე ანხელი**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

შალკე




რალფ რანგნიკი

## რალფ რანგნიკი ლევან ქენიას გუნდს ორშაბათიდან მიხედავს

**ფელიქს მაგათის** ოფიციალურად გაგდებიდან ზუსტად ერთ დღეში „შალკეს“ ხელმძღვანელებმა ახალი მწვრთნელი დანიშნეს: გელზენკირხენულ კლუბს **რალფ რანგნიკი** მიხედავს – 52 წლის სპეციალისტი, რომელიც გელზენკირხენულ კლუბს ერთხელ უკვე წვრთნიდა.

რანგნიკმა „შალკეს“ მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტთან** მოლაპარაკებები გუშინ გამართა, გელზენკირხენული კლუბის ხელმძღვანელების პირობებს დათანხმდა და სამწლიან კონტრაქტს ხელი მოაწერა. ეს ამბავი მოგვიანებით თვითონ ჰელდტმა დაადასტურა: *„რალფი ჩვენთან სამწლიან კონტრაქტს აფორმებს და „შალკეს“ 2014 წლამდე უთავკაცებს. იგი მუშაობას ორშაბათიდან შეუდგება, მანამდე კი მთავარი მწვრთნელის ფუნქციებს ფელიქს მაგათის ასისტენტი ზეპო აიხკორნი შეასრულებს.“*

ამრიგად, „პროფესორი რალფი“, რომელსაც ეს მეტსახელი იმის გამო შეარქვეს, რომ პირდაპირ ეთერში გუნდების ტაქტიკურ მონახაზებს დაფაზე აანალიზებდა, ბუნდესლიგაში და „შალკეში“ ბრუნდება. რანგნიკი ბოლოს „ჰოფენჰაიმს“ წვრთნიდა და ეს გუნდი რეგიონალლიგიდან ელიტაში გადაიყვანა. რალფმა „ჰოფე“ პირველ იანვარს დატოვა – იმის გამო, რომ მისი კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, გუნდის მფლობელმა **დიტმარ ჰოპმა** ნახევარმცველი **ლუის გუსტავო** „ბაიერნს“ მიჰყიდა. „შალკეში“ კი რანგნიკი 2004-დან 2005 წლის დეკემბრამდე მუშაობდა, საიდანაც **ანდრეას მიულერმა** გააგდო – კაცმა, რომელიც მაშინ გუნდის მენეჯერი იყო, დღეს კი „შალკეში“ აღარ მუშაობს (მიულერი შარშან დაითხოვეს).

რანგნიკს კი „შალკე“ დღემდე ძალიან უყვარს. ყველას გვახსოვს მისი სიტყვები: როცა გუნდიდან მიდიოდა, თქვა, ეს არის ყველაზე მაგარი კლუბი, სადაც კი ოდესმე მიმუშავიაო.

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი

ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ეს ის რეალი აღარ არის...

## მოხსნილი ჯადო, მოურინიოს რეკორდი და იმ რობერტო კარლოსზე უკეთესი მარსელო

**ჩემპიონთა** ლიგის მერვედფინალი „რეალისთვის“ შვიდი წლის მანძილზე გადაულახავი ბარიერი იყო, რაც მადრიდული სუპერგრანდის ისტორიისთვის, დიახაც, შავი ლაქაა. „ლიონი“ „სამეფო გუნდისთვის“ საშიშ მეტოქეს წარმოადგენდა. თვითონ განსაჯეთ: „რეალმა“ მხოლოდ მერვე მცდელობისას მოახერხა ფრანგული გრანდის დამარცხება. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შეკრებილი 70 000-მდე ქომაგის თვალწინ მადრიდელებმა მოედანზე მიმდინარე მოვლენები პირველიდან ბოლო წუთამდე აკონტროლეს და ამ სეზონში 22-ე საშინაო მატჩიც მოიგეს. აქედან, ჟოზე მოურინიოს გუნდს 15 საშინაო შეხვედრა სულაც მშრალი ანგარიშით აქვს მოგებული. პორტუგალიელმა სპეციალისტმა მოახერხა და მადრიდულ გრანდს პირველივე სეზონში „მოხსნა ჯადო“. ჟოზემ კი მეოთხე გუნდთან ერთად (მანამდე „პორტუ“, „ჩელსი“ და „ინტერი“) შეძლო მეოთხედფინალში გასვლა, რაც რეკორდია.

1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი

**რეალი (ესპანეთი) 3:0 ლიონი (საფრანგეთი)**

OLYMPIQUE LYONNAIS

პირველი მატჩი 1:1

16 მარტი. მადრიდი. სანტიაგო ბერნაბეუ. 70 034 მაყურებელი

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი – სერხიო რამოსი, პეპე, რ. კარვალიო, მარსელო – ჩაბი ალონსი, ხედირა – დი მარია (79. გრანერო), იოზილი, კ. რონალდო (74. ადებაიორი) – ბენზემა (84. ლ. დიარა).

**ლიონი (4-1-2-2-1):** ლორისი – რევეილერი, კრისი, ლოვრენი, სისოხო – ტულალანი – გურკუფი (69. პიე), კალსტრიომი – ბრიანი (46. გომისი), დელგადო (80. პიანიჩი) – ლისანდრო ლოპესი.

**არბიტრი:** დამირ სკომინა (სლოვენია)

## მატჩის წინ

პირველი მატჩისგან განსხვავებით, „რეალის“ ძირითადი შემადგენლობა ორ პოზიციაზე შეიცვალა: როგორც მოსალოდნელი იყო, მოურინიომ **ადებაიორი** სკამზე დასვა და მის ნაცვლად კარგ ფორმაში მყოფი **ბენზემა** ათამაშა, დაცვის მარცხენა ფლანგზე კი, **არბელოას** ნაცვლად, **მარსელო** გაამწესა. **რონალდომ** და **ხედირამ** ტრავმების მოშუშება მოასწრეს და მოედანზე გასვლა მოახერხეს, **გაგო, პედრო ლეონი, კაკა** და **იგუაინი** კი ლაზარეთში არიან.

ორი ცვლილება იყო „ლიონშიც“: **კლოდ პუელმა** შეტევაში **ლისანდრო ლოპესი** და **ბრიანი** დაასაქმა. მათ დისკვალიფიცირებული **ბასტოსი** და სათადარიგოთა სკამზე დატოვებული **გომისი** შეცვალეს. რაკი პუელმა სასტარტოში ლისანდრო ლოპესის, ბრიანის, **დელგადოსა** და **გურკუფის** კვარტეტი გაამწესა, ცხადი იყო, „ლიონს“ შემტევი ფეხბურთის თამაში სურდა.

## მატჩი

მარსელო თავიდანვე ძალიან აქტიური იყო არა მარტო დაცვაში, არამედ, პირველ რიგში შეტევაში და უკვე მე-4 წუთზე შეეძლო „რეალის“ დაწინაურება, მაგრამ **ლორისმა** შეუშალა ხელი. პირველი აფეთქების შემდეგ, შედარებით მშვიდი თამაში გაჩაღდა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მადრიდელები 0:0-ზე თამაშობდნენ, როგორც ეს „ლიონის“ პრეზიდენტმა **ჟან-მიშელ ოლამ** იწინასწარმეტყველა. 22-ე წუთზე უკვე დელგადომ შეამოწმა კასილიასის მზადყოფნა, როცა **სისოხოს** ჩაწოდების შემდეგ დაარტყა, მაგრამ „რეალის“ მეკარე მოწოდების სიმაღლეზე იდგა. ხუთი წუთის მერე **იოზილმა** „რეალის“ კონტრშეტევა წამოიწყო და დიაგონალური პასით მოძებნა რონალდო, რომელმაც **რევეილერს** გვერდი აუარა და დაჰკრა, მაგრამ ლორისმა მომენტი ბრწყინვალე სეივით გააუვნებლა.


მარსელოს ბრწყინვალე გოლი

37-ე წუთზე კი მადრიდელებმა ანგარიში გახსნეს: რონალდოსა და მარსელოს კომბინაცია ამ უკანასკნელმა ერთი ცრუმოძრაობით ორივე მცველის გაცურებითა და ლორისის კარში გატანილი გოლით დააგვირგვინა. ეს გახლდათ მარსელოს პირველი გოლი ჩემპიონთა ლიგაში.

41-ე წუთი და ისევ მარსელო, ისევ მარცხენა ფრთიდან და ამჯერად მშვენიერი პასი ბენზემასკენ, რომელმაც უკვე „ლიონის“ კარისკენ გაგზავნა ბურთი, მაგრამ ისევ ლორისის ბრწყინვალე სეივი და „ლიონი“ გადარჩა.

მეორე ტაიმშიც მარტო „რეალი“ თამაშობდა: 52-ე წუთზე ბენზემა-იოზილის კომბინაცია გერმანელი ნახევარმცველის დარტყმით გაგრძელდა, მაგრამ **კრისმა** ბურთი კუთხურზე მოიგერია. მერე, 66-ე წუთზე იყო ბენზემას გოლი, ანგარიში 2:0 გახდა და მატჩის ბედიც ფაქტობრივად გადაწყდა: მარსელოს გრძელი პასი, იოზილმა და **ლოვრენმა** ბურთისთვის ტყუილად იბრძოლეს, კრისმა ბენზემა თვალთახედვის არიდან დაკარგა, რის გამოც ფრანგი ლორისთან ფაქტობრივად პირისპირ დარჩა და ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში მე-6 გოლი გაიტანა. 72-ე წუთზე მადრიდელები ცოტათი ანერვიულდნენ, რადგან გომისს სხვაობის შემცირება შეეძლო, მაგრამ ვერ მოახერხა და ზუსტად ოთხ წუთში ანხელ დი მარიამ „ლიონის“ წვალებას საბოლოო წერტილი დაუსვა – 3:0.

დასკვნა: „რეალის“ აბსოლუტურად უპრობლემო და დამსახურებული გამარჯვება.

## რეაქციები

**ჟოზე მოურინიო** (რეალის მწვრთნელი): *„პირველ რიგში კარის მშრალად შენახვა გვსურდა, რაც დაცვაში ყურადღებით თამაშს საჭიროებდა და მიხარია, რომ მოედანზე ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც მატჩის წინ მოვილაპარაკეთ... ვფიქრობ, „ლიონს“ აბსოლუტურად დამსახურებულად გავცდით. ერთადერთი მეტოქე, რომელთანაც მეოთხედფინალში შეხვედრას არ ვისურვებდი, მილანის „ინტერია“ - ამ გუნდის წინააღმდეგ ბრძოლა ძალიან გამიჭირდება.“*

**მესუთ იოზილი** (რეალი): *„ძალიან კარგად ვითამაშეთ. მეტოქეებ ბევრი ვერაფერი გაბედა, ჩვენ კი სამი გოლი გავიტანეთ და მეტიც უნდა გაგვეტანა.“*

**კლოდ პუელი** (ლიონის მწვრთნელი): *„ჩვენ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბთან დავმარცხდით. შარშანდელი „რეალისგან“ განსხვავებით, რომელიც მერვედფინალიდან გავავდეთ, ამ „რეალს“ ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია.“*

### TOP ფეხბურთელი
მარსელო (რეალი)

„რეალის“ მარცხენა მცველი ძალიან ბევრს დარბოდა და გასაოცარია, როგორ არ დაიღალა, რამდენს გაუძლო. თანაც, მარსელო შეტევაში წარმოუდგენლად აქტიური გახლდათ და სამჯერ აღმოჩნდა ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე. აქედან, ერთხელ ისე მოიქცა, საუკეთესო ფორვარდებს შეშურდებოდათ – გოლის მომენტში „ლიონის“ მცველების გაცურებას ვგულისხმობთ.

### FLOP ფეხბურთელი
კრისი (ლიონი)

„ლიონის“ დაცვის ბურჯმა „რეალის“ ბრწყინვალე წინახაზელებს ვერაფერი მოუხერხა. პირველი გოლის დროს მარსელოს თავი ბავშვივით მოატყუებინა, ბენზემას გოლის დროს კი „რეალის“ თავდამსხმელი მარტივად გაატარა. მოკლედ, ფრანგული გრანდის ბრაზილიელი მცველი ოთხშაბათს მარცხენა ფეხზე იყო ამდგარი. მასზე უკეთესად არც გურკუფს, ბრიანს და ლისანდრო ლოპესს უთამაშიათ. ერთადერთი ლიონელი, ვინც უნდა შევაქოთ, მეკარე ლორისია...

## მსაჯი

სლოვენიელმა **დამირ სკომინამ** ძალიან კარგად, უშეცდომოდ იმსაჯა და მალე დაარწმუნა ყველა, რომ მისთვის ყველაფერი სულერთია, მათ შორის ის დაუწერელი კანონიც, რომლის მიხედვითაც, არბიტრმა მასპინძელ გუნდს რაღაც-რალაცები უნდა აპატიოს - სკომინამ თავიდანვე გააფრთხილა **პეპე** და **რიკარდო კარვალიო**. ამასთან, სლოვენიელმა ბენზემასა და იოზილზე ასპროცენტიანი თამაშგარე მდგომარეობები დააფიქსირა. ბრავო!

## ანალიზი

„რეალმა“ პირველი წუთებიდან გვაგრძნობინა, რომ მერვედფინალურ ეტაპს ამჯერად უპრობლემოდ გადალახავდა. მოედნის ცენტრში იოზილი კარგად მოქმედებდა, მარცხენა ფრთაზე კი მარსელო დარბოდა გადარეულივით და გარდა იმისა, რომ რონალდოსთან ბრწყინვალედ კომბინირებდა, არაერთხელ აღმოჩნდა ცენტრფორვარდის პოზიციაზეც და მშვენიერი გოლიც გაიტანა. „ლიონმა“ კი მხოლოდ 20 წუთის შემდეგ შეძლო მეტოქის ნახევარზე ხეირიანად გადასვლა, როცა დელგადომ მადრიდულ გრანდს კინალამ ცივი შხაპი გადაავლო, მაგრამ „კინალამ“ არც ითვლება. 27-ე წუთიდან კი მოედანზე განვითარებულ მოვლენებზე კონტროლი კვლავ „სამეფო გუნდმა“ დაამყარა.

„რეალის“ თითქმის ყველა შეტევა მარცხენა ფლანგიდან ვითარდებოდა, სადაც მარსელო და რონალდო რევეილერს შიშის ზარს სცემდნენ. მეორე ტაიმში კლოდ პუელმა გომისის სახით მოედანზე მეორე ცენტრფორვარდი კი შეუშვა, მაგრამ ფრანგული კლუბის თამაშს არაფერი დასტყობია. რაკი „ლიონმა“ საჭირო აგრესიულობა ვერ გამოავლინა, მადრიდელებმა უპრობლემოდ შეძლეს მეორე გოლის გატანაც, რის შემდეგაც უკვე ცხადი იყო, რომ პუელის გუნდი განწირული გახლდათ.

ამრიგად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ სეზონში „რეალი“ საკუთარ მოედანზე ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე დგას. დაველოდოთ წილისყრას, მაგრამ ფაქტია, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ნებისმიერ მეტოქეს მძიმე 90 წუთი ელის...

# ჩელსის არ უნდოდა, კოპენჰაგენს არ შეეძლო

**როგორც** მოსალოდნელი იყო, „ჩელსიმ“ „კოპენჰაგენთან“ ბრძოლით თავი არ მოიკლა. ეს არც იყო საჩირო – „არისტოკრატებს“ პირველი მატჩი ხომ 2:0 ჰქონდათ მოგებული, „კოპენჰაგენს“ კი „სტემფორდ ბრიჯზე“ მომგები (თანაც, ორბურთიანი უპირატესობით მომგები) გუნდისა არაფერი ეცხო. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ 0:0-ით „ჩელსიმ“ მეტოქეს არისტოკრატიულად სცა პატივი. ერთი ეგაა, რომ სტადიონზე შეკრებილი 45000-მდე ქომაგის თვალწინ საკმაოდ მოსაწყენი ბურთაობა გაჩაღდა.

1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი

CHELSEA FOOTBALL CLUB

**ჩელსი (ინგლისი) 0:0 კოპენჰაგენი (დანია)**

პირველი მატჩი 2:0

16 მარტი. ლონდონი. სტემფორდ ბრიჯი. 36 454 მაყურებელი

**ჩელსი (4-4-2):** ჩეხი – ბოსინგვა, ივანოვიჩი, ტერი, ე. კოული – რამირესი, ობი მიკელი (84. ესიენი), ლემპარდი, ჟირკოვი (75. მალუდა) – ანელკა (68 ფერნანდო ტორესი), დროგბა.

**კოპენჰაგენი (4-2-2-1-1):** ვილანდი – ვენდტი, იორგენსენი, ანტონსონი, ბენგტსონი (61. ზოჰორე) – კლაუდემირი, კვისტი – ბოლანოსი (89. კრისტენსენი), ვინგაარდი (74. სანტინი) – გრონკიაერი – ნ'დოიე.

**არბიტრი:** სვენ ოდვარ მოენი (ნორვეგია)

## მატჩამდე

**კარლო ანჩელოტიმ** პირველი მატჩის შემდეგ სამი ცვლილება განახორციელა: **ესიენი, მალუდა** და **ტორესი** სკამზე დასვა, მათ ნაცვლად კი **ჟირკოვი, ობი მიკელი** და **დროგბა** ათამაშა. კოპენჰაგენში მხოლოდ ორი ცვლილება ვიხილეთ: დისკვალიფიცირებული **პოსპეხის** ნაცვლად თამაში **ბენგტსონმა** დაიწყო, **სანტინმა** კი სკამზე გადაინაცვლა, რომელიც **კვისტმა** შეცვალა.

### TOP ფეხბურთელი
დიდიე დროგბა (ჩელსი)

მას მერე, რაც „ჩელსიმ“ ფერნანდო ტორესი იყიდა, „სტემფორდ ბრიჯზე“ დიდიე დროგბას მზე თითქოს ჩაესვენა. თუმცა ესპანელი ჯერ ვერ თამაშობს ისე, როგორც მისგან ითხოვენ და ანჩელოტიმაც, „კოპენჰაგენთან“ კოტ დ'ივუარელს მისცა თავის გამოჩენის შანსი. დროგბამაც დაამტკიცა, რომ ჯერ კიდევ მაგარი თავდამსხმელია – ძალიან ბევრს მოძრაობდა, მუდმივად გახსნილი იყო და თამამად ვიტყვით, მოედანზე ყველაზე შესამჩნევი ფიგურა გახლდათ. თუ დიდიე „კილერის ინსტინქტსაც“ დაიბრუნებს, ტორესს „ჩელსის“ ძირითადში თავის დამკვიდრება ნამდვილად გაუჭირდება.

### FLOP ფეხბურთელი
კრისტიან ბოლანოსი (კოპენჰაგენი)

„კოპენჰაგენის“ ნახევარმცველს ოთხშაბათს აშკარად შავი დღე გაუთენდა. ჟირკოვმა ბოლანოსს სიცოცხლე გაუმწარა - მარჯვენა ფლანგზე მან ვერც დაცვითი ფუნქციების შესრულებისას ივარგა და შეტევაშიც არაფერი გაუკეთებია.

## მსაჯი

ნორვეგიელ არბიტრ **სვეინ ოდვარ მოენს** სათანადოდ ვერ შევაფასებთ, რადგან მსაჯისთვის ეს ერთ-ერთი ყველაზე იოლი თამაში იყო ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში. ძალიანაც რომ მოენდომებინა, შეცდომას მაინც ვერ დაუშვებდა.

## ანალიზი

შეხვედრა ამჯერადაც ისე დუნედ დაიწყო, როგორც პირველი მატჩი. „ჩელსიმ“ მხოლოდ 15 წუთის შემდეგ დაიწყო ფეხბურთის თამაში და „კოპენჰაგენს“ პრობლემებს მეტწილად მარცხენა ფლანგიდან უქმნიდა. დანიელებს კი შეტევაში კარგი არაფერი გაუკეთებიათ – თუ არ ჩავთვლით იმას, რომ **ნ'დოიემ** ბურთი **ჩეხის** კარის ძელს მოარტყა.

ლონდონელები მეორე ტაიმშიც ყველაფერს აკონტროლებდნენ, მაგრამ „კოპენჰაგენის“ კარის სიახლოვეს ცივსისხლიანობა აკლდათ და რაკი დაცვაშიც არაფერი გასჭირვებიათ, უპრობლემო შეხვედრა საფინალო სასტვენამდე მარტივად მიიყვანეს. ორი მატჩის ჯამში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ჩელსის“ მერვედფინალში იოლი გასეირნება ჰქონდა. კოპენჰაგენელები კი მიღწეულითაც ძალიან კმაყოფილები უნდა იყვნენ – ამ გუნდისთვის ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში თამაშიც სენსაციური შედეგია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტატისტიკა

# ბარსა? არა სპარტაკი! სპარტაკი?

## რითი სჯობს ბენზემა მესის




ეტოო და მესი ბომბარდირობისთვის იბრძვიან

ჩემპიონთა ლიგის სეზონის საკვალიფიკაციო, ჯგუფური და მერვედფინალური ეტაპები მოვიტოვეთ. დროა, ისევ მივუბრუნდეთ სტატისტიკას, რომელიც ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს. მაშ ასე, თქვენ წინაშეა ჩემპიონთა ლიგის სეზონის დეტალური სტატისტიკური მონაცემები, როგორც ინდივიდუალური, ასევე - გუნდური.

ლიგას, ჯერჯერობით სამი ბომბარდირი ჰყავს 8-8 გოლით, თუმცა, თუკი მარიო გომესი ტურნირს უკვე დაემშვიდობა, ლეო მესის და სამუელ ეტო'ოს წინ, სულ მცირე, ორ-ორი მატჩი აქვთ. მათ კვალში უდგას „ჩელსის" ფრანგი ფორვარდი ნიკოლა ანელკა. ნურც ქარიმ ბენზემას ჩამოვწერთ, რომელსაც ლიდერებზე ორით ნაკლები გოლი აქვს გატანილი. უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ, ქარიმ ბენზემას ამიერიდან ნულარ ჩამოვწერთ - ისე ბრწყინვალედ ათამაშდა ეს ფორვარდი ბოლო ხანს. ჩამონათვალში წინ მესია, რატომ? იმიტომ, რომ მან სამეულში ყველაზე ცოტა დრო დაყო მოედანზე - 597 წუთი (გომესი - 607, ეტო'ო - 720). ამ მხრივაც მაგარი მაჩვენებელი აქვს ბენზემას - 6 გოლი მან 357 წუთში გაიტანა. ეს კი მესის მაჩვენებელსაც ბევრად სჯობს - ბენზემას ყოველ 59 წუთში ერთხელ გააქვს ჩემპიონთა ლიგაზე, მესის კი - 74 წუთში ერთხელ.

ამავე პრინციპით კარლუშ მარტინში უკეთესი მეპასეა ლიგაში, ვიდრე არონ ლენონი (5-5 პასი), რადგან პორტუგალიელს ინგლისელზე 50 წუთით ნაკლები აქვს ნათამაშები. დანარჩენებს კი ცხრილებიდანაც თავად შეიტყობთ - ყველაზე მეტად რამაც გაგვაოცა, ბურთის ფლობის პროცენტია - გაგიკვირდებათ, პირველ ადგილზე მოსკოვის „სპარტაკია" და არა „ბარსელონა". რუსებმა 7 თამაშში ბურთის ფლობის 63% აჩვენეს, ხოლო კატალონიელებმა - 18 მატჩში - 61%. სიმართლე გითხრათ, ახლაც გვგონია, რომ უეფას ოფიციალურ საიტს რაღაც ეშლება.

### ინდივიდუალური სტატისტიკა

**გოლები**

| | | |
|---|---|---|
| 8 | ლიონელ მესი | ბარსელონა |
| 8 | მარიო გომესი | ბაიერნი |
| 8 | სამუელ ეტო'ო | ინტერი |
| 7 | ნიკოლა ანელკა | ჩელსი |
| 6 | ქარიმ ბენზემა | რეალი |
| 6 | რობერტო სოლდადო | ვალენსია |

**საგოლე პასები**

| | | |
|---|---|---|
| 5 | კარლუშ მარტინში | ბენფიკა |
| 5 | არონ ლენონი | ტოტენჰემი |
| 4 | ხუან კულიო | კლუჟი |
| 4 | მესუთ იოზილი | რეალი |
| 4 | სამუელ ეტო'ო | ინტერი |
| 4 | დარიო სრნა | შახტარი |

**კარში დარტყმა (ზუსტი)**

| | | |
|---|---|---|
| 19 | ლიონელ მესი | ბარსელონა |
| 18 | კრიშტიანო რონალდო | რეალი |
| 15 | სამუელ ეტო'ო | ინტერი |
| 13 | არიც ადურისი | ვალენსია |
| 13 | მარიო გომესი | ბაიერნი |

**კარში დარტყმა (არაზუსტი)**

| | | |
|---|---|---|
| 19 | კრიშტიანო რონალდო | რეალი |
| 15 | ვესლი სნეიდერი | ინტერი |
| 12 | ლიონელ მესი | ბარსელონა |
| 12 | დამე ნ'დოიე | კოპენჰაგენი |
| 11 | კარლუშ მარტინში | ბენფიკა |

**თამაშგარე**

| | | |
|---|---|---|
| 17 | ზლატან იბრაჰიმოვიჩი | მილანი |
| 13 | ლასინა ტრაორე | კლუჟი |
| 13 | კენი მილერი | რეინჯერსი |
| 13 | ნიკოლა ანელკა | ჩელსი |
| 12 | ალექსანდერ ფრაი | ბაზელი |

**დაჯარიმდნენ**

| | | |
|---|---|---|
| 27 | დამე ნ'დოიე | კოპენჰაგენი |
| 24 | პიტერ კრაუჩი | ტოტენჰემი |
| 23 | მარკ იანკო | ტვენტე |
| 22 | ლუიზ ადრიანო | შახტარი |
| 22 | იესპერ გრონკიაერი | კოპენჰაგენი |

**მასზე დაჯარიმდნენ**

| | | |
|---|---|---|
| 24 | სტივენ ნეისმითი | რეინჯერსი |
| 22 | ლუის სუარესი | აიაქსი |
| 21 | დამე ნ'დოიე | კოპენჰაგენი |
| 20 | მატიო ვალბუენა | მარსელი |
| 20 | დარიო სრნა | შახტარი |

**გაფრთხილება**

| | | |
|---|---|---|
| 4 | სერხიო რამოსი | რეალი |
| 4 | ჯეფერსონ ფარფანი | შალკე |

**გაძევება**

| | |
|---|---|
| 1 | 20 ფეხბურთელი |

### საკლუბო სტატისტიკა

**გოლები**

| | |
|---|---|
| 21 | არსენალი |
| 19 | ბაიერნი |
| 19 | რეალი |
| 19 | ტოტენჰემი |

**გაშვებული**

| | |
|---|---|
| 19 | ჟილინა |
| 17 | რომა |
| 16 | ბურსა |

**გაფრთხილება**

| | |
|---|---|
| 23 | მილანი |
| 20 | რეალი |
| 19 | შალკე |

*6 გუნდი 2-2 გაძევებით*

**კარში დარტყმა (ზუსტი)**

| | |
|---|---|
| 67 | რეალი |
| 59 | ბარსელონა |
| 59 | ბაიერნი |

**კარში დარტყმა (არაზუსტი)**

| | |
|---|---|
| 81 | ჩელსი |
| 64 | რეალი |
| 61 | მარსელი |

**თამაშგარე**

| | |
|---|---|
| 39 | ჩელსი |
| 39 | მილანი |
| 37 | ლიონი |

**კუთხური**

| | |
|---|---|
| 59 | ბენფიკა |
| 57 | ლიონი |
| 56 | ბაიერნი |

**დაჯარიმდნენ**

| | |
|---|---|
| 140 | შახტარი |
| 132 | არსენალი |
| 126 | შალკე |

**ბურთის ფლობა (წუთ.)**

| | |
|---|---|
| 327 | ბარსელონა |
| 319 | ბაიერნი |
| 282 | მანჩესტერი |
| 282 | რეალი |

**ბურთის ფლობა (%)**

| | |
|---|---|
| 63 | სპარტაკი |
| 61 | ბარსელონა |
| 59 | ბაიერნი |

**ყველაზე, ყველაზე სუსტები**

**2-2 გოლი** გაიტანეს „ბურსამ", „პანათინაიკოსმა", „პარტიზანმა" და „რუბინმა".
**19 გოლი** გაუშვა „ჟილინამ".
**16-ჯერ** დაარტყა კარში ზუსტად „პანათინაიკოსმა".
**14-ჯერ** მოაწოდა კუთხური „რეინჯერსმა".
**126 წუთის** განმავლობაში ფლობდა ბურთს „რეინჯერსი".
**34 %** ბურთის ფლობისა, ისევ „რეინჯერსის" „მონაგარია".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები



ინგლისური კლუბების შავი დღე: ევროპის ლიგიდან ლივერპულიც გავარდა...

**პსჟ–ბენფიკა 1:1 (1:2)**

**პსჟ (4-2-3-1):** ედელი – სეარა (78. მორისი), ტიენე, ჟალე, არმანდი – შანტომე, მაკელელე – საჰო, ბოდმერი (68. ჟიული), ნენე – ერდინგი (68. ოარო).

**ბენფიკა (4-3-1-2):** რობერტო – პერეირა, ლუიზაო, სიდნეი, კოენტრაო – გარსია, სალვიო, გაიტანი (90. ჟარდელი) – აიმარი (80. პეიხოტო) – სავიოლა (64. მარტინსი), კარდოზო.

**გოლები:** 0:1 გაიტანი (27), 1:1 ბოდმერი (35).

**მანჩ. სიტი–დინამო კ. 1:0 (0:2)**

**სიტი (4-3-3):** ჰარტი – რიჩარდსი, კომპანი, ლესკოტი, კოლაროვი (88. მილნერი) – დე იონგი, ტურე, ბერი (71. ჯონსონი) – სილვა (76. ჯეკო), ტევესი, ბალოტელი.

**დინამო (4-2-3-1):** შოვკოვსკი – სილვა, ალმეიდა, იუსუფი, პოპოვი – ერიომენკო, ვუკოევიჩი – გუსევი, იარმოლენკო (90. ბეტაო), ნინკოვიჩი (46. ზოზულია) – შევჩენკო (62. გარმაში).

**გოლი:** 1:0 კოლაროვი (39).

**გაძევება:** ბალოტელი (36).

**ზენიტი–ტვენტე 2:0 (0:3)**

**ზენიტი (4-3-3):** ჟევნოვი – ანიუკოვი, მეირა (46. ჰუსტი), ბრუნო ალვეში, ლუკოვიჩი – დანი, დენისოვი, შიროკოვი – იონოვი, ლაზოვიჩი (64. ბუხაროვი), კერჟაკოვი (70. ზირიანოვი).

**ტვენტე (4-3-3):** მიხაილოვი – როსალესი, ვისგერჰოფი, ონიევუ, ბუისე – იანსენი, ლანძაატი, ბრამა – ჩადი, დე იონგი, ბაირამი (72. ჯონი).

**გოლები:** 1:0 შიროკოვი (16), 2:0 კერჟაკოვი (37).

**სპარტაკი–აიაქსი 3:0 (1:0)**

**სპარტაკი (4-2-3-1):** დიკანი – დ. კომბაროვი, შეშუკოვი, როხო, მაკეევი – იბსონი, კარიოკა – მაკგიდი (67. არი), ალექსი (84. ძიუბა), კ. კომბაროვი – ველიტონი.

**აიაქსი (4-2-3-1):** ვერჰოევენი – ვან დერ ვილი, ანდერვეირელდი, ვერტონგენი, ბლინდი (46. ენო) – დე ზეუვი, ანიტა – სულეიმანი (46. ოსბილისი), ერიკსენი (63. ცვიტანიჩი), ებისილიო – დე იონგი.

**გოლები:** 1:0 დ. კომბაროვი (21), 2:0 ველიტონი (30), 3:0 ალექსი (54).

**ვილიარეალი–ბაიერი 2:1 (3:2)**

**ვილიარეალი (4-4-2):** ლოპესი – მარიო, გონსალო, მუსაჩიო, კატალა – ბორხა ვალერო (74. კაპდევილა), მარჩენა, ბრუნო, კასორლა (80. კანი) – რუბენი, როსი (69. ნილმარი).

**ბაიერი (4-4-2):** ადლერი – ვიდა (75. შვააბი), ჰიპია, რაინარცი, კადლეცი – ბენდერი, როლფესი, აუგუსტო, კასტრო (43. სამი) – კისლინგი (53. ბალაკი), დერდიოკი.

**გოლები:** 1:0 კასორლა (33), 2:0 როსი (61), 2:1 დერდიოკი (82).

**ლივერპული–ბრაგა 0:0 (0:1)**

**ლივერპული (4-3-1-2):** რეინა – კარაგერი, ვილსონი, შკრტელი, ჯონსონი – ლუკასი, როდრიგესი (75. სპირინგი), კოული (75. ნგოგი) – მეირელეში – ქეროლი, კუიტი.

**ბრაგა (4-2-3-1):** არტური – გარსია, პაულაო, როდრიგესი, სილვიო – სალინო (89. მოსორო), უგო ვიანა – ალანი, ვანდინიო (74. კაკა), პაულო სეზარი – ლიმა (85. მეიონგი).

**პორტო–ცსკა მ. 2:1 (1:0)**

**პორტო (4-3-3):** ჰელტონი – საპუნარო, როლანდო, ოტამენდი, ფუჩილე – მოუტინიო, ფერნანდო, გუარინი – ჰალკი (87. როდრიგესი), ფალკაო (77. ვარელა), ხ. როდრიგესი (52. ბელუში).

**ცსკა (4-4-2):** აკინფეევი – ნაბაბკინი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, სენიკოვი – ჰონდა, ალდონინი, ტოშიჩი (72. ოლისე), ძაგოევი (74. გონსალესი) – ვაგნერ ლავი, დუმბია (65. ნეციდი).

**გოლები:** 1:0 ჰალკი (1), 2:0 გუარინი (24), 2:1 ტოშიჩი (29).

**რეინჯერსი–პსვ 0:1 (0:0)**

**რეინჯერსი (5-4-1):** ალექსანდერი – ფოსტერი (86. ჰილი), ბუგერა, ვეირი (46. ნეისმიტი), ბარტლი, ვიტაკერი – დევისი, პაპაჩი, ედუ, ლაფერტი (66. დიუფი) – ვაილდი.

**პსვ (4-2-3-1):** ისაკსონი – ენგელაარი, მარსელო, ბუმა, პიტერსი – ჰატჩინსონი, ტამატა – ლენსი, ტოივონენი, ჯუჯაკი – ბერგი (66. ბაკალი).

**გოლი:** 0:1 ლენსი (14).

მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



...და მანჩესტერ სიტიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

მზადება ევროპის ჩემპიონატისთვის

# დასკვნითი შეკრებების ეტაპი

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები უკვე დაბრუნდა მინსკიდან, სადაც „სტაიკების" ოლიმპიურ ბაზაზე ერთობლივი შეკრება გაიარა მასპინძელ და ფრანგ ათლეტებთან ერთად. ფრანგები უძლიერესი შემადგენლობით იყვნენ ჩასულები, გაფართოებული გუნდით გამოდიოდნენ მასპინძლებიც, დაახლოებით 100 კაცით, რომელთა შორისაც გუნდის ყველა ლიდერი იყო. მთლიანობაში, ერთობლივ ვარჯიშებში 140-მდე სპორტსმენი ჩაერთო, წვრთნები კი 6 ლეიბზე მიმდინარეობდა. როგორც საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **ოთარ ტატიშვილმა** გვითხრა, შეკრება ნაყოფიერი გამოდგა, რადგან ძლიერი ფალავნები მონაწილეობდნენ და ჩვენებმაც კარგად ივარჯიშეს. ამის მიუხედავად, **ბეგი დარჩიას** საკადრო პრობლემები მაინც არ ელევა - მინსკში ბულგარეთში მიღებულ ტრავმაზე გამოკვლევა ჩაუტარეს **ვლადიმერ გეგეშიძეს** (84) და მდგომარეობა მოსალოდნელზე უფრო მძიმე აღმოჩნდა. არადა, გეგეშიძე საევროპო ნაკრების წევრად განიხილებოდა. გამაყუჩებლებით და გარკვეული რისკის ფასად ახლაც შეძლებს ევროპაზე გამოსვლას, მაგრამ მწვრთნელები არ რისკავენ. ამიტომ გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გეგეშიძე ევროპას გამოტოვებს. საკითხავია, ამ წონაში ევროპაზე გვეყოლება კი საერთოდ მონაწილე? საქართველოს ჩემპიონატი გეგეშიძემ მოიგო, ხოლო მეორეზე ახალგაზრდა ქუთაისელი **დავით ჩაკვეტაძე** გავიდა. მან ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა მწვრთნელებმა საერთაშორისო ტურნირში ბრინჯაოს პრიზიორი **მათე სოფაძე** გამოცადეს. რაც შეეხება მეორე ბრინჯაოს მფლობელ **რევაზ ნადარეიშვილს**, ის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთადაა წასული რიგაში, იქაურ საერთაშორისო ტურნირში. ამდენად, ეროვნულის კანდიდატებად ჩაკვეტაძე და სოფაძე რჩებიან.

საბედნიეროდ, ამ ერთი უსიამოვნო ამბის - გეგეშიძის ტრავმის გარდა, ჩვენებმა რამდენიმე სასიამოვნოც ჩამოგვიტანეს მინსკიდან. კერძოდ, **რევაზ ლაშხი** (60) სწრაფად იმუშებს ნატკენ ფეხს და არაა გამორიცხული, აპრილის დასაწყისში დორტმუნდშიც ვიხილოთ ევროპის პირველობაზე. მკვეთრად მოუმატეს ტემპს ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მანუჩარ კვირკველიამ** (74) და ევროპის ბრინჯაოს პრიზიორმა, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა **მანუჩარ ცხადაიამ** (66). დამაკმაყოფილებლად და ნორმის ფარგლებში მიმდინარეობს ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონის, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან **რამაზ ნოზაძისა** და ევროპის მესამე პრიზიორ **სოსო ჯაბიძის** (ორივე - 96) პოსტტრავმული სარეაბილიტაციო პროცესი.

ევროპის ჩემპიონატი დორტმუნდში 29 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით გაიმართება, კონკრეტულად ბერძენ-რომაელები კი 2-3 აპრილს იჭიდავებენ. იქ წასაყვანი ნაკრების ძირითადი ბირთვი უკვე ცნობილია, საკითხი იმდენად ღიაა, ბოლო შეკრებაზე ნაკრების თავკაცი ბეგი დარჩია საკონტროლო შეხვედრებსაც კი არ გეგმავს, თუმცა კანდიდატებს ჯერ ოფიციალურად არ ასახელებს. დასკვნით შეკრებას ნაკრები დღეს დაიწყებს დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე, სადაც დარჩიას განკარგულებაში დაახლოებით 35 ფალავანი იქნება.

მეოთხე დღეა, დუშეთშია და ევროპის ჩემპიონატის წინ ასევე ბოლო შეკრებას მართავს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები. ბეგი დარჩიასგან განსხვავებით, იმ გუნდის თავკაცმა **ზაზა თურმანიძემ** უკვე დაასახელა დორტმუნდში წასაყვანი ფალავნები: **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **მალხაზ ზარქუა** (60), **კობა კაკალაძე** (66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **ბელდუხ გავაშელიშვილი** (96), **დავით მოძმანაშვილი** (120). დუშეთში თურმანიძეც 35-კაციანი გუნდითაა წასული და სავარჯიშო პირობებით კმაყოფილია. ეს გუნდი გერმანიაში 27 მარტს გაფრინდება, რადგან კონტინენტის პირველობაზე ბერძენ-რომაელებზე ცოტა ადრე - 29-30 მარტს ჭიდაობენ. 28-ში აწონაა, 29-ში კი ლეიბზე „თავისუფლად" მოასპარეზე 60, 74 და 96-ის ფალავნები გავლენ, დანარჩენი წონების ფალავნები - 30-ში. 31 მარტი და 1 აპრილი ქალთა ტურნირს ეთმობა, მერე კი ბერძენ-რომაელთა ჯერი დგება: 2-ში 55, 66, 84 და 120-ის ფალავანთა ასპარეზობები გაიმართება, ჩემპიონატს კი 60, 74 და 96 კილოგრამებში მოჭიდავეები დაასრულებენ.

**ირაკლი თავაძე**



ჩოგბურთი

# ჩინეთს და თურქეთს დავემშვიდობეთ

20 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** (188) დაასრულა ჩინურ ქალაქ სანიაში (25 ათასი დოლარი) ასპარეზობა. ორთვიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებას ჩვენებურს წარმატებულად ვერ ჩავუთვლით - ერთეულებსა და წყვილებში ის მეორე ეტაპს ვერ გასცდა, არადა ორივე ბადეში განთესილი იყო (ერთეულებში მე-6 ნომრად, წყვილებში - მე-2). ერთეულთა მერვედფინალში ოქსანა „უაილდ ქარდით" მიწვეულ ჩინელ **ჩან ლიუს** (506) ხვდებოდა, მაგრამ ფავორიტმა სამ სეტში წააგო - 6:4, 4:6, 3:6.

ანთალიაში 19 წლის **ეკა გორგოძემ** (552) მერვედფინალში წააგო პირველ ნომრად განთესილ ბულგარელ დია **ევტიმოვასთან** (235) - 1:6, 4:6 და 10-ათასიან ტურნირს დაემშვიდობა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ოქსანა კალაშნიკოვა

მშვილდოსნობა. უცხოელი მწვრთნელი



# კონტრაქტამდე - ნათლობა

## კორეელი მართლმადიდებლად მოინათლა

ჯერჯერობით ისევ გაურკვეველია კორეელ **ან იონ სეუნის** საქართველოს მშვილდოსანთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნის საკითხი. თუმცა, შესაძლოა, ეს ამბავი წუხელ გაირკვა კიდეც, ანაც - უახლოეს საათებში გადაწყდეს. საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი **მამუკა ქაცარავა** საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ვლადიმერ ვარძელაშვილს** უნდა შეხვდეს, რაც იქნებ წუხელაც შედგა ან - დღეს გაიმართოს. კორეელის მწვრთნელად დანიშვნაში ფედერაციას ფინანსურ დახმარებას სწორედ სამინისტრო ჰპირდება და მინისტრ-პრეზიდენტის აუდიენციაც ამ საკითხის გასარკვევად უნდა გაიმართოს. ახლა ერთადერთი პრობლემა კორეელის ხელფასია, თორემ თავად მწვრთნელი ყაბულსაა საქართველოში მუშაობაზე. ამჯერად ის თბილისში ხანგრძლივად საცხოვრებლად ჩამობარგდა, მთელი თავისი გარდერობით და ზემდგომთა მოლაპარაკების დასრულებას ელოდება. ცხადია, შეთანხმების დეტალებიდან გამომდინარე, ამ ზესაიდუმლო თემაზე ანუ მის სავარაუდო ხელფასზე ხელი არ მიგვიწვდება, მაგრამ, ფაქტია, საჭირო ფული ფედერაციას არ გააჩნია და დახმარებას სახელმწიფოს სთხოვს.

კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, თუმცა გუშინ კორეელისა და ქართული მხარის ურთიერთობაში ერთი არასპორტული, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხი მოგვარდა - კორეელი მართლმადიდებლად მოინათლა! სიმართლე გითხრათ, თავის დროზე, როცა მისი შესაძლო გაქრისტიანების შესახებ გაცნობეთ, ინფორმაციის სისწორეში ჩვენც კი გვეპარებოდა ეჭვი იმის მიუხედავად, რომ ოფიციალური პირისგან შევიტყვეთ. ისიც კი ვიფიქრე, ღირდა თუ არა საერთოდ ამაზე დაწერა, მაგრამ მოგვიანებით ეს სურვილი კორეელმაც დაგვიდასტურა, რომელიც ქართველებმა არაოფიციალურად ადრევე მონათლეს - სახელი გადაარქვეს და „არჩი" უწოდეს. ახლა ნამდვილი ნათლობაც შედგა, ნათლიობა კი ქაცარავამ იტვირთა. იმის მიუხედავად, რომ სეუნი პირველივე ჩამოსვლისას ჯერ კიდევ აეროპორტში, სასაზღვრო კონტროლის გავლისას გააოცა ქართველთა უდისციპლინობამ (როცა არავინ იცავდა რიგსა და კანონს), მაინც იმთავითვე იმდენად მოეწონა აქაურობა, ჩვენი კულტურა, ბუნება, სამზარეულო, ქართული სტუმარი-მასპინძლობა, რომ ნაკრების თავკაცად მუშაობას მაშინვე დათანხმდა. შეგახსენებთ, რომ ის მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მწვრთნელ-ინსტრუქტორია, რომელსაც ხშირად გზავნიდნენ სხვადასხვა ქვეყანაში სემინარების ჩასატარებლად ანუ ჰქონდა საინტერესო სამუშაო. ცხადია, ანაზღაურებაც მაღალი ექნებოდა, მაგრამ საქართველოსთვის ეს ყველაფერი მიატოვა და უყოყმანოდ მიიღო ახალი გამოწვევა. მას ისე მოეწონა საქართველო, საახალწლოდ ტურისტად ჩამოვიდა თბილისში და სადღესასწაულო დღეები აქ გაატარა. ოლიმპიური სოლიდარობის ფარგლებში მან უკვე სამი სემინარი ჩაატარა ბათუმში, თბილისსა და დუშეთში, სადაც ეროვნული ნაკრების წევრებთან ერთად ახალგაზრდებიც შეარჩია სავარჯიშოდ. კორეელი ქალთა ნაკრებში სამივე ოლიმპიურ ლიცენზიას გვპირდება და ლონდონში გუნდურ ტურნირში გამოსვლის პირობას გვაძლევს. გამართლების შემთხვევაში ის ერთ საგზურს არც ვაჟებისგან გამორიცხავს, თუმცა ეს ცოტა არარეალურად გვეჩვენება.

იმედია, მისი საკითხი მართლაც მალე გადაწყდება და კონტრაქტს ოფიციალურად გაუფორმებენ.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან



ლელა ჯავახიშვილი

გუშინ საღამოს ქართველ დიდოსტატებს - **ლელა ჯავახიშვილსა** და **სალომე მელიას** შევხვდი - ვაკის საცურაო აუზისკენ მიიჩქაროდნენ. 22 მარტიდან ვაუთა ევროპის ჩემპიონატში გვინდა ვიასპარეზოთ და ფიზიკურად მოლონიერებას ვესწრაფვითო, თქვეს.

- წლეულს გიბრალტარის საერთაშორისო ტურნირზე მინდოდა გამოსვლა, სადაც ნანა ძაგნიძემ და სალომე მელიამ, შესაბამისად, პირველი-მეორე ადგილები დაიკავეს, მაგრამ თავს შეუძლოდ ვგრძნობდი და შორეულ გზაზე მგზავრობას მოვერიდე, - მითხრა ლელამ. - ესეც რომ არ ყოფილიყო, ანაკლიაში შესანიშნავ პირობებში ჩატარდა საქართველოს ქალთა ჩემპიონატი და იქ გადავწყვიტე ძალების გამოცდა. სამწუხაროდ, ჯანმრთელობამ ზღვისპირეთშიც დამალალატა. 11 შესაძლებლიდან 6,5 ქულით მე-5 ადგილი დავიკავე – მესამე ადგილზე გასულ ნინო ხურციძეს ნახევარი ქულით ჩამოვრჩი. თავიდან ცუდად ვითამაშე. მოსაგები პოზიციები ვერ გამოვიყენე ნაზი პაიკიძესთან და სალომე მელიასთან. ორივე პარტიაში ყაიმს დავჯერდი. ტურნირის მეორე ნახევარში უკეთ გავისარჯე, მაგრამ კვარცხლბეკისკენ მიმავალი მატარებელი უკვე ჩავლილი იყო.

**- მერე, მგონი, საფრანგეთის საკლუბო ჩემპიონატში გამოდიოდი...**

- დიახ, სტრასბურგთან ახლომდებარე ქალაქ ბიშვილერის კლუბის წევრი ვარ. ორი წლის წინათ საფრანგეთის ჩემპიონობა მოვიპოვეთ. ახლაც მედლებისთვის ვიბრძვით. ხუთი პარტია ვითამაშე - სამი მოვიგე და ორი ყაიმით დავამთავრე. გუნდში მეორე დაფაზე ქართველი მოჭადრაკე ნინო მაისურაძე თამაშობს, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, პარიზშია გათხოვილი. ფინალურ ოთხეულში გავედით. მეტოქეთა ღირსებას იცავენ უკრაინელი ორგზის ევროპის ჩემპიონი კატერინა ლახნო, სლოვენიელი ანა მუზიჩუკი, რუმინელი ელენა კოსმა. ასე რომ, ივნისის მიწურულს ძნელი ორთაბრძოლები გველის.

**- ყოველ შემთხვევაში იმაზე რთული არა, რაც ვაუთა ევროპის ჩემპიონატში...**

- რა თქმა უნდა. ქალთა ევროპის პირველობა 6 მაისიდან თბილისში რომ დაინიშნა, იმ დროისთვის სპორტულ ფორმაში შესასვლელად მე და სალომე მელიამ ვაუთა ჩემპიონატში მონაწილეობა გადავწყვიტეთ. ამ ეტაპზე ჩვენთვის მთავარია ვარჯიში, ასე ვთქვათ, მოთელვა, საკუთარი შესაძლებლობების გამოცდა ძლიერ ვაჟ დიდოსტატებთან პაექრობაში. თუმცა, როგორც განაცხადებიდან შევიტყვე, საფრანგეთში ქალებიც მრავლად იქნებიან - იუდით პოლგარი, კატერინა ლახნო, ნატალია ჟუკოვა, ანა მუზიჩუკი, ვიქტორია ჩმილიტე. მათთან დაპირისპირებაში ნამდვილად არ გვსურს თავის შერცხვენა.

მთავარი მაინც ქალთა ევროპის ჩემპიონატისთვის მომზადებაა. თბილისში მედლებისთვის ვიბრძოლებ. პროგრამა მინიმუმი კი იმ პირველ თოთხმეტეულში მოხვედრაა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს იძლევა.

**ვაჟა დანელია**

**FM 107,9**

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

ძალოსნობა

# ათლეტებს გრიქუროვის ხელი დაეტყოთ

წლეულს პირველი თებერვლიდან საქართველოს ძალოსანთა ნაკრებს მთავარ მწვრთნელად დაუბრუნდა ცნობილი სპეციალისტი, ოლიმპიური ჩემპიონების აღმზრდელი **ვანო გრიქუროვი**, რომელიც წლების განმავლობაში პოლონელებს ავარჯიშებდა. თვე-ნახევარზე მეტია, გრიქუროვი მწვრთნელ **ალეკო ნოზაძესთან** და 11 ათლეტთან (**შოთა მიშველიძე, გიორგი ლომთაძე, გია მაჭავარიანი, ზაურ ცირეკიძე, ვაჟა ღონღაძე, დავით გოგია, ალუდა მანაგაძე, ირაკლი თურმანიძე, იკა ცანავა, ბაჩანა ქუხილავა, ლაშა ტალახაძე**) ერთად დუშეთში იმყოფება საწვრთნელ შეკრებაზე. ბიჭები შესანიშნავ პირობებში არიან და დღეში ორჯერად ვარჯიშებს ატარებენ, ამიტომაც ამ მცირე დროის განმავლობაში საგრძნობლად გააუმჯობესეს შედეგები. საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რამაზ გურგენიძემ** გვაცნობა, რომ მძიმეწონოსანმა ლაშა ტალახაძემ, რომელსაც ახლახან შეუსრულდა 17 წელი, გუშინ ვარჯიშზე პირველად დაძლია აკვრაში 200 კილო, თანაც დიდი რეზერვით. ასევე საგრძნობლად დაწინაურდა ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი **გიორგი ლომთაძე**, რომლისაც მწვრთნელებს ძალიან ეიმედებათ.

აპრილში ყაზანი ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ქართველთაგან ფიცარნაგზე მხოლოდ ორი სპორტსმენი გავა - **გია მაჭავარიანი** (105 კგ) და **ირაკლი თურმანიძე** (მძიმე წონა). დანარჩენები კი განაგრძობენ მზადებას პარიზის სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის (5-13 ნოემბერი), სადაც საქართველოს ექვსკაციანი ნაკრები გაემგზავრება და შარშან ანტალიაში მოპოვებული იმ ქულების დაცვას შეეცდება, რომელიც ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის 3 საგზურის მოპოვებას ითვალისწინებს.

სანამ უფროსები სერიოზული ტურნირებისთვის ემზადებიან, ჭაბუკებმა (17 წლამდე) ქუთაისში საქართველოს პირველობაში იასპარეზეს. ფიცარნაგზე 9 ქალაქისა და რაიონის 100-მდე წარმომადგენელმა მოსინჯა ძალები. წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ **ირაკლი ჩხეიძე** (ზუგდიდი), **გოდერძი ბერდელიძე** (საჩხერე), შოთა მიშველიძე (ქუთაისი), ბაჩანა ქუხილავა (ზუგდიდი), **ჯაბა აბაშიძე** (აჭარა), **თემურ პერტაია** (ზუგდიდი), **თორნიკე ბენდელიანი** (წყალტუბო) და **ამირან ნოზაძე** (საჩხერე).

- დაბალ წონაში ბევრმა მონაწილემ მოიყარა თავი, ამიტომ ორი წონითი კატეგორია დავამატეთ და გამარჯვებულები რვის ნაცვლად 10 წონაში გამოვავლინეთ, - გვითხრა რამაზ გურგენიძემ. - განსაკუთრებით ოზურგეთელთა გამოჩენამ გაგვახარა. 30 წელიწადზე მეტია, იქაურებს არც ერთ შეჯიბრებაში არ უასპარეზიათ. 12-კაციან სექციას ახალგაზრდა მწვრთნელი ლადო გიორგაძე ერთი წლის წინათ ჩაუდგა სათავეში. ქუთაისში კი მისმა სამმა შეგირდმა იასპარეზა. მძიმე წონაში ენვერ ჭკუასელმა მე-4 ადგილი დაიკავა, რაც დებიუტისთვის ურიგო სულაც არ არის. ერთია მხოლოდ, ოზურგეთელებს ინვენტარის უქონლობა აფერხებთ. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ზაფხულისთვის ახალ ინვენტარს დაგვპირდა, გამოთავისუფლებულ შტანგებს, ცხადია, რაიონებს გადავუნაწილებთ, მათ შორის - ოზურგეთს.

**- ჭაბუკთა საქართველოს პირველობაზე რას იტყვით?**

- შარშან ვალენსიაში ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე 56 კილოში მესამე ადგილი დაიკავა ქუთაისელმა შოთა მიშველიძემ (მწვრთნელი მალხაზ ლომთაძე). ერთი წლის განმავლობაში იგი გაიზარდა და, ცხადია, წონითი კატეგორიაც შეიცვალა. ამჟერად 62 კილოში იასპარეზა და პირადი მიღწევაც 20 კილოთი დაამძიმა - ორჭიდში 252 კილოგრამი (117+135) მოაგროვა. ცხადია, ოქროც მას ხვდა. წლეულს ისევ 17-წლიანთა ევროპის პირველობაზე გამოვა პოლონურ ჩეხანოვოში და კვლავ მედლებისთვის იბრძოლებს. აგვისტოში ევროპის პირველობაზე მასთან ერთად გაემგზავრება ზუგდიდელი ბაჩანა ქუხილავა (მწვრთნელი ბეჟან ჭიჭინაძე), რომელიც ამჟამად დუშეთში ვანო გრიქუროვთან ემზადება მომავალი ორთაბრძოლებისთვის. საქართველოს პირველობაზე მან 69 კილოში 245 კილო (110+135) დაძლია ორჭიდში. ამ ტურნირზე არ გამოსულა წონის ლიდერი ჯაბა ჩიბურდანიძე (აჭარა, მწვრთნელები - აბესალომ ბასილია და ზურაბ ანთაური), რომელმაც შარშან ევროპაზე 17-წლიანებში მე-7 ადგილი დაიკავა. მისი საუკეთესო შედეგია 285 (128+157) კილო. ჯაბას მცირე ტრავმა აწუხებდა და შეჯიბრებაზე არ გამოგვიყვანია. მაისში იგი პერუში თანატოლთა მსოფლიოს პირველობაზე გაემგზავრება, პოლონეთში კი ქუხილავასთან ერთად იბრძოლებს მედლებისთვის. რაც შეეხება მძიმეწონოსან ლაშა ტალახაძეს, რომელმაც შარშან ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე 3 ოქრო დაიმსახურა, უკვე 17 წელი შეუსრულდა და წლეულს 20-წლიანთა კონტინენტის პირველობაზე გამოვიყვანთ.

ერთიც მინდა დავძინო: ქუთაისში ჭაბუკთა პაექრობებში საჩხერელებმა (მთავარი მწვრთნელი გიორგი გაბრიჭიძე) იყოჩაღეს - 118 ქულით გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. გამარჯვებულებს ქულით ჩამორჩა აჭარის ნაკრები. 107 ქულით მესამეზე ზუგდიდელები გავიდნენ. 8-11 აპრილს ქუთაისში საქართველოს ლიგის მეორე ტურის პაექრობები გაიმართება, რომელშიც, მაჭავარიანისა და თურმანიძის გარდა, ყველა ათლეტი იასპარეზებს. ჩვენი სპორტსმენების მომზადების დონეზე საფუძვლიანი მსჯელობა ამ ტურნირის შემდეგ უფრო დაბეჯითებით შეგვეძლება. თუმცა, ჩვენს სპორტსმენებს წინსვლა რომ ეტყობათ, ეს ცხადია, რაც სპორტის სამინისტროს და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თანადგომისა და დახმარების შედეგიცაა.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო


რამაზ გურგენიძე

ჭიდაობა


ზუგდიდის ახალი სპორტული კომპლექსი

# ევროპული სპორტდარბაზი პლუს ნახევრხმოყრილი სარბიელი

ზონალური პირველობებს ქართული ჭიდაობაში გორმა და ზუგდიდმა უმასპინძლა. გორზე უკვე ვწერდით. მოლოდინს გადააჭარბა ტურნირმა ზუგდიდში. შეჯიბრებაში სამეგრელო ზემო სვანეთის და გურიის მოჭიდავეებმაც იასპარეზეს. ეს იყო ძალზე კარგად მოწყობილი შეჯიბრება. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალ სპორტულ დარბაზში პირველად აჟღერდა ქართული ჭიდაობის ჰანგები კასპელი მუსიკოს-დამკვრელების შესრულებით.

სავარაუდოდ, ზუგდიდი არაერთხელ გახდება ქართული ჭიდაობის მასპინძელი ქალაქი. აქაურებს ამ ახალი ევროპული სპორტდარბაზის გარდა გადაწყვეტილი აქვთ ღია საჭიდაო მოედნის მოწყობა „საკონსეროს უბანში" (თამარ მეფის ქუჩაზე) და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერასაც ითხოვენ. ვფიქრობთ, ნახერხმოყრილი მოედანი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ზუგდიდში ჩვენი ეროვნული ჭიდაობის აღორძინებას.

პირველი ადგილები ზუგდიდის ტურნირზე მოიპოვეს: **ბექა ჩიქავამ** (55, ზუგდიდი), **პაატა შუკვანმა** (60), **ბექა ჩართოლანმა** (65, ორივე - მესტია), **ონისე ჩიქავამ** (70, ზუგდიდი), **ზაალ კირტავამ** (75, სენაკი), **აკაკი აფაქიამ** (80), **გიორგი თოფურიამ** (90, ორივე - ფოთი), **ვაჟა ვენჯელაშვილი** (+90, ლანჩხუთი).

საუკეთესო მოჭიდავის თასი და დიპლომი დაიმსახურა ბექა ჩართოლანმა.

შეჯიბრების შემდეგ მოჭიდავეებმა დაათვალიერეს დადიანების სასახლე და ზუგდიდის პარკი.

**გაბრიელ ბარჯაძე**
ავტორის ფოტო

ხელბურთი

# ბათუმი ჩემპიონს გაუძალიანდა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მესამე ეტაპი დასასრულს უახლოვდება. გლდანში მდებარე **ჯემალ ცერცვაძის** სახელობის დარბაზში გუშინ ბოლოსწინა ტურის მატჩები გაიმართა და სამივე შეხვედრა საკმაოდ დაძაბული აღმოჩნდა. "ქუთაისმა" თსუ სამი ბურთის სხვაობით, 35:32 დაამარცხა. ქვეყნის მოქმედ ჩემპიონს, სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის "თბილისს" დიდი წინააღმდეგობა გაუწია "ბათუმმა", თუმცა მატჩი მაინც ფავორიტის გამარჯვებით დასრულდა – 29-25. ჩემპიონატში უკონკურსოდ მოასპარეზე აზერბაიჯანის ნაკრებმა კი "ქარიშხალას" მინიმალურად, 28:27 სძლია.

მესამე ეტაპის ბოლო მატჩები დღეს 14 საათიდან დაიწყება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სამბო

# ჩეხეთში პირველები გამოვლენ

„მართვეს" ჭიდაობის დარბაზში გაიმართა საქართველოს პირველობა სამბოში 1991-1992 წლებში დაბადებულ ახალგაზრდებს შორის. 13-14 აპრილს, პრაღაში ჩვენი ახალგაზრდა სამბისტები ევროპის პირველობაზე იასპარეზებენ. ნაკრები გუნდი კი ძირითადად სწორედ საქართველოს პირველობის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება - პირველ ადგილზე გასული სამბისტები გამოვლენ ჩეხეთის ხალიჩაზე.

**კვარცხლბეკი**

**48 კგ.** 1. ლევან ბებერაშვილი (თიანეთი), 2. სოსო მარანელი (გორი), 3. კოტე ლაფერაშვილი (თბილისი), 3. გიგა ხვედელიძე (ხაშური).

**52.** 1. ნინი ნადარეიშვილი (ფოთი), 2. ზურაბ თათარაშვილი (მცხეთა), 3. ლევან ჩხეტიანი (დმანისი), 3. შოთა კევლიშვილი (საგარეჯო).

**57.** 1. ვახტანგ ჩიდრაშვილი (თელავი), 2. გიორგი მესაბლიშვილი (ახმეტა), 3. გიორგი საჩალელი, 3. გიორგი ვარდანაშვილი (ორივე-თბილისი).

**62.** 1. თორნიკე თათარაშვილი (დუშეთი), 2. ასლან გურჩიანი (წყალტუბო), 3. ცოტნე შენგელია, 3. ლუხუმ ჩხვიმიანი (ორივე-თბილისი).

**68.** 1. ზვიად კაპანაძე (გორი), 2. ლაშა ვეშაგური (თბილისი), 3. არკადი ავალიანი (გარდაბანი), 3. ლადო მუმლაძე (გორი).

**74.** 1. გიორგი პაპუნაშვილი, 2. შალვა მურაჩაშვილი, 3. ანზორ ხმიადაშვილი, 3. მიხეილ გიორგაძე (ყველა-გორი).

**82.** 1. ლაშა ზურაბიანი (თბილისი), 2. გიორგი თათრიშვილი (გორი), 3. შალვა ნინიძე, 3. საბა გოგოლაძე (ორივე-თბილისი).

**90.** 1. გიორგი ნოზაძე (ხაშური), 2. არჩილ შინჯიკაშვილი (გარდაბანი), 3. ავთანდილ ბოგვერაძე, 3. გურამ წულუკიძე (ორივე-ქუთაისი).

**100.** 1. მიხეილ ნარიმანიძე (დედოფლისწყარო), 2. ონისე ბულაძე (საჩხერე), 3. ვახტანგ მაილაშვილი (ახმეტა), 3. ბექა წყალობაშვილი (ყვარელი).

**+100.** 1. სლავა რეზესიძე (დმანისი), 2. მიხეილ ქოიავა (ფოთი), 3. გიორგი რუხაძე (სამტრედია), 3. კობა ეგუტიძე (ქუთაისი).

**გაბრიელ ბარჯაძე**

სპორტული ცეკვები

# სამშობლოში ოცი წლის შემდეგ

ვისაც გასული საუკუნის 80-იანი წლების ქართული სპორტის პერიპეტიები შემორჩა მეხსიერებაში, იმედია, **შორენა გაჩეჩილაძისა** და **გოჩა ჩერტკოევის** ცეცხლოვანი ცეკვებიც ემახსოვრება. ამ დუეტს ევროპულ და ლათინურამერიკულ ცეკვებში არაერთხელ მოუპოვებია საქართველოს ჩემპიონობა და პირველი ადგილები საერთაშორისო სარბიელზე. 1991 წელს ისინი ოკეანის გაღმა გაემგზავრნენ და დალასში (აშშ) განაგრძეს სპორტული კარიერა. იქაც ისახელეს თავი - მრავალ ტურნირში აჯობეს კონკურენტებს, 1998 წელს კი სამხრეთ აფრიკაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედლები დაიმსახურეს. ამერიკის მრავალგზის ჩემპიონები 10 წლის განმავლობაში ცეკვების ვირტუოზული შესრულებით ხიბლავდნენ უცხოელ მაყურებლებს. 2002 წლიდან სამწვრთნელო საქმიანობას მიჰყვეს ხელი და ახლა მათი აღზრდილები იპყრობენ ქომაგთა გულებს.

ზუსტად ოცი წლის შემდეგ შორენა გაჩეჩილაძე და გოჩა ჩერტკოევი სამშობლოში დაბრუნდნენ, სადაც ქართველი მოცეკვავეებისთვის უანგაროდ ჩაატარებენ სემინარებს და მონაწილეობას მიიღებენ დიდი საერთაშორისო ტურნირის ორგანიზებაში, რომელსაც მაისში თბილისი უმასპინძლებს. დედაქალაქში ჩამოსულ პროფესიონალ მოცეკვავეებს სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელ **თენგიზ გაჩეჩილაძესთან** ერთად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში მინისტრის მოადგილე **გია გალდავა** შეხვდა.

*„სასიამოვნოა, რომ ასეთი მაღალი დონის პროფესიონალები გვეწვივნენ. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენთან სპორტული ცეკვები ჯერ არ არის სათანადო დონეზე. იმედია, ქართველ ახალგაზრდებს შორენას და გოჩას გამოცდილება ოსტატობის ამაღლებაში დაეხმარება"*,- აღნიშნა გია გალდავამ.

**ვაჟა დანელია**


www.msy.gov.ge თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

გოჩა ჩერტკოევი და შორენა გაჩეჩილაძე

# მილოცვები



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო დაბადებიდან საიუბილეო 75 წელს ულოცავს ვეტერან ფალავანს, სპორტის საპატიო ოსტატს, ექსტრაკატეგორიის საერთაშორისო არბიტრს, მეცნიერს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ფილასა და ღირსების ორდენების კავალერს **ჯუმბერ დავლიანიძეს.**

საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი დაბადებიდან 75 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს თავისუფალ ჭიდაობაში ვეტერან ფალავანს, ექსტრაკატეგორიის საერთაშორისო არბიტრს, ფილას ოქროს ორდენისა და ღირსების ორდენის კავალერს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს **ჯუმბერ დავლიანიძეს.**

---

„ლელოს" რედაქცია დაბადებიდან საიუბილეო 70 წელს ულოცავს ათეული წლების განმავლობაში ჩვენი გაზეთის საკუთარ კორესპონდენტს იმერეთის მხარეში, სპორტის დამსახურებულ მუშაკს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ძალოსნობაში **თამაზ ლაშხს.**

■ ■ ■

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ დაბადებიდან საიუბილეო 70 წელი მიულოცა და საპატიო სიგელით დააჯილდოვა სპორტის ვეტერანი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი **თამაზ ლაშხი.**

● ქართველი NBA-ში

# სენსაციური ფაჩულიას 46-ე დაბლ-დაბლი

„ჯორჯიელთა სათადარიგოების, **ზაზა ფაჩულიას** და **ჯამალ კროუფორდის** მოედანზე გამოჩენას „ატლანტას" სენსაციური ალმასვლა მოჰყვა: „დენვერელებს" მიზანი მოეშალათ და საკუთარი თამაშის ხელახლა პოვნა გაუჭირდათ," - წერია გაზეთ „დენვერ პოსტში".

კროუფორდზე რა მოგახსენოთ, მაგრამ, „დენვერ ნაგეტსთან" საშინაო მატჩში ფაჩულია საუკეთესო ატლანტელი იყო. მან ამ სეზონში სარეკორდო 32:35 წუთი ითამაშა და პირადი რეკორდი გაიუმჯობესა - 19 ქულა მიითვალა. სეზონის პირველ მატჩში ზაზას „მემფისის" კალათში 17 ქულა ჰქონდა მოთავსებული. ქართველმა ცენტრმა სნაიპერული სიზუსტით ისროლა — 9-დან 8 ორქულიანი გამოიყენა. თამაშიდან ერთადერთი ტყორცნა მატჩის ბოლოს გაუცუდდა - ჩასატენად წავიდა, თუმცა **ნენე ილარიომ** დაუფარა. ...და, რაც მთავარია, ფაჩულიამ 19 ქულას 10 მოხსნა მიამატა, სეზონის მეორე, ხოლო კარიერის (NBA-ში) 46-ე ორმაგი დუბლი მიითვალა.

■ ■ ■

ზემოთ ნახსენებმა ილარიომ 20 ქულა (ყველაზე მეტი მატჩში) და 7 მოხსნა გაიფორმა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ „ნაგეტსის" გამარჯვება ამ ბრაზილიელმა განაპირობა - სტუმრებმა გუნდური თამაშის წყალობით მოიგეს. ამას ხაზი ზაზა ფაჩულიამაც გაუსვა:

*- „დენვერი" გუნდურად თამაშობს, განსაკუთრებით „ტრეიდის" შემდეგ (კლუბი **კარმელო ენტონიმ** დატოვა - ვ.ს.) შეტევაში ყველა დენვერელი სახიფათოა, წინასწარ არ იცი, რომლისგან უნდა ელოდე ხიფათს. მეტოქე ბურთს კარგად ატრიალებს, შორიდანაც ისვრის, საშუალო და ახლო დისტანციებიდანაც. სწორედ ამან განაპირობა „ატლანტას" მარცხი.*

ზაზამ გუნდური თამაში და შეტევითი ფუნქციების თანაბრად გადანაწილება შემთხვევით არ ახსენა - „ატლანტა ჰოქსში" საქმე სხვაგვარადაა: მწვრთნელი მას ძირითადად დაცვაში თამაშს ავალებს, შეტევას კი 3-4 კალათბურთელზე აწყობს. მწვრთნელი ფაჩულიას ერთ შეცდომასაც არ პატიობს. ამას წინათ, „ჩიკაგოსთან" შეხვედრის მეოთხე პერიოდში ბურთი საჯარიმოს სატყორცნ ნიშნულთან მიიღო, ახტა, ისროლა და ააცილა - მწვრთნელმა დაუყოვნებლივ შეცვალა. არადა, ვინ მოთვლის, რამდენ ტყორცნას აცუდებენ **ჯონსონი**, კროუფორდი, **სმიტი, ჰორფორდი**, მაგრამ მათ ამის გამო არავინ ცვლის. ზაზამ „დენვერთან" 32 წუთი იმიტომაც ითამაშა, რომ შეცდომა არ დაუშვია, მეტიც: როცა იგი მოედანზე იყო „ატლანტა" თამაშს აუმჯობესებდა (როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში). ამაში მატჩის მსვლელობის გაცნობის შემდეგ თავადაც დარწმუნდებით.

■ ■ ■

ზაზა მოედანზე პირველი პერიოდის დასრულებამდე 05:31 წუთით ადრე გამოვიდა. იმ დროისთვის „დენვერი" 12:7-ს იგებდა. 3 წუთში ქართველის ზედიზედ ჩაგდებული 4 ქულის წყალობით „ატლანტამ" სტუმრებს გადაასწრო - 16:15.

მეორე მეოთხედის მეორე წუთზე ფაჩულიამ მორიგი ორქულიანი ჩააგდო და - 23:20. ამას მოჰყვა ჯამალ კროუფორდის პერიმეტრიდან ტყორცნები და ჯორჯიელები 12 ქულით დაწინაურდნენ - 34:22. მეორე პერიოდის მეექვსე წუთისთვის, როცა „ატლანტას" 27-ე ნომერი სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდა მასპინძლები 34:26-ს იგებდნენ. მალე „დენვერმა" ანგარიში გაათანაბრა და მწვრთნელმა **ლარი დრიუმ** ზაზა კვლავ თამაშში ჩართო, თუმცა მესამე პერიოდი მაინც ფაჩულიას გარეშე დაიწყო. ალბათ ამიტომაც, „დენვერი" უმალ 10-ით დაწინაურდა. ლოგიკური იყო მოედანზე ზაზას გამოჩენა, რომლის შემდეგაც ყველაფერი თავის ადგილზე დადგა: *„პერიმეტრიდან ჯონსონის სიზუსტეს ფარქვეშ ფაჩულიას დომინირება დაერთო და სირენამდე 10:07 წუთით ადრე ზაზას ორქულიანის შემდეგ სხვაობა 3 ქულამდე შემცირდა, 69:72"*, - წერს „კანადიან პრესი"...

*- თუმცა, მეტოქეს რომ წამოვეწიეთ, კვლავ პერიმეტრიდან ტყორცნებს მოვუხშირეთ, ბევრი ავაცილეთ და ინიციატივა ისევ „დენვერს" გადავეცით,* - აღნიშნა ნამატჩევს ლარი დრიუმ. კოლორადოელებმა საბოლოოდ 102:87 იმარჯვეს.

„დენვერის" გამარჯვება ორ წინადადებაში ასე გააანალიზა **კენიონ მარტინმა:**

*- „ატლანტაში" საუკეთესო ზაზა ფაჩულია იყო. მან მართლაც კარგად ითამაშა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ჯორჯიელთა სასტარტოები გაისარჯნენ ცუდად.*

■ ■ ■

„ჰოქსს" რომ მოეგო, სწორედ ისეთი მაჩვენებლები მოუგროვდებოდა, როგორიც „დენვერს" - 40 გამარჯვება, 28 წაგება. რადგან ზაზას გუნდმა „დენვერთან" დათმო, ახლა მისი მონაგარი 68 მატჩიდან 39 მოგება და აღმოსავლეთის კონფერენციაში მეხუთე ადგილია. მეოთხეადგილოსან „ორლანდოს" 42 გამარჯვება აქვს.

18 მარტს ატლანტას „ფილიპს არენაზე" აღმოსავლეთის ფავორიტი „მაიამი" ითამაშებს. ფლორიდელებმა წინა შეხვედრა „ატლანტასთან" შინ წააგეს და რევანში აქვთ ასაღები.

| ატლანტა–დენვერი | 87:102 |
|---|---|

**ზაზა ფაჩულია:** 32:35 წუთი, 19 ქულა (9-დან 8 ორქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო), 10 მოხსნა, 2 პასი, 1 დაფარება, 4 ფოლი, 2 შეცდომა

### ზაზა ფაჩულიას 46 დუბლი

| თარ | მატჩი | ქულ. | მოხ. |
|---|---|---|---|
| **2010–11** | | | |
| 16 მარტი | ატლანტა-დენვერი 87:102 | 19 | 10 |
| 27 ოქტომბერი | მემფისი-ატლანტა 104:119 | 17 | 10 |
| **2009–10** | | | |
| 31 მარტი | ატლანტა-ლეიკერსი 109:92 | 10 | 10 |
| **2008–09** | | | |
| 27 აპრილი | მაიამი-ატლანტა 71:81 | 12 | 18 |
| 19 აპრილი | ატლანტა-მაიამი 90:64 | 10 | 10 |
| 29 მარტი | ატლანტა-ლეიკერსი 86:76 | 11 | 13 |
| 10 თებერვალი | ატლანტა-ვაშინგტონი 111:90 | 11 | 12 |
| 13 იანვარი | ფინიქსი-ატლანტა 107:102 | 10 | 11 |
| 6 დეკემბერი | დალასი-ატლანტა 100:98 | 13 | 12 |
| **2007–08** | | | |
| 19 თებერვალი | ლეიკერსი-ატლანტა 122:93 | 12 | 12 |
| 14 დეკემბერი | დეტროიტი-ატლანტა 91:81 | 10 | 11 |
| **2006–07** | | | |
| 10 აპრილი | ატლანტა-ბოსტონი 104:96 | 22 | 12 |
| 25 მარტი | ატლანტა-დალასი 97:104 | 14 | 13 |
| 13 მარტი | ატლანტა-ფილადელფია 104:92 | 15 | 10 |
| 10 მარტი | ატლანტა-მინესოტა 99:93 | 16 | 14 |
| 7 მარტი | ატლანტა-ვაშინგტონი 100:97 | 27 | 12 |
| 21 თებერვალი | ატლანტა-სან ანტონიო 96:103 | 23 | 10 |
| 14 თებერვალი | კლიპერსი-ატლანტა 93:96 | 15 | 12 |
| 9 თებერვალი | ფინიქსი-ატლანტა 111:120 | 10 | 11 |
| 22 დეკემბერი | ატლანტა-ინდიანა 90:100 | 10 | 14 |
| 1 დეკემბერი | ატლანტა-კლივლენდი 95:106 | 20 | 11 |
| 29 ნოემბერი | ატლანტა-შარლოტი 99:90 | 12 | 13 |
| 18 ნოემბერი | ატლანტა-მაიამი 88:93 | 12 | 11 |
| 1 ნოემბერი | ფილადელფია-ატლანტა 88:75 | 15 | 12 |
| **2005–06** | | | |
| 15 აპრილი | მილუოკი-ატლანტა 114:120 | 16 | 10 |
| 12 აპრილი | ატლანტა-ჩიკაგო 90:96 | 12 | 10 |
| 9 აპრილი | მინესოტა-ატლანტა 84:83 | 13 | 12 |
| 26 მარტი | ორლანდო-ატლანტა 108:101 | 16 | 12 |
| 20 მარტი | დეტროიტი-ატლანტა 91:84 | 11 | 11 |
| 19 მარტი | ატლანტა-ორლანდო 108:107 | 13 | 18 |
| 17 მარტი | ატლანტა-იუტა 101:111 | 19 | 15 |
| 7 მარტი | ატლანტა-გოლდენ სტეიტი 113:106 | 11 | 10 |
| 27 თებერვალი | ატლანტა-ნიუ ჯერსი 104:102 | 14 | 12 |
| 18 იანვარი | ატლანტა-დეტროიტი 89:117 | 11 | 10 |
| 18 დეკემბერი | ატლანტა-დენვერი 110:107 | 15 | 13 |
| 10 დეკემბერი | ატლანტა-სან ანტონიო 94:84 | 19 | 13 |
| 2 დეკემბერი | ატლანტა-ტორონტო 101:102 | 11 | 14 |
| 30 ნოემბერი | ატლანტა-მაიამი 74:96 | 17 | 11 |
| 27 ნოემბერი | ატლანტა-პორტლენდი 75:77 | 15 | 10 |
| 23 ნოემბერი | ატლანტა-ბოსტონი 120:117 | 19 | 13 |
| 18 ნოემბერი | ნიუ ორლეანი-ატლანტა 95:92 | 10 | 14 |
| 17 ნოემბერი | დალასი-ატლანტა 87:78 | 21 | 12 |
| 12 ნოემბერი | ატლანტა-მემფისი 84:85 | 10 | 12 |
| 10 ნოემბერი | ატლანტა-კლიპერსი 95:102 | 16 | 13 |
| 2 ნოემბერი | გოლდენ სტეიტი-ატლანტა 122:97 | 13 | 12 |
| **2004–05** | | | |
| 23 თებერვალი | მილუოკი-ნიუ ჯერსი 100:81 | 14 | 12 |

### ვლადიმერ სტეფანიას 10 დუბლი

| თარ | მატჩი | ქულ. | მოხ. |
|---|---|---|---|
| **2002–03** | | | |
| 2 აპრილი | ბოსტონი-მაიამი 90:62 | 10 | 11 |
| 31 მარტი | მაიამი-მილუოკი 86:91 | 11 | 13 |
| 11 მარტი | კლივლენდი-მაიამი 75:77 | 13 | 11 |
| 12 იანვარი | ლეიკერსი-მაიამი 106:81 | 10 | 12 |
| 1 იანვარი | ატლანტა-მაიამი 73:107 | 16 | 13 |
| 27 დეკემბერი | მაიამი-ბოსტონი 90:70 | 14 | 14 |
| 20 ნოემბერი | დეტროიტი-მაიამი 79:68 | 12 | 13 |
| **2001–02** | | | |
| 20 ნოემბერი | მაიამი-მინესოტა 73:80 | 11 | 12 |
| 16 ნოემბერი | მაიამი-ნიუ ორლეანი 87:96 | 19 | 12 |
| **1998–99** | | | |
| 4 აპრილი | სიეტლი-დალასი 110:100 | 17 | 10 |

### ქრონოლოგია

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 05:31 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 04:06 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 03:03 | ფოლი: 1 |
| 02:48 | საჯარიმოები: 2/2 (2ქ, 14:15) |
| 02:34 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 02:21 | ორქულიანი: 4ქ (16:15) |
| 01:18 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 |
| **II პერიოდი** | |
| 11:18 | საჯარიმოები: 2/1 (5ქ, 21:20) |
| 10:43 | ორქულიანი: 7ქ (23:20) |
| 07:41 | დაფარება: 1 (ფელტონს დაუფარა) |
| 06:25 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |
| 01:35 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 00:48 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 00:48 | ორქულიანი: 9ქ (40:42) |
| 00:43 | ფოლი: 2 |
| **III პერიოდი** | |
| 07:54 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 06:52 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 06:31 | შეცდომა: 1 |
| 03:21 | ორქულიანი: 11ქ (56:65) |
| **IV პერიოდი** | |
| 11:37 | პასი: 1 (კროუფორდი 2ქ, 65:72) |
| 10:07 | ორქულიანი: 13ქ (69:72) |
| 09:35 | მოხსნა: შეტ-2, დაც-4 |
| 07:04 | ფოლი: 3 |
| 06:38 | პასი: 2 (ჰორფორდი 2ქ, 75:82) |
| 06:12 | შეცდომა: 2 |
| 03:17 | მოხსნა: შეტ-3, დაც-4 |
| 03:16 | ორქულიანი: 15ქ (82:96) |
| 02:32 | მოხსნა: შეტ-3, დაც-5 |
| 02:20 | ორქულიანი: 17ქ (85:98) |
| 02:03 | ფოლი: 4 |
| 01:51 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 01:38 | მოხსნა: შეტ-4, დაც-5 |
| 01:09 | მოხსნა: შეტ-4, დაც-6 |
| 00:54 | ორქულიანი: 19ქ (87:102) |

## დუბლ-ქართველის 56 ორმაგი

სათაურს აქვე განვიმარტავთ: NBA-ში სულ 56 ქართული დაბლ-დაბლია შესრულებული, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენიანები 56 მატჩში ასცდნენ (ერთდროულად) 10-ქულიან და 10 მოხსნიან ნიშნულს. **ზაზა ფაჩულიამ** 46 ორმაგი დუბლი აქვს, ხოლო **ვლადიმერ სტეფანიას** - 10. **ნიკა ცქიტიშვილს** 10 მოხსნაც შეუსრულებია და 17 ქულამდეც ასულა, მაგრამ ერთ მატჩში ორივე ნიშნულისთვის არ გადაუბიჯებია და ამერიკაში დაბლ-დაბლი არა აქვს.

ბოლო ქართულ დუბლზე ამავე გვერდზე ნაიკითხავდით - ფაჩულიამ „დენვერთან" 19 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა. NBA-ში ჩვენიანის პირველი ორმაგი დუბლი კი 12 წლის წინათ დაფიქსირდა: ვლადიმერ სტეფანიამ 1999 წლის 4 აპრილს „სიეტლის" მაისურით 17 ქულა, 10 მოხსნა მოაგროვა და თანაგუნდელებს „დალასთან" 110:100 მოაგებინა.

მას მერე ვოვამ მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო და 2002 წლამდე ისეთ გუნდს ეძებდა, სადაც ნდობას გამოუცხადებდნენ და სათამაშო დროს მისცემდნენ. ასეთი **პატ რაილის** „მაიამი" აღმოჩნდა, რომელშიც სტეფანიამ საკუთარი შესაძლებლობები მეტ-ნაკლებად კარგად გამოავლინა და 9 დუბლი შეასრულა.

სტეფანიამ კარიერა 2004 წელს დაასრულა, 2003-ში კი NBA-ში ფაჩულია მოხვდა და ესტაფეტა ღირსეულად გადაიბარა. მას „ორლანდოში" არ ენდობოდნენ, პირველი დაბლ-დაბლი „მილუოკის" მაისურით 2005 წელს შეასრულა. იმავე წელს „ატლანტაში" გადავიდა, სასტარტო ცენტრადაც იქცა და დუბლების სარეკორდო რაოდენობაც 2005-06 წლების სეზონზე მოდის - 21. საინტერესო შედეგს გვაძლევს თვეების მიხედვით გაანალიზება: ზაზა 10 ქულასა და ამდენივე მოხსნას ყველაზე მეტჯერ სწორედ მარტში ასცდა - 12-ჯერ. ვნახოთ, იქნებ წლევანდელ მარტში კიდევ ვიხილოთ ქართული დაბლ-დაბლი... 50-მდე მხოლოდ 4 ორმაგი დუბლი აშორებს...

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

● ლეგიონერები

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ბოისა 11 ოლიმპია II

სასიამოვნო ამბები მოვიდა ლიუბლიანადან: „ოლიმპიამ" სერბული „რადნიჩკი" 92:65 დაამარცხა, **ვლადიმერ ბოისამ** 11 ქულა ჩააგდო, ხოლო **გიორგი შერმადინმა** 7 ქულას ამდენივე მოხსნა მიამატა. ამ გამარჯვებით „ოლიმპიამ" ადრიატიკის ლიგის რეგულარული ეტაპი II ადგილზე დაასრულა. სლოვენიელებმა 26-დან 17 მატჩი მოიგეს და ერთი გამარჯვებით ჩამორჩნენ სერბეთის „პარტიზანს".

ფინალური ოთხეულის მატჩები „ოლიმპიას" „შტოჟიცეს" არენაზე გაიმართება. 19 აპრილს ნახევარფინალში „ოლიმპია" თანამემამულე კრკა-ს დაუპირისპირდება, „პარტიზანი" - ჩერნოგორიის „ბუდუჩნოსტს". ფინალი 21 აპრილს გაიმართება.

„რადნიჩკისთან" მატჩი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო - ტრავმის მოშუშების შემდეგ ვლადიმერ ბოისამ პირველად გადალახა 10-ქულიანი ზღვარი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ფორმაში შედის. ვოვამ 4-დან 4 ორქულიანი, 3-დან 3 საჯარიმო ჩააგდო და 11 ქულას 3 მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარება მიამატა.

ბოისას დარად გიორგი შერმადინიც „ოლიმპიას" სასტარტო ხუთეულში იყო. გიორგიმ 7-7 ქულა-მოხსნა, 2-2 პასი-დაფარება და 1 ჩაჭრა მოაგროვა. მან 4-დან 3 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო გამოიყენა.




ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზა დაულოცეთ...



გუშინ საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა რუსეთში გამგზავრების წინ „ლოკომოტივის" სტადიონზე ბოლო ვარჯიში გამართა, რომელსაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი** დაესწრო.

მინისტრმა ქართველ მორაგბეებს 19 მარტს სოჭში რუსეთის ნაკრებთან გასამართ პრინციპულ მატჩში წარმატებები უსურვა. საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა 12 მარტს რუმინეთის დამარცხებით უკვე მოიპოვა 2011 წლის „ევროპის ერთა თასი", თუმცა რუსეთის ნაკრებთან დაპირისპირებას ქართველი გულშემატკივარი განსაკუთრებულად ელის.

**რიჩი დიქსონის** გუნდი სოჭში 18 მარტს დილით 10:30 წუთზე ჩარტერული რეისით გაფრინდება, მანამდე კი ბორჯღალოსნებმა" „ლოკომოტივის" სტადიონზე მწვრთნელთა შტაბის მეთვალყურეობით მონდომებით ივარჯიშეს და სხვადასხვა კომბინაცია დაამუშავეს.

19 მარტს თამაში სოჭში, სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონზე თბილისის დროით 16:00 საათზე დაიწყება. რაც შეეხება პირდაპირ რეპორტაჟს, ქართული მხარის დიდი მცდელობის მიუხედავად, ჩვენს გულშემატკივარს თამაშის ნახვის საშუალება არ ექნება, რადგან რეპორტაჟს თავად რუსული მხარე არ გადასცემს და შესაბამისად, ქართული მხარე სიგნალს ვერ იღებს.

იგეგმება პირდაპირი ჩართვები საზოგადოებრივი რადიოს პირველ FM 102.4 და მეორე არხებზე - FM 100.9 და „აფხაზეთის ხმის" ეთერში - FM 98,9.

**ლადო ვარძელაშვილი:"** მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა „ერთა თასი" უკვე მოიგო, რუსეთთან თამაშს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს მატჩი რუსეთში ტარდება და ქართველი გულშემატკივარი ამ დაპირისპირებას მოუთმენლად ელოდება. მინდა მორაგბეებს „ერთა თასზე" გამარჯვება მივულოცო და კიდევ ერთხელ ვთქვა, რომ მათ სახელმწიფოს მხრიდან დახმარება არ მოაკლდებათ. რაგბი სათამაშო სახეობებში გამორჩეულია და მხარდაჭერას და თანადგომას ნამდვილად იმსახურებს".

**გია ნიჟარაძე** (საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი): *„თამაშის მნიშვნელობაზე ბევრი ლაპარაკი ზედმეტია. ყველამ იცის ამ თამაშის ფასი. ნაკრები მონდომებით ემზადება და დანარჩენი მოედანზე უნდა გამოჩნდეს. იოლი მატჩი არ იქნება, იმედი მაქვს, რომ თამაშის შემდეგ კომენტარს სიამოვნებით მოგცემთ".*

**სამინისტროს პრესსამსახური**

**თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო**

## ვიქტორინა

### თქვენთვის, რაგბის მოყვარულებო

**1. რომელი ქვეყნის ნაკრებს უწოდებენ „სამყურებს"?**

ა — ინგლისის
ბ — ახალი ზელანდიის
გ — ირლანდიის

**2. რომელ გუნდში თამაშობს ანტონ ფეიქრიშვილი?**

ა — „ტულონში"
ბ — „კასტრში"
გ — „მონპელიეში"

**3. რომელ წელს განხორციელდა პირველად ცვლილება ხუთი ერის გათამაშების მატჩში?**

ა — 1969 წელს
ბ — 1971 წელს
გ — 1982 წელს

**4. შოტლანდიის ნაკრები რომელ წელს ეწვია პირველად უელსს?**

ა — 1865 წელს
ბ — 1879 წელს
გ — 1884 წელს

**5. დასახელებულთაგან, რომელი მორაგბეა საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მესამეხაზელი?**

ა — ბექა შეყლაშვილი
ბ — მამუკა გიორგაძე
გ — გიორგი ჩლენტი

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-გ, 5-ბ.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ედელვაისი; 5. ბრასი; 8. ფსონი; 9. სტრიტბოლი; 11. ზვიადაური; 12. როქი; 14. ფლანგი; 15. ზოიძე; 17. აფხაზავა; 18. ნიონი; 20. კაპა; 22. შაში; 24. ცალქალამანიძე; 27. კასრაძე; 28. ხურციძე; 30. იუკო; 31. ისინდი.

**შვეულად:** 2. დისკვალიფიკაცია; 3. ლენტა; 4. სოტერი; 6. რობერტი; 7. სულაქველიძე; 10. რაპირა; 13. უზანგი; 16. სანაია; 19. "ოდიში"; 21. "პალერმო"; 23. "ვარძია"; 25. ალური; 26. სეტი; 27. კიი; 29. იან.

## ძველი პრესა წერდა

# ლელო, ლელო...

### როგორ გვიყვარდა მადლიანი ლელობურთი, როგორ ვჩაუქოლბდით და როგორ ვზეიმობდით რელიგიურ დღესასწაულებს

„ს. ოფშკვითი (ქუთაისის მაზრა). ერთი ჭირი მარგებელიაო, იტყვიან ჩვენში და სწორედ მართლაც ყოფილა. ყოველი კაცი სწუხს ჩვენში ღვინის მოუსავლობას, მაგრამ უმჯობესია კაცმა წყალი სვას, და ჭკვიანი იყოს, ვიდრე ღვინო და — სულელდებოდეს. 23 აპრილს გიორგობა ვიუქმეთ და ულვინობის გამო ყველა ჭკვიანად ვთამაშობდით და გემრიელად ვაგორებდით ბურთს ჩვენი საყდრის გალავანთან. შემოსულმა მღვდელმა ეს ბურთი დიდის ამბით გამოიტანა საყდრიდან, წინ ბაირაღი მიუძღვის და მთელი ხალხი მას მისდევს უკან დიდად მხიარულნი. ბურთი ლელოში მხოლოდ ერთხელ გავიდა, რომლის შემდეგაც მოსტეხეს ერთი ძირი ხე, შემოატარეს ეკლესიას, მიაგდეს გალავნის ერთ კუთხეში და თან ქვების სროლით და ყივინით მიაყვირეს: „ამოაგდოს წმ. გიორგიმ ქურდი და ავი კაციო".

**„ივერია", 1897, №94.**

■ ■ ■

„... ქვემო იმერეთში ახალ-კვირაობა ყველაზე უფრო განთქმული იყო და ვითომ ახლაც არის სოფ. კულაშში — ერთ დრო საუკეთესო თავად მიქელაძეების საცხოვრებელში. ბურთაობა კულაშში ნამეტურ გამოჩენილი იყო. მახსოვს, სულ ცოტა რომ ვსთქვა, 1500 ქვეითი და 500 ცხენოსანი იღებდნენ მონაწილეობას ხელჩართულს თამაშში. მჭვრეტელნი, რასაკვირველია, ათი იმდენი იქნებოდა. უწინაც და ეხლაც მოთამაშენი გაყოფილია ორ, ერთმანეთის მოწინააღმდეგე მხარედ: ერთ მხარეს ლელო გააქვს აღმოსავლეთით წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში, მეორეს — დასავლეთით საგანგებოდ დანიშნულ მიჯნასთან. ორივე მხარე ყოველს ღონისძიებას ხმარობს ლელოს გატანისათვის; ქვეითები რომ ბურთს იგდებენ ხელში, თავიანთ მომხრე ცხენოსნებს გადასცემენ, ამათ მოწინააღმდეგე ცხენები დაედევნებიან წასართმევად. შეიქმნება საზოგადო შეტაკება", შემოკივილი, ქვეითნი და ცხენოსნები ერთმანეთში ირევიან, ვინ ვის სძლევს ეხლა გამოჩნდება..."

**„დროება", 1882, №74.**



ეს უკვე დღევანდელობაა. სოფ. შუხუთი თამაშის დაწყების წინ

## წარმოგიდგენთ...

ვაგრძელებთ რაგბიში საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდების წარდგინებას. დღეს წინა ეროვნული ჩემპიონატის მეორე პრიზიორის საჩემპიონატო განაცხადს გაგაცნობთ.

### ლელო

| გვარი | სახელი | დაბ. წელი | ... თარიღი | სიმაღლე | წონა | ამპლუა |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბეკები** | | | | | | |
| ყიასაშვილი | ირაკლი | 1985 | 18/02 | 180 | 77 | ფულბეკი |
| ჯოგლიძე | გოდერძი | 1989 | 03/09 | 184 | 78 | ფულბეკი |
| მჭედლიშვილი | უჩა | 1991 | 18/08 | 185 | 92 | ფულბეკი |
| გუგავა | ლექსო | 1982 | 17/08 | 184 | 91 | გარემარბი |
| ზაალიშვილი | ზურაბ | 1982 | 05/01 | 178 | 82 | გარემარბი |
| თოდუა | სანდრო | 1987 | 11/02 | 180 | 85 | გარემარბი |
| ცერცვაძე | იორნიკე | 1987 | 12/12 | 178 | 78 | გარემარბი |
| ანდღულაძე | ნონო | 1982 | 17/08 | 184 | 91 | შუამარბი |
| მანჯავიძე | საშა | 1987 | 05/05 | 183 | 90 | შუამარბი |
| ლომინაძე | გიორგი | 1989 | 23/11 | 183 | 82 | შუამარბი |
| კორკელია | გოგა | 1989 | 01/03 | 182 | 94 | შუამარბი |
| ხმალაძე | ლაშა | 1988 | 20/01 | 180 | 80 | მგეზავი |
| ჭინჭარაული | გოდერძი | 1992 | 21/02 | | | მგეზავი |
| კაჭარავა | გიორგი | 1981 | 28/06 | 185 | 87 | ჰავბეკი |
| ჭინჭარაული | გიორგი | 1989 | 17/11 | 180 | 80 | ჰავბეკი |
| ლამბაშიძე | ჯიმი | 1991 | 27/02 | 175 | 78 | ჰავბეკი |
| **ფორვარდები** | | | | | | |
| სუჯაშვილი | მიხეილ | 1977 | 17/11 | 178 | 125 | ბურჯი |
| სანიკიძე | გიორგი | 1984 | 18/07 | 180 | 120 | ბურჯი |
| ჭყონია | ირაკლი | 1985 | 12/02 | 177 | 105 | კვაჭი |
| ჯვარშეიშვილი | დავით | 1989 | 19/08 | 177 | 110 | კვაჭი |
| კვერნაძე | ვასილ | 1990 | 23/02 | 180 | 108 | ბურჯი |
| გაბელია | გიორგი | 1990 | 20/03 | 178 | 108 | კვაჭი |
| პატარაია | ნიკოლოზ | 1991 | 23/03 | 178 | 120 | ბურჯი |
| აზალაძე | ლაშა | 1985 | 02/11 | 192 | 108 | მხტომელი |
| ხორბალაძე | ზურაბ | 1985 | 23/12 | 191 | 103 | მხტომელი |
| დაუშვილი | ირაკლი | 1986 | 01/06 | 195 | 105 | მხტომელი |
| ქოიავა | სანდრო | 1992 | 01/03 | 191 | 105 | მხტომელი |
| ხიპაშვილი | ბექა | 1992 | 28/02 | | | მხტომელი |
| მაისურაძე | ილია | 1977 | 31/07 | 180 | 107 | ფრთა |
| სარდანაშვილი | ბექა | 1983 | 06/01 | 189 | 100 | შემკვრელი |
| დაუშვილი | დავით | 1986 | 01/06 | 193 | 98 | ფრთა |
| მძინარიშვილი | ვახტანგ | 1988 | 20/01 | 183 | 95 | ფრთა |
| კოლელიშვილი | ბაჩო | 1991 | 27/10 | 194 | 95 | ფრთა |
| ჭყოიძე | გიორგი | 1991 | 17/05 | 178 | 98 | შემკვრელი |
| სურგულაძე | გუჯა | 1992 | 12/11 | | | ფრთა |
| **ფუნქციონერები** | | | | | | |
| კევლიშვილი | ვასილ | | | პრეზიდენტი | | 53 52 50 |
| კანკავა | პაატა | | | ცენტრის დირექტორი | | |
| ჯალაღონია | დავით | | | მენეჯერი | | |
| მაისაშვილი | ლევან | | | მთავარი მწვრთნელი | | 53 83 43 |
| სუჯაშვილი | მიხეილ | | | მწვრთნელი | | |

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი



სერხიო მარტინესი

# მარტინესი პაკიაოს უმიზნებს

საშუალო წონაში WBC-ის მსოფლიოს ჩემპიონი **სერხიო მარტინესი** ამერიკის შეერთებული შტატების კრივის ექსპერტთა ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო მოკრივე გახდა.

სულ ცოტა ხნის წინ არგენტინელმა მერვე რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა უკრაინელი **სერგეი ძინზირუკი**. ახლა ჩემპიონი დარწმუნებულია, რომ პოპულარობით გაასწრო ლეგენდარულ ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერს** და მხოლოდ პირველ ნომერ **მენი პაკიაოს** ჩამორჩება, რომელსაც 7 მაისს უწევს ბრძოლა **შეინ მოზლისთან**.

*„ამ მომენტისთვის ვგრძნობ, რომ მსოფლიოს მეორე ნომერი ვარ - ამ ადგილზე მე მეივეზერი ჩავანაცვლე. ვფიქრობ, მენი პაკიაო მაინც რჩება მსოფლიოს საუკეთესო მოკრივედ. მაგრამ საქმე ისაა, რომ თუ პაკმენი ვერ აჩვენებს თავის მაქსიმუმს მოსლისთან ბრძოლაში, როგორც ეს უკრაინელთან შეხვედრისას გააკეთა, მაშინ საუკეთესო მე გავხდები. რა თქმა უნდა, მოსლის გამარჯვების შემთხვევაში ულაპარაკოდ პირველი ვიქნები“*, - ამბობს არგენტინელი ჩემპიონი.

მარტინესი მხოლოდ ასე არ აპირებს პირველობის მოპოვებას და მომავალში ძალიან უნდა იმავე მენი პაკიაოსთან ან **მიგელ კოტოსთან** ბრძოლის ორგანიზება. ამისთვის ის მზად არის წონა დაიგდოს და პირველ საშუალო წონაში გადავიდეს.

*„იოლ ბრძოლებს არ ვეძებ, - აცხადებს სერხიო. - მზად ვარ დავეშვა პირველ საშუალო წონაში იმისთვის, რომ მენი პაკიაოს ან მიგელ კოტოს შევხვდე. საუკეთესოებთან ჩხუბი მინდა. თუ კოტო - ნამდვილი მამაკაცია, ის თავად მოითხოვს სერხიო მარტინესთან ბრძოლას. იქამდე არ გავჩერდები, სანამ წონითი კატეგორიის მიუხედავად მსოფლიოს საუკეთესო მოკრივე არ გავხდები“.*

მარტინესის პრომოუტერმა **ლუ დიბელამ** დაამატა: *„მარტინესი მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეა. რამდენიმე დღის წინ თავად იხილეთ, რატომაც მოხვდება ის კრივის დიდების დარბაზში. ის საუკეთესო არგენტინელი საშუალოწონოსანია კარლოს მონსონის შემდეგ“.*

ცურვა

# ტორპს რუსი გაწვრთნის



ტორპი კარგ ხასიათზეა

ლეგენდარულმა ავსტრალიელმა მოცურავემ **იან ტორპმა** რუსი მწვრთნელი **გენადი ტურეცკი** დაიქირავა და ამ სპეციალისტის ხელმძღვანელობით გააგრძელებს სავარჯიშო პროცესს. ადრე ეს მწვრთნელი ცნობილ რუს მოცურავეს **ალექსანდრ პოპოვს** ამეცადინებდა. შეგახსენებთ, რომ ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი დიდ სპორტში დაბრუნდა და ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადისთვის დაიწყო მზადება.

ტორპმა 61 წლის ტურეცკის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი უწოდა, რომელიც საწვრთნელ პროცესში უკანასკნელ ტექნიკურ სიახლეებს იყენებს. რუსმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ 28 წლის ტორპს დიდი პოტენციალი გააჩნია.

დროის დიდი ნაწილი ტურეცკი და ტორპი შვეიცარიაში იმუშავებენ, რამდენიმე საწვრთნელი შეკრება არაბეთის გაერთიანებულ საამიროებსა და ავსტრალიაში გაიმართება.

ადრე ტურეცკი ავსტრალიაში მუშაობდა, კერძოდ, 1992-2002 წლებში. მისი ყველაზე ცნობილი მოწაფეები არიან ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი პოპოვი და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **მაიკლ კლიმი**. სხვათა შორის, თებერვლის დასაწყისში კლიმმაც გამოაცხადა სპორტში დაბრუნების შესახებ. ჯერჯერობით უცნობია, იმუშავებს თუ არა ის ტურეცკისთან.

ფიგურული სრიალი

# აპრილში თუ ოქტომბერში?

კვლავაც გაურკვეველი რჩება ფიგურულ სრიალში მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატის ბედი. როგორც იცით, პლანეტის პირველობა იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში უნდა გამართულიყო, მაგრამ ცნობილი მიწისძვრის გამო მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირმა ჩემპიონატის გაუქმება გადაწყვიტა.

ახლა კავშირი ჩემპიონატის აპრილში ან ოქტომბერში გადატანის ვარიანტებს განიხილავს. როგორც სააგენტო „როიტერი“ წერს, რამდენიმე ქალაქმა გამოთქვა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი, მათ შორის არის 2008 წლის ზამთრის თამაშების დედაქალაქი ვანკუვერი. სავარაუდოდ, სეზონის მთავარი სტარტის ბედი დღეს გაირკვევა.

ამასობაში ცნობილი გახდა, რომ იაპონიაში მომხდარი მიწისძვრის გამო დაზარალდა რუსეთის სახელით მოასპარეზე **იუკი კავაგუტის** დედა. ის ქალაქ ჩიბოში ცხოვრობს, სადაც ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა აფეთქდა. დაზარალდა სახლი, თუმცა სპორტსმენის დედას დაზიანებები არ მიუღია.

ჩოგბურთი

# ამერიკას მომავალი არ ჰყავს?

ინდიან უელსში მიმდინარე ორმა სუპერტურნირმა კიდევ ერთხელ გამოაჩინა ამერიკული ჩოგბურთის პრობლემები. მამაკაცებს შორის მეოთხედფინალში არც ერთი მასპინძელი ჩოგბურთელი არ არის წარმოდგენილი, ამერიკელ ქალებს კი მერვედფინალშიც არ უთამაშიათ. ცნობილი სპორტული ჟურნალის Tennis Inside-ის მთავარმა რედაქტორმა **მეტ კრონინმა** თავისი აზრი გაგვიზიარა ამერიკული ჩოგბურთის განვითარების ტენდენციებსა და მომავალზე.

უკვე მოახლოვდა სეზონი, რომლის დასრულების შემდეგ დები **უილიამსები** და **ენდი როდიკი** დიდი სპორტიდან წასვლის შესახებ გამოაცხადებენ. დიდი მნიშვნელობა არ აქვს - 2013 წელს მოხდება ეს თუ 2014 წელს. მთავარი ისაა, რომ ამერიკულ ჩოგბურთს იმ დროისთვის ძალიან დასჭირდება ახალი ნიჭიერი სპორტსმენები, რომლებმაც ვეტერანებისგან ესტაფეტა უნდა ჩაიბარონ.

დღეისთვის რთულია რომელიმე ახალგაზრდა ამერიკელი მოთამაშის გამორჩევა, რომელსაც მომავალში შეეძლება „დიდი სლემის“ ტურნირის მოგება, არადა, ATP-ის ტოპ-ოცეულში ვხედავთ **ჯონ ისნერსა** და **სემ კუერის**, ქალთა ტურში კი კარგად წარმოაჩინეს თავი **მელანი ოუდინმა** და **კოკო ვანდევეგემ**.

ამერიკაში არ მოიძებნება არც ერთი სპეციალისტი, რომელიც დარწმუნებით იტყვის, რომ ამ ოთხეულიდან უახლოეს მომავალში რომელიმე მაღალ შედეგს მიაღწევს „დიდი სლემის“ ტურნირზე. შესაძლოა, ვიღაცას მოეჩვენოს, რომ მონდომებული ვარჯიშების წყალობით მოწოდების სპეციალისტი ისნერი ან მებრძოლად დაბადებული ვანდევეგე შინ რომელიმე პრესტიჟულ თასს ჩაიტანს. მაგრამ ამისთვის მხოლოდ სურვილი არ არის საკმარისი - საჭიროა მათთვის ტურნირებზე ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნას. ამასთან, არც ერთი მათგანი ახლოსაც არ მისულა იმ ფორმასთან, რომელსაც სერენა უილიამსი 1998 წელს ან ენდი როდიკი 2002 წელს აჩვენებდა.

უნდა ვაღიაროთ, რომ ამერიკაში ბევრი პერსპექტიული იუნიორი ვარჯიშობს, მაგრამ ბევრს არ აქვს ტოპ-ოცეულში მოხვედრის პოტენციალი. სავარაუდოდ, მხოლოდ ორს - 19 წლის ვანდევეგესა და 18 წლის **რაიან ჰარისონს** შეუძლიათ ტოპ-ათეულში შესვლა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 2014 წლისთვის ამერიკა, შესაძლოა, მეორეხარისხოვან საჩოგბურთო ქვეყნად იქცეს.

მაგრამ ამერიკის ჩოგბურთის ასოციაციის წევრები, რომლებიც მოთამაშეთა განვითარებაზე არიან პასუხისმგებლები (**პატრიკ მაკინრო**, **ხოსე ეგუერასი**, აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონი **ტრეისი ოსტინი**, ქალთა ნაკრების მწვრთნელი **მერი-ჯო ფერნანდესი**), ყველაფერს აკეთებენ ამ პრობლემის გადასაწყვეტად. მათ არაერთხელ უთქვამთ ბავშვებისთვის საწვრთნელი პროგრამის შეცვლის აუცილებლობის შესახებ, კერძოდ, გრძელ გათამაშებებში გამძლეობის გამომუშავება, რასაც ესპანეთში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ამერიკელ გულშემატკივართა საბედნიეროდ, ტოპ-ასეულში ჩოგბურთელთა საშუალო ასაკი იზრდება, რითაც ახალგაზრდა მოთამაშეებს (სანამ ისინი დიდ გამარჯვებებზე განაცხადებენ პრეტენზიას) ოსტატობის ამაღლებისა და დახვეწისთვის უფრო მეტი დრო რჩებათ. 2010 წლის აღმოჩენად მონათლული ჩოგბურთელების ასაკი ასეთია: გერმანელი **ტობიას კამკე** 24 წლის, ჩეხი **პეტრა კვიტოვა** - 22 წლის. ეს ამტკიცებს ტურში გამოცდილ მოთამაშეებზე ძალაუფლების გადასვლის ფაქტს, თუმცა პირველი ჩოგანი **კაროლინ ვოზნიაცკი** 20 წლისაა.

თუ სერენა და ვენუს უილიამსი ტურში 2012 წლის ბოლომდე დარჩებიან (რაც მათ არაერთხელ განუცხადებიათ), მაშინ ამერიკელთა ახალი თაობა მინიმუმ ორი წლით იქნება განთავისუფლებული მაღალი მოთხოვნებისგან. მაგრამ შემდეგ ოუდინი, ვანდევეგე და სხვები საჩოგბურთო სამყაროს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოხვდებიან და პასუხისმგებლობას ვერსად დაემალებიან.

■ ■ ■

დღეს მხოლოდ შვიდი ამერიკელი ქალი შედის საუკეთესო ასეულში და 61-ე ჩოგანი, 19 წლის მელანი ოუდინი ყველაზე ახალგაზრდაა მათ შორის. 18 წლის **კრისტინა მაკჰეილი** 109-ე პოზიციაზეა, ასევე ამერიკას 20 წლამდე ოთხი ჩოგბურთელი ჰყავს მეორე ასეულში.

2009 წლის ამერიკის ღია პირველობის მეოთხედფინალისტი **მელანი ოუდინი** ძალიან ნელი ტემპით ვითარდება, ვანდევეგეს კარგი ფიზიკური კონდიციები აქვს, მაგრამ ძალიან არასტაბილურია. მაკჰეილი კარგი სატურნირო მებრძოლია დაყენებული ფორჰენდით, მაგრამ დიდი ხანია ველარ აჩვენებს შედეგს.

*„კოკოს შეუძლია საუკეთესო ოცეულში შესვლა, მაგრამ მას უფრო მეტი დისციპლინა სჭირდება, ნიჭი კი საკმარისად აქვს. ვფიქრობ, უკვე ამ სეზონიდან ვიხილავთ მის კარგ თამაშს დიდ ტურნირებზე, ჯერჯერობით მისი რეიტინგი სერიოზულად არ უმჯობესდება და მის გამოსვლებში არასტაბილურობა შეინიშნება. მაკჰეილი ძალიან ცდილობს და უკანა ხაზზე ყოველი ბურთისთვის იბრძვის - ეს ბევრ რამეზე მეტყველებს“*, - აღნიშნა პატრიკ მაკინრომ.

აგრეთვე ამერიკაში არიან გოგონები, რომლებიც მაღალ ადგილებს იკავებენ ITF-ის იუნიორთა რეიტინგში - **ლორენ დევისი, სლოუნ სტივენსი, ბეატრის კაპრა, მედისონ კისი** და **კრისტა ჰარდბეკი**. თითოეულის კარიერაში მოიძებნება მინიმუმ ერთი შთამბეჭდავი გამარჯვება, მაგრამ მათ ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვს კარგი მოთამაშის სტატუსი.

17 წლის დევისი პრაქტიკულად არსაიდან ამოცენდა და 2010 წელს პრესტიჟული ტურნირი - Eddie Herr მოიგო. მაგრამ კარგი ბექჰენდისა და მაღალი სისწრაფის მქონე ლორენი დაბალია და სლოვაკი **დომინიკა ციბულკოვას** გარდა, ასეთი გაბარიტების არც ერთ ჩოგბურთელს არ მიუღწევია ბოლო წლებში მაღალი შედეგისთვის.

სტივენსს პირიქით, ძლიერი ფორჰენდი აქვს და ის კარგად გამოდიოდა 2010 წელს „დიდი სლემის“ იუნიორთა ტურნირებზე, თუმცა საბრძოლო თვისებების მხრივ მოიკოჭლებს. კაპრამ კარგად წარმოაჩინა თავი გრუნტზე, რაც ჩვენს დროში ამერიკელებისგან დიდი იშვიათობაა. 15 წლის მაღალი და ათლეტური კისი თავისი ფიზიკური ძალის გამო ბევრ უნებლიე შეცდომას უშვებს.

*„ჩვენს გოგონებზე მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება - პერსპექტიული მოთამაშეების სიმჭიდროვე შეიმჩნევა და ორსამ წელიწადში ამერიკას უფრო მეტი ჩოგბურთელი ეყოლება WTA-ის საუკეთესო ასეულში. აგრეთვე ამერიკაში რამდენიმე მართლაც ნიჭიერი მოთამაშე მოიძებნება, რომელიც სათანადო მომზადების პირობებში მზად არიან ფურორის მოსახდენად“*, - ამბობს მაკინრო.

■ ■ ■

რაც შეეხება ამერიკაში მამაკაცთა ჩოგბურთის მომავალს, ახლა პირველ ასეულში ამ ქვეყნის მხოლოდ ხუთი წარმომადგენელია, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელი გახლავთ. ენდი როდიკი, **მარდი ფიში** და **მაიკლ რასელი** უკვე ვეტერანებად მიიჩნევიან, ისნერი და კუერი კი ჯერ ახალგაზრდები არიან. სამაგიეროდ, მეორე ასეულში არის ბევრი ამერიკელი, თუმცა მათგან ყველაზე ახალგაზრდები არიან - 23 წლის **რაიან სვიტინგი** და რაიან ჰარისონი.

სვიტინგი ტურში უკვე დიდი ხანია თამაშობს და წესით მისგან დიდ პროგრესს არ უნდა ველოდოთ. სხვა საქმეა ჰარისონი. თავის ასაკთან შედარებით ის უკვე საკმარისად გამოცდილია, მოპოვებული აქვს გამარჯვება **ივან ლუბიჩიჩთან**, ამ კვირას მიმდინარე ინდიან უელსზე კი მერვედფინალამდე გააღწია.

*„შემიძლია ვივარაუდო, რომ რაიანს ტოპ-ოცეულში შესვლის ყველა შანსი აქვს, მაგრამ ამისთვის ბევრი მუშაობა იქნება საჭირო. მან უფრო აგრესიულად უნდა ითამაშოს უკანა ხაზზე. ის მონდომებული ყმაწვილია და სერიოზულად ეპყრობა თავის საქმეს“*, - განაცხადა მაკინრომ.

ასევე იმსახურებენ ყურადღებას 18 წლის მოთამაშეები - **ჯეკ სოკი** და **დენის კუდლა**. პირველმა მეორე 2010 წელს ამერიკის ღია პირველობის იუნიორთა ტურნირის ფინალში დაამარცხა, ხოლო „დიდი სლემის“ ფინალში გასული იუნიორების უმრავლესობა აუცილებლად ხვდება მსოფლიო რეიტინგის პირველ ასეულში.

უნდა აღინიშნოს, რომ იუნიორთა მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატზე - Orange Bowl-2010-ზე 16 წლის ამერიკელმა **ალექსის ჰალებიანმა** პირველ ნომრად განთესილი **ხუან გომესი** დაამარცხა, ხოლო 13 წლის **გაბრიელ ენდრიუმ** გოგონების პირველი ნომერი **ირინა ხრომაჩოვა** გაანბილა.

სავარაუდოდ, ამერიკელებისთვის პანიკა ჯერ ნაადრევია და მომდევნო თაობა დროთა განმავლობაში თავის სიტყვას იტყვის. 1986 წელს ჩეხეთის ოთხი წარმომადგენელი გავიდა ამერიკის ღია ფინალებში, აშშ-ის საჩოგბურთო ფუნქციონერები ანერვიულდნენ, მაგრამ რამდენიმე წელიწადში **აგასიმ, სამპრასმა, კურიემ** და **ჩანგმა** საჩოგბურთო ოლიმპს მიაღწიეს და წარმატებით განაგრძეს **ჯონ მაკინროისა** და **ჯიმი კონორსის** საქმე.

შანსი ყოველთვის არის, მაგრამ, შესაძლოა, განვლილის გამეორებაც ვიხილოთ, როცა 1989 წელს აშშ-ის ღიაზე **კრის ევერტის** გამარჯვების შემდეგ ამერიკელები ცხრა წელი ელოდნენ თავიანთი თანამემამულის **ლინდსი დავენპორტის** ტრიუმფს.

*„ჩვენ 13-16 წლის ასაკში ბევრი ნიჭიერი ბავშვი გვყავს. მჯერა ჩვენი სპორტული ფილოსოფიის, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ამერიკა მომავალშიც დარჩეს მსოფლიო ჩოგბურთის ერთ-ერთ ლიდერად“*, - განაცხადა მაკინრომ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



კოკო ვანდევეგე



რაიან ჰარისონი

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# დურანტის რევანში

გუშინ, რეგულარულ ჩემპიონატში თითქმის სრულფასოვანი ტური გაიმართა, მაგრამ განსაკუთრებულად გამორჩეული შეხვედრა მაიამიში ჩატარდა, სადაც „ჰიტი“ „ოკლაჰომას“ მასპინძლობდა. ფლორიდელებმა ზედიზედ ხუთი წაგების შემდეგ სამი მატჩი მოიგეს და დაამტკიცეს, რომ მრისხანე მეტოქეებთან თამაში არ ეშინიათ. თანაც გუშინდელ მატჩში სტატისტიკაც მაიამელთა მხარეს იყო - საქმე ისაა, რომ NBA-ის ორგზის MVP-ს **ლებრონ ჯეიმსს** არასოდეს წაუგია **კევინ დურანტის** წინააღმდეგ - არც „კლივლენდში“ და არც „მაიამიში“ თამაშისას, არადა, ეს უკვე ამ ორი ვარსკვლავის მეექვსე მატჩი იყო.

მაგრამ თამაშმა სტატისტიკა არაფრად ჩააგდო და ამჯერად ფლორიდელმა გულშემატკივრებმა თავიანთი საყვარელი გუნდის მორიგი მარცხი იხილეს. „ოკლაჰომამ“ მაქსიმალურად გამოიყენა საკუთარი ძლიერი მხარეები და მასპინძლებს თამაშის კარნახის საშუალება არ მისცა. თანაც სინქრონულად ჩააგდეს თამაში „დიდი ტრიოს“ წევრებმა. თუ დიდ შესვენებამდე **ჯეიმსმა, უეიდმა** და **ბოშმა** ერთად 38 ქულა დააგროვეს (35-დან 17 ტყორცნა ჩააგდეს), მეორეში მხოლოდ 23 ქულით შემოიფარგლნენ - მათ მიერ თამაშიდან ნასროლი 24 ტყორცნიდან ოთხი აღმოჩნდა ზუსტი. დაუმატეთ ამას ის ფაქტიც, რომ „მეფემ“ გაიმეორა სეზონის პირადი ანტირეკორდი - სამი შედეგიანი პასით შემოიფარგლა. უეიდს ეს მაჩვენებელი ერთით დაბალი ჰქონდა, ხოლო ფარქვეშ „მაიამიმ“ ვერაფერი დაუპირისპირა აგრესიულ სტუმრებს.

ბრწყინვალედ ითამაშა „ოკლაჰომას“ წინა ხაზმა, რომელიც ოთხი „მაღლისგან“ შედგებოდა - **პერკინსმა, იბაკამ, მოჰამედმა** და **კოლისონმა** გუნდური 51 მოხსნიდან 31 საკუთარ ანგარიშზე მიითვალეს, ამასთან, 17 მოხსნა „ოკლაჰომამ“ მეტოქის ფარზე აილო, რაც 24 ქულად გარდაიქმნა. „მაიამი“ თავის საფირმო კონტრშეტევებზეც არ ვარგოდა. სტუმრები უბრალოდ, გასაქანს არ აძლევდნენ ლებრონსა და კომპანიას.

პირველ ტაიმში „ოკლაჰომა“ ფლობდა ინიციატივას და კომფორტული ორნიშნა უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ „დიდმა ტრიომ“ საპასუხო სპურტის მოწყობა სცადა და პირველ ჯერზე ეს გამოუვიდა - სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდა: 12:3 გაქცევა უეიდის გარღვევით დასრულდა და ანგარიში გახდა 46:45 **სკოტ ბრუქსის** შეგირდების სასარგებლოდ.

დიდი შესვენების შემდეგ გასახდელიდან დაბრუნებულმა დურანტმა, **უესტბრუკმა** და კომპანიამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოწინააღმდეგის ლიდერთა განეიტრალებაზე იზრუნეს, „ჰიტის“ სათადარიგოთა სკამი კი, როგორც ეს ხშირად ხდება, პასიური იყო. თავის მხრივ, „ოკლაჰომას“ რეზერვისტებმა საუკეთესო თვისებები გამოავლინეს. **ჰარდენმა** და **კუკმა** მეოთხე მეოთხედის სტარტზე ზუსტი შორეული ტყორცნებით ათქულიანი უპირატესობა დაუბრუნეს თავიანთ გუნდს, შემდეგ კი საქმეში დურანტი და უესტბრუკი ჩაებნენ. გამარჯვებულის საკითხი დღის წესრიგიდან რეგულარულის საუკეთესო სნაიპერმა მოხსნა - დურანტმა ტექნიკური პერსონალურისთვის (უეიდი მსაჯებს ეკამათა) დანიშნული საჯარიმო ჩააგდო, შემდეგ კი საშუალო მანძილიდან იყო ზუსტი. საფინალო სირენამდე 2 წუთითა და 42 წამით ადრე ანგარიში 91:80 იყო და „მაიამის“ წინააღმდეგობამ აზრი დაკარგა.




დურანტმა ლებრონი არ გაახარა

**ბოსტონი-ინდიანა 92:80**

15:20, 32:20, 27:20, 18:20

**ბ:** პირსი (20+5 პასი), გრინი (19), ალენი (12), კრსტიჩი (11+7 მოხსნა), გარნეტი (10).

**ი:** ჯორჯი (15+7 მოხსნა), გრეინჯერი (15), მაკრობერტსი (14+11 მოხსნა), ჰენსბრო (10+11 მოხსნა), კოლისონი (10+9 პასი).

**დეტროიტი-ტორონტო 107:93**

38:24, 25:28, 24:24, 20:17

**დ:** ჰემილტონი (24), პრინსი (22+6 მოხსნა), მონრო (21+10 მოხსნა+5 პასი), სტაკი (3+14 პასი).

**ტ:** ბარნიანი (20), ბარბოზა (18), დეროზანი (16), კალდერონი (10+6 პასი).

**ნიუ ორლეანი-ფინიქსი 100:95**

31:29, 25:17, 21:19, 23:30

**ნ-ო:** პოლი (26+9 პასი+5 მოხსნა), ოკაფორი (16+11 მოხსნა), უესტი (16+9 მოხსნა), გრინი (11).

**ფ:** დადლი (25+8 მოხსნა), კარტერი (21), ჰილი (15+5 მოხსნა), გორტატი (10+8 მოხსნა), ნეში (8+10 პასი).

**მაიამი-ოკლაჰომა 85:96**

18:24, 27:22, 17:21, 23:29

**მ:** ბოში (21+11 მოხსნა), უეიდი (21+6 მოხსნა), ჯეიმსი (19+8 მოხსნა), ბიბი (10).

**ო:** დურანტი (29+7 მოხსნა+6 პასი), უესტბრუკი (18+5 პასი), ჰარდენი (12), იბაკა (6+12 მოხსნა).

**მილუოკი-ორლანდო 89:93 (ო)**

14:23, 23:23, 27:15, 15:18, 10:14

**მ:** ჯენინგსი (23+8 პასი), სალმონსი (22+7 მოხსნა+5 პასი), მბა ა მუტე (10+5 მოხსნა), დულინგი (10).

**ო:** ჰოვარდი (31+22 მოხსნა), თურქოგლუ (19), რიჩარდსონი (13), ნელსონი (10), ანდერსონი (7+13 მოხსნა).

**ჰიუსტონი-შარლოტი 94:78**

29:22, 20:17, 19:18, 26:21

**ჰ:** მარტინი (21+5 მოხსნა), ბადინგერი (19+5 პასი), პატერსონი (12+10 მოხსნა), ლოური (11+9 მოხსნა+6 პასი), ჰილი (10+6 მოხსნა), ჰეიესი (9+17 მოხსნა+7 პასი).

**შ:** ოგუსტინი (22+5 მოხსნა), დიაო (13).

**იუტა-მინესოტა 119:104**

35:32, 36:18, 21:30, 27:24

**ი:** მაილზი (40), ჯეფერსონი (26+11 მოხსნა), კირილენკო (15+6 პასი+6 მოხსნა), ფეივორსი (13+5 მოხსნა), ჰარისი (12).

**მ:** ლავი (22+11 მოხსნა), ბიზლი (16+5 მოხსნა), რიდნური (16), რენდოლფი (10+8 მოხსნა), მილიჩიჩი (10+6 მოხსნა).

**საკრამენტო-კლივლენდი 93:97**

28:18, 23:27, 23:28, 19:24

**ს:** ტორნტონი (23+5 მოხსნა), დალემბერი (16+10 მოხსნა), უდრიხი (14+8 პასი), გარსია (14), კაზინსი (11+16 მოხსნა+5 პასი).

**კ:** სეშენსი (20+6 პასი+5 მოხსნა), ჰიქსონი (17+8 მოხსნა), ჰარანგოდი (15+8 მოხსნა), სამუელსი (13).

**გ. სტეიტი-დალასი 106:112**

34:25, 25:28, 22:28, 25:31

**გ-ს:** ელისი (26+11 პასი+6 მოხსნა), ლი (22+9 მოხსნა), ლოუ (15+6 პასი), რაიტი (14), კარი (10+5 პასი).

**დ:** ნოვიცკი (34+13 მოხსნა), ტერი (19+6 მოხსნა+6 პასი), ბობუა (18), მერიონი (14), ჩენდლერი (13+9 მოხსნა), ბარეა (10).

**კლიპერსი-ფილადელფია 94:104**

24:24, 22:25, 19:30, 29:25

**კ:** ფოიე (20), ჯორდანი (16+15 მოხსნა), უილიამსი (15+8 პასი), გრიფინი (14+8 მოხსნა).

**ფ:** მიქსი (22+6 მოხსნა), ჰოლიდეი (20+9 პასი), ბრენდი (19+12 მოხსნა+5 დაფარება), უილიამსი (14), ჰოუესი (12+6 მოხსნა).

**ატლანტა-დენვერი 87:102**

20:17, 22:29, 21:26, 24:30

**ა:** ფაჩულია (19+10 მოხსნა), სმიტი (13+9 მოხსნა), კროუფორდი (13), ჯონსონი (12), უილიამსი (10).

**დ:** ნენე (20+7 მოხსნა), აფლალო (15), სმიტი (15), ჩენდლერი (14+10 მოხსნა), მარტინი (12+7 მოხსნა), ლოუსონი (9+10 პასი).

# ტრეისი დეტროიტში დარჩება

როგორც ჩანს, ვეტერანი მცველი **ტრეისი მაკგრეიდი** მომავალ სეზონშიც „დეტროიტ პისტონზში“ ითამაშებს. ცნობილია, რომ NBA-ის ვარსკვლავს „პისტონზთან“ ამ სეზონის ბოლოს ეწურება კონტრაქტი და როგორც მოთამაშისა და „დეტროიტის“ გენერალური მენეჯერის **ჯო დუმარსის** სიტყვებით ვიგებთ, ორივე მხარე მზად არის კონტრაქტის გასაგრძელებლად.

ასე მაგალითად, ტი-მაკმა განაცხადა, რომ ზაფხულში „პისტონზი“ პირველი იქნება იმ გუნდების სიაში, რომელშიც ტრეისი მოინდომებს კარიერის გაგრძელებას.

*„მე უკვე ველაპარაკე ჯოს. მას უნდა, რომ დავრჩე, - ამბობს მაკგრეიდი. - მოხარული ვარ, რომ ჩემი აქ ყოფნით კმაყოფილი არიან. სწორედ ამას გავითვალისწინებ ზაფხულში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას. სავარაუდოდ, „დეტროიტში“ ისევ ვითამაშებ“.*

თავის მხრივ, დუმარსმა დაადასტურა მცველის სიტყვები და დაჰპირდა გულშემატკივრებს, რომ ზაფხულში მიუსხდებიან მოლაპარაკებათა მაგიდას და ახალი კონტრაქტის დეტალებს მოაგვარებენ.



ტრეისი მაგრეიდი

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**კაროლინა-ტორონტო 1:3**

1:1, 0:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ლაროუზი-13 (სატერი-13, გლისონი-12), 1:1 ფანოფი-6 (ბრენტი-11, მაკარტური-33), 1:2 ფანოფი-7 (კესელი-25), 1:3 ბოჟაკი-12 (ბოისი-7, ფანოფი-19).

**დეტროიტი-ვაშინგტონი 3:2**

2:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ზეტერბერგი-19 (რაფალსკი-34, ბერტუცი-24), 1:1 ჯ. კარლსონი-6 (ჩიმერა-14, კინგი-2), 2:1 ფილპულა-14 (რაფალსკი-35, მოდანო-10), 2:2 ოვეჩკინი-29 (სიომინი-23, ჰანენი-9), 3:2 ზეტერბერგი-20 (დაციუკი-35, რაფალსკი-36).

**ანაჰაიმი-სტ. ლუისი 2:1**

0:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ოისტრიკი-1 (დ'აგოსტინი-19, კოლაიაკოვო-17), 1:1 ჯ. ბლეიკი-13 (ფაულერი-24, სელიანე-43), 2:1 ჯ. ბლეიკი-14 (ვიშნოვსკი-43, ს. კოივუ-23).

**ვანკუვერი-კოლორადო 4:2**

0:2, 1:0, 3:0

**გოლები:** 0:1 ე. ჯონსონი-8 (ლაილსი-37, დ. ჯონსი-16), 0:2 დუშენი-22 (ოლვერი-3, ო'ბირნი-9), 1:2 ლაპიერი-6 (ჰიგინსი-13, ბალარდი-4), 2:2 ბაროუზი-21 (დ. სედინი-53, ჰამჰუისი-16), 3:2 ჰ. სედინი-17 (დ. სედინი-54, ბაროუზი-16), 4:2 ჰ. სედინი-18.

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ლიგა** | |
| **1/8 ფინალი. II მატჩები** | |
| მანჩესტერ სიტი-დინამო (კ) | 1:0 (0:2) |
| პსჟ-ბენფიკა | 1:1 (1:2) |
| სპარტაკი-აიაქსი | 3:0 (1:0) |
| ზენიტი-ტვენტე | 2:0 (0:3) |
| პორტუ-ცსკა | 2:1 (1:0) |
| ლივერპული-ბრაგა | 0:0 (0:1) |
| რეინჯერსი-ეინდჰოვენი | 0:1 (0:0) |
| ვილიარეალი-ლევერკუზენი | 2:1 (3:2) |
| **ამხანაგური მატჩი** | |
| ნორჩოპინგი-კალმარი | 1:1 |
| **UNDER 19** | |
| ჩერნოგორია-უკრაინა | 1:1 |
| **აზერბაიჯანი** | |
| მუგანი-ქაბალა | 1:2 |
| **ლიბერტადორესის თასი** | |
| ლეონი-გრემიო | 1:1 |
| **კალათბურთი** | |
| **იტალია** | |
| მონტეპასკი-ტერამო | 107:71 |

| [illegible] | |
|---|---|
| მაკაბი (თ-ა)-მაკაბი (რ) | 80:72 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-მეტალურგი (მ) | 4:3 (ო) |
| აკ ბარსი-ს. იულიაევი | 0:1 |
| **ბელარუსი** | |
| მეტალურგი-ნემანი | 1:4 |
| შახტარი-იუნოსტი | 0:3 |
| **ავსტრია** | |
| ვენა-ზალცბურგი | 6:5 (ო) |
| ვილახი-კლაგენფიურტი | 2:5 |
| **სლოვაკეთი** | |
| ტრენჩინი-კოშიცე | 3:4 (ბ) |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი-რაპერსვილი | 2:1 (ბ) |
| ბერნი-კლოტენი | 2:3 (ო) |
| ცუგი-დავოსი | 2:5 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ინდიან უელსი** | |
| დელ პოტრო-რობრედო | გადაიდო |
| **WTA. ინდიან უელსი** | |
| ვოზნიაცკი-აზარენკა | 6:0, 6:0 |

## TV პროგრამა

### 18 მარტი. პარასკევი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-არლი.
**12:00** იტალიის ჩემპიონატი. ბრეშა-ინტერი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. მაინცი-ლევერკუზენი.
**16:00** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ბილბაო.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰამბურგი.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:00** იტალიის ჩემპიონატი. ჩეზენა-იუვენტუსი.
**23:30** გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-კაიზერსლაუტერნი (LIVE)

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი არგენტინის ჩემპიონატი. რასინგი-ოლიმპო.
**11:30** ფეხბურთი არგენტინის ჩემპიონატის მიმოხილვა.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ-ჯერსი-ჩიკაგო.
**14:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-ირლანდია.
**15:30** რაგბი. ექვსი ერის თასი. მიმოხილვა.
**16:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
**18:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ლეიკერსი.
**19:40** კალათბურთი. ევროლიგის მიმოხილვა.
**20:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-ჩიკაგო.
**21:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მიმოხილვა. ინდიან უელსი. აშშ.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
**24:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. იტალია-საფრანგეთი

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**23:25** გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-კაიზერი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**11:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. ლენცერჰაიდე. შვეიცარია (LIVE).
**12:50** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. გიგანტური სლალომი. I ცდა. ლენცერჰაიდე. შვეიცარია (LIVE).
**14:15** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. ლენცერჰაიდე. შვეიცარია (LIVE).
**15:20** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. გიგანტური სლალომი. II ცდა. ლენცერჰაიდე. შვეიცარია (LIVE).
**16:25** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები. 2.5 კმ. ფალუნი. შვედეთი (LIVE).
**17:20** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები. 3.3 კმ. ფალუნი. შვედეთი (LIVE).
**18:10** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS215. პლანიცა. სლოვენია (LIVE).
**23:55** რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. ჰადერსფილდი-უიგანი (LIVE).
**03:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-მონრეალი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
**00:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
**02:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**03:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-დენვერი (LIVE).
**06:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფინიქსი-გოლდენ სტეიტი (LIVE).

**SPORT+**

**14:55** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 და 1/2 ფინალების წილისყრა. შვეიცარია (LIVE).
**15:55** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 და 1/2 ფინალების წილისყრა. შვეიცარია (LIVE).
**16:25** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები. 2.5 კმ. ფალუნი. შვედეთი (LIVE).
**17:20** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები. 3.3 კმ. ფალუნი. შვედეთი (LIVE).

**EUROSPORT**

**12:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. ლენცერჰაიდე. შვეიცარია (LIVE).
**13:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. გიგანტური სლალომი. I ცდა. ლენცერჰაიდე. შვეიცარია (LIVE).
**15:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 და 1/2 ფინალების წილისყრა. შვეიცარია (LIVE).
**16:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 და 1/2 ფინალების წილისყრა. შვეიცარია (LIVE).
**16:30** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები. 2.5 კმ. ფალუნი. შვედეთი (LIVE).
**17:30** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები. 3.3 კმ. ფალუნი. შვედეთი (LIVE).
**20:00** სნუკერი. Players Tour Championship. ფინალი. III დღე. ინგლისი (LIVE).
**00:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
**01:45** სნუკერი. Players Tour Championship. ფინალი. III დღე. ინგლისი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**14:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. ლენცერჰაიდე. შვეიცარია (LIVE).
**15:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. გიგანტური სლალომი. II ცდა. ლენცერჰაიდე. შვეიცარია (LIVE).
**16:30** სნუკერი. Players Tour Championship. ფინალი. III დღე. ინგლისი (LIVE).
**18:00** სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. ვალმალენკო. იტალია (LIVE).
**23:00** სნუკერი. Players Tour Championship. ფინალი. III დღე. ინგლისი (LIVE).
**01:45** ფეხბურთი. სამხრეთ ამერიკის თასი (იუნიორები). არგენტინა-ურუგვაი. ეკვადორი (LIVE).
**03:00** ფეხბურთი. სამხრეთ ამერიკის თასი (იუნიორები). პერუ-ბოლივია. ეკვადორი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ჯოკოვიჩი ახალი ლიდერია?

ინდიან უელსის სუპერტურნირზე გამოვლინდა ქალებს შორის ორი ნახევარფინალისტი და მამაკაცებში რვავე მეოთხედფინალისტი.

კაცების მასტერსზე გუშინ ბადეს შემორჩენილი თექვსმეტივე ჩოგბურთელი გავიდა კორტზე. ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა მატჩი დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა, თუმცა სამსეტიანი შეხვედრა მხოლოდ ერთი იყო - **სტანისლას ვავრინკასა** და **ტომაშ ბერდიხს** შორის, რომელთა ურთიერთშეხვედრათა ანგარიში 4:4 იყო.

პირველ პარტიაში ჩეხმა საჭირო დროს მოუმატა და 3:3-ზე 10-წუთიან გეიმში ბრეიკი გააკეთა, რის შემდეგაც მისმა მეტოქემ შეწყვიტა ბრძოლა - 6:3. მეორე სეტში ბერდიხმა შეტევებს უკლო, ვავრინკამ კი დაამტკიცა, რომ კარგად არის ფიზიკურად მზად. **დავიდენკოსთან** და **ჩილიჩთან** რთული მატჩების შემდეგ მან ამ გამოცდასაც გაუძლო და მეორე და მესამე პარტიებში თითო ბრეიკის აღებით შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაასრულა - 3:6, 6:4, 6:4.



როდიკმა მსაჯი გააფრთხილა

წესით, კიდევ ორ შეხვედრაში უნდა ჩატარებულიყო მესამე სეტი, მაგრამ **რიშარ გასკემ** და **ხუან მარტინ დელ პოტრომ** თავიდან აიცილეს ზედმეტი გართულებები. დელ პოტრომ თანაბარ პირველ სეტში ტაი-ბრეიკი მოუგო **ფილიპ კოლშრაიბერს**, მეორეში კი 3:0 დაწინაურდა და ორმაგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ არგენტინელი მოდუნდა და საკუთარი შეცდომებით გერმანელს ანგარიში გაათანაბრებინა. მეორე ტაი-ბრეიკზე კოლშრაიბერს ყველაფერი გამოსდიოდა და 6:1 დაწინაურდა, რაც ხუთმაგ სეტბოლს ნიშნავდა. და სწორედ ამ დროს დელ პოტრომ სასწაული მოახდინა - ხუთივე სეტბოლი გადაარჩინა და ბოლოს დემორალიზებულ მეტოქეს საბოლოოდ მოუღო ბოლო - 7:6(7:3), 7:6(9:7). არგენტინელი გავიდა მეოთხედფინალში, სადაც **ტომი რობრედოს** შეხვდება. ვეტარანმა ესპანელმა ორმეტრიანი **სემ კუერისგან** მხოლოდ სამი გეიმი მიიღო და მოულოდნელად ძალიან იოლად - 6:1, 6:3 მოიგო.

მაგრამ ამერიკული პუბლიკის მთავარი იმედი **ენდი როდიკს** უკავშირდებოდა. მასპინძელი ფრანგ **რიშარ გასკეს** ხვდებოდა, რომელიც ძალიან კარგ ფორმაში შევიდა. პირველ სეტში მას თითქმის ყველაფერი გამოსდიოდა და მეტოქეს ერთი ბრეიკ-პოინტის შანსიც არ მისცა. ამერიკელი თავისი უსუსურობის გამო გაღიზიანდა და გადაწყვიტა ჯავრი მსაჯზე ეყარა. თითქმის ყველა საკამათო ეპიზოდში, იმის ნაცვლად, რომ ჩელენჯი აეღო, ენდი არბიტრთან გაუთავებლად კამათობდა, შემდეგ ჩოგანი დაამსხვრია და გაფრთხილება მიიღო. ამ დროს როდიკი მსაჯს მიუახლოვდა და განუცხადა - შენც გაძლევ გაფრთხილებასო.

მეორე სეტი კიდევ უფრო საინტერესო გამოვიდა. გასკე კვლავ იდეალურად თამაშობდა, ისევ ბრეიკით დაწინაურდა და 4:2-ზე მორიგი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ ეს შანსი ვერ გამოიყენა და ცხოვრება გაირთულა. თანაც შეშინებული მსაჯები ყველა საკამათო სიტუაციაში ამერიკელის მხარეს იჭერდნენ, გასკეს კი ჩელენჯების ლიმიტი ამოწურული ჰქონდა. როდიკმა დაიბრუნა ბრეიკი და ბოლოს მილებაზე სამი სეტბოლიც ჰქონდა, თუმცა ვერც მან შეძლო ამ შანსის გამოყენება და დაინიშნა ტაი-ბრეიკი, რომელშიც გასკე 5:2-ს იგებდა, თუმცა ამერიკელმა ანგარიში გაათანაბრა. და მაინც, ბოლო სიტყვა ფრანგმა თქვა - ზედიზედ ორ ქულის აღებით მან მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა - 6:3, 7:6(5).

შემდეგ მატჩში გასკე აშკარა აუტსაიდერი იქნება, რადგან **ნოვაკ ჯოკოვიჩთან** უწევს შეხვედრა. სერბი ფანტასტიკურ ფორმაში იმყოფება. მან ინდიან უელსში ზედიზედ მესამე მატჩში ერთი სეტი „მშრალი" ანგარიშით მოიგო. ამჯერად „ჯოკერის" მსხვერპლი გახდა მისი თანამემამულე და მეგობარი **ვიქტორ ტროიცკი**. აღსანიშნავია, რომ ჯოკოვიჩის ზედიზედ მეორე მეტოქემ მატჩში მხოლოდ ერთი „ვინერსი" მიითვალა. მანამდე ასეთი „გაუგებრობა" ლატვიელ **ერნესტ გულბისს** შეემთხვა.

გუშინდელი პროგრამა დახურეს პირველმა და მეორე ჩოგნებმა - **რაფაელ ნადალმა** და **როჯერ ფედერერმა**. ესპანელი **სომდევ დევარმანთან** მოულოდნელად 0:2 ჩამორჩა, მაგრამ მალე აღადგინა თანაფარდობა. ნადალი ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა და მარტივ სიტუაციებში მეტრიან აუტებს აკეთებდა. როცა პირველი პარტია ტაი-ბრეიკს უახლოვდებოდა, ნადალმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა, ზედმიზედ ოთხი გათამაშება მოიგო და პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა. მეორე სეტში ინდოელი დაღალა და გაუჭირდა თავისი გეიმების შენარჩუნება, მაგრამ რაფამ კარგა ხანი ვერ შეძლო ამ უპირატესობის გამოყენება. ამჯერადაც ყველაფერი ბოლოსკენ გადაწყდა და ისევ ესპანელის სასარგებლოდ - 7:5, 6:4. ახლა ნადალი კიდევ ერთ განუთესავ ჩოგბურთელს - **ივო კარლოვიჩს** შეხვდება.

ფედერერიც ნადალის მსგავსად რეიტინგში გაცილებით დაბლა მდგომ მეტოქეს ხვდებოდა. ეს იყო ამერიკული ჩოგბურთის იმედი **რაიან ჰარისონი**. პირველი სეტი უცნაური გამოვიდა - ბრეიკით დაწინაურებულმა როჯერმა ვერ შეძლო სეტზე ჩაწოდება, შემდეგ ისევ წინ გავიდა ბრეიკით და ზედიზედ მეორედ ვერ დაასრულა პარტია თავის სასარგებლოდ, რითაც ტაი-ბრეიკის თამაშმა მოუწია, სადაც მეტოქეზე სწრაფი და აქტიური იყო.

ჰარისონი ჩქარობდა და ამან ცუდი სამსახური გაუწია, არადა როჯერი არც ისე კარგად გამოიყურებოდა. მეორე სეტი შვეიცარიელმა უფრო იოლად აიღო და ამერიკელთან დაზოგილი ენერგია ვავრინკასთან მეოთხედფინალში გამოადგება.

■ ■ ■

ქალებს შორის პირველი ნახევარფინალური წყვილი დაკომპლექტდა. პირველმა ამ ეტაპზე ფრანგმა **მარიონ ბარტოლიმ** გააღწია. მას ამისთვის **ანა ივანოვიჩის** წინააღმდეგობის დაძლევამ მოუწია. არც ერთ ჩოგბურთელს არ გამოუვიდა საკუთარ მოწოდებაზე თამაში - ბარტოლიმ შვიდი ბრეიკი მიითვალა, ივანოვიჩმა -ექვსი. სერბი მუდმივად მდევრის როლში იყო, დათმო პირველი პარტია, მაგრამ მეორეში ბრეიკი დაიბრუნა და ორი ქულა აკლდა სეტის მოგებამდე, თუმცა თამაში ტაი-ბრეიკზე გადავიდა და იქ უფრო ძლიერი ბარტოლი აღმოჩნდა - 6:4, 7:6(4).

თუ სერბი და ფრანგი ორი საათი არკვევდნენ ურთიერთობას, **იანინა ვიკმაიერი** და **შაარ პეერი** ერთ საათში ჩაეტიენ. პეერმა, როგორც ჩანს, მთელი ძალები წინა წრეში **ფრანჩესკა სკიავონესთან** სამსაათიან ბრძოლას შეალია და ამ შეხვედრისთვის მზად არ აღმოჩნდა. პირველ სეტში ყველაფერი ერთმა ბრეიკმა გადაწყვიტა, მეორეში კი ისრაელელმა ოდნავ გაიბრძოლა, მაგრამ ბელგიელმა მაინც მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე - 6:3, 6:3.

**ATP**

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 645 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-სომდევ დევარმანი (ინდ) 7:5, 6:4; **ივო კარლოვიჩი (ხორ)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ, 23) 7:6(7), 6:2; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 32) 7:6(3), 7:6(7); **ტომი რობრედო (ესპ, 25)**-სემ კუერი (აშშ, 21) 6:1, 6:3; **რიშარ გასკე (საფ, 18)**-ენდი როდიკი (აშშ, 8) 6:3, 7:6(5); **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ, 16) 6:0, 6:1; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 12)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7) 3:6, 6:4, 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-რაიან ჰარისონი (აშშ) 7:6(4), 6:3.

**1/4 ფინალი**

ნადალი (1)-კარლოვიჩი; გასკე (18)-ჯოკოვიჩი (3); დელ პოტრო-რობრედო (25); ვავრინკა (12)-ფედერერი (2).

**WTA**

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**იანინა ვიკმაიერი (ბელ, 23)**-შაარ პეერი (ისრ, 10) 6:3, 6:3; **მარიონ ბარტოლი (საფ, 15)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 19) 6:4, 7:6(4).

ჩოგბურთი



ჩაკვეტაძემ შეიძლება ვეღარ ითამაშოს

# ჩაკვეტაძეს თამაში აუკრძალეს

ყველას კარგად მოეხსენება რუსი ჩოგბურთელის **ანა ჩაკვეტაძის** ბოლოდროინდელი პრობლემები - რეიტინგის ტოპ-ათეულის ყოფილმა წევრმა ბოლო პერიოდში ორჯერ შეწყვიტა მატჩი თავბრუსხვევის გამო. ბოლოს ეს ინდიან უელსის ტურნირზე მოხდა და სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ რუსს ექიმებმა კარიერის დიდი ხნით შეწყვეტა ურჩიეს. ექიმებმა დაადგინეს, რომ სპორტსმენს პერიოდულად ნეიროკარდიოგენური თავბრუსხვევები აქვს.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო კლასიფიკაციის 49-ე ნომერმა თებერვლის დასაწყისში დოჰას ტურნირზე პირდაპირ კორტზე დაკარგა გონება. მატჩის შემდეგ ტურნირის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ ჩაკვეტაძე მუცლის არეში ტკივილს უჩიოდა.

12 მარტს კი ჩაკვეტაძემ ინდიან უელსის ტურნირზე ვერ დაასრულა მატჩი თანამემამულე **მარია კირილენკოსთან**. მეორე სეტის შუაში ჩაკვეტაძემ თავბრუსხვევის გამო თქვა უარი ბრძოლის გაგრძელებაზე.

კირილენკოსთან მატჩის შემდეგ ჩაკვეტაძე საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც მას სრული სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა.

# თამაში თვითმფრინავის ფრთაზე

მსოფლიოს მესამე ჩოგანმა, სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** გადაწყვიტა შეამოწმოს - შესაძლებელია თუ არა ფრენის დროს თვითმფრინავის ფრთაზე ჩოგბურთის თამაში. საბოლოო პასუხს სერბი ჩოგბურთელი და მისი სპონსორი - კომპანია Head 21 მარტისთვის მოგვცემენ. მანამდე კი 2011 წლის ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონმა მსგავსი სიტუაციის მოდელირება გადაწყვიტა რადიოთი მართვად პატარა თვითმფრინავზე.

*„მივესალმები ყველას აეროპორტიდან. მინდა რაღაც გაჩვენოთ. ეს სურათი განთავსებული იყო* facebook.com/head-tennis*-ზე ორი დღის წინ. მე და ჩემმა გუნდმა გადავწყვიტეთ ჩავატაროთ ექსპერიმენტი და გავარკვიოთ, შესაძლებელია თუ არა ეს სინამდვილეში. ჩვენ დავაყენეთ ორი ფიგურა თვითმფრინავის ამ მოდელის ფრთაზე და ახლა შევამოწმებთ, შეძლებს თუ არა თვითმფრინავი აფრენას და ნორმალურად მანევრირებას ფრთაზე ორი ადამიანით"*, - განაცხადა ჯოკოვიჩმა ექსპერიმენტის წინ.





ფორმულა 1

# ბერნი ბალასტს მოიშორებს



ბერნი ექლსტოუნი

ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში განაცხადა, რომ მოხარულია რბოლებში „ლოტუსის" ბრენდის დაბრუნებით, გარდა ამისა, ხაზი გაუსვა იმას, რომ 2011 წლის სეზონში ძალიან გაუჭირდებათ აუტსაიდერ გუნდებს - „ჰისპანიასა" და „ვირჯინს". ამ შეფასებით ბრიტანელმა გამოხატა თავისი სურვილი - ბერნის 2013 წელს გუნდებთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებით საჯინიბოების რიცხვის ათამდე შემცირება უნდა.

*„მოხარული ვარ, რომ ფორმულა 1-ს დაუბრუნდა „ლოტუსი". ისინი მალე დადგებიან ფეხზე და როცა სპონსორებს იპოვიან, ჩვენ მათი პროგრესის მოწმენი გავხდებით. თავის დროზე, სწორედ ასე იწყებდა ფრენკ უილიამსი.*

*„ჰისპანიასა" და „ვირჯინისთვის" სეზონი რთული იქნება. 12 გუნდი - ძალიან ბევრია. ათი ოპტიმალური რიცხვი გახლავთ"*, - ამბობს ექლსტოუნი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**